# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 18 მაისი 1999 №90 (863) | ფასი 1 ლარი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო მეათე ცაზე

*გუნდი რომ ტიტულს მოიპოვებს, ეს ერთი და სხვა მრავალიო, იტყვიან. შაბათს თბილისის „დინამომ" ლანჩხუთის „გურიას" 7:1 მოუგო და კვლავ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ... ის, რაც საამაყოა კლუბისთვის, ვერაფერი დასაკვეხნია ქვეყნისთვის. „დინამოს" ათწლიანი საჩემპიონო ხანა ერთხელაც ვერავინ გაწყვიტა.*

*თუმცა საქართველოს ჩემპიონმა ჩვენს ქვეყანას ევროპული ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ადგილი მიუჩინა — დღეს არ არსებობს ქვეყანა, ისეთი გუნდი ჰყავდეს, ზედიზედ ათ წელიწადს რომ უჩემპიონია. მიყოლებით ათჯერ ორმა ევროპულმა კლუბმა იმეფა, ჯერ უნგრულმა მტკ-ამ საუკუნის დასაწყისში და მერე აღმოსავლეთგერმანულმა ბერლინის „დინამომ" 70-80-იანი წლების მიჯნაზე. ეგაა, უნგრეთის ჩემპიონატს პირველი მსოფლიო ომის გამო ორი წელიწადი გაუცდა და მტკ-აც 12 წელს პირველობდა, გდრ-მა კი, მოგეხსენებათ, ჭირი მოგვჭამა. მაშ ასე, „დინამო" ევროპის რეკორდსმენია! ვულოცავთ!*



საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო". დგანან: ამირან მუჯირი, თემურ ტუღუში, რატი ალექსიძე, დავით გვარამაძე, ზურაბ მამალაძე, გივი დიდავა, გიორგი კიკნაძე, მამუკა მაჭავარიანი, კახაბერ გოგიჩაიშვილი, ზაქარია თელია (ექიმი), გელა ჭანტურია (მწვრთნელი), ნოდარ აკობია (მწვრთნელი), სხედან: ოთარ ხიზანეიშვილი, მიხეილ აშვეთია, ლევან ქებაძე, არჩილ სახვაძე, შოთა ჩომახიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გივი ბელაშვილი (ექიმი)

საქართველოს ჩემპიონატი

# 28 ტური

15 მაისი, შაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 7 |
| გურია | 1 |
| მერანი | 2 |
| ტორპედო | 1 |
| თსუ | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 5 |
| არსენალი | 3 |
| ოდიში | 0 |
| სიონი | 1 |
| იბერია | 0 |
| კოლხეთი | 1 |
| ბათუმი | 0 |
| გორდა | 0 |
| ლოკომოტივი | 2 |
| სამგურალი | 3 |
| დილა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 28 | 22 | 5 | 1 | 83:16 | 71 |
| ტორპედო | 28 | 19 | 4 | 5 | 67:26 | 61 |
| ლოკომოტივი | 28 | 16 | 10 | 2 | 36:13 | 58 |
| კოლხეთი | 28 | 14 | 6 | 8 | 54:35 | 48 |
| ბათუმი | 27 | 10 | 11 | 6 | 35:20 | 41 |
| ვიტ ჯორჯია (-3) | 28 | 13 | 4 | 11 | 39:28 | 40 |
| მერანი | 28 | 10 | 9 | 9 | 26:26 | 39 |
| არსენალი | 28 | 9 | 11 | 8 | 34:41 | 38 |
| იბერია | 28 | 10 | 5 | 13 | 40:43 | 35 |
| დილა | 28 | 10 | 5 | 13 | 36:48 | 35 |
| გორდა | 28 | 7 | 10 | 11 | 26:40 | 31 |
| სამგურალი | 28 | 9 | 3 | 16 | 30:51 | 30 |
| სიონი | 28 | 7 | 7 | 14 | 26:47 | 28 |
| თსუ | 27 | 6 | 9 | 12 | 23:34 | 27 |
| ოდიში | 28 | 6 | 2 | 20 | 20:58 | 20 |
| გურია | 28 | 3 | 3 | 22 | 29:78 | 12 |

## ევროპით თუ უევროპოდ?

### ხვალიდან ქართულ კალათბურთს ძნელი გამოცდები ელის

ხვალ, 19 მაისს, შვეიცარიის ქალაქ ფრიბურგში საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპში ჩაებმება. გუშინ დილით კი ქვეყნის პირველი გუნდი შვეიცარიაში გაემგზავრა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ტურნირზე შემდეგი კალათბურთელები წაიყვანა — უკანახაზელები: არჩილ ჟღენტი, რამაზ გოგობერიშვილი (ორივე „აზოტი"), გიგი ნაცვლიშვილი, რევაზ ჩხეიძე (ორივე სტუ), დავით თორთლაძე (სდასუ), ირაკლი ხოშტარია („დინამო"). ფორვარდები: ვახტანგ ნაცვლიშვილი, ნიკა ცქიტიშვილი (ორივე სტუ), ვლადიმერ ბოისა („პოსტოინა", სლოვენია), ვლადიმერ ბეჟანიშვილი („ურალ გრეიტი", რუსეთი). ცენტრები: ირაკლი ჯაფარიძე („აზოტი"), დავით ბერძენიშვილი („სლოვაკოფარმა", სლოვაკეთი).

საქართველოს ნაკრების თამაშთა განრიგი: 19 მაისი: საქართველო — შვეიცარია; 20 მაისი: საქართველო — ირლანდია; 21 მაისი: საქართველო — ბელგია; 22 მაისი: საქართველო — პორტუგალია; 23 მაისი: საქართველო — დანია



აკაკი ჩაჩუა

## მეორე ვერცხლი აკაკი ჩაჩუასგან

სოფიაში კვირას დასრულებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატიდან სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა ვერცხლის მედლით დაბრუნდა. 63 კგ წონის ფინალში იგი პოლონელ ოლიმპიურ ჩემპიონ ვლოძიმეჟ ზავადსკისთან დამარცხდა. დანარჩენ ჩვენიანთაგან მედალთან ყველაზე ახლოს ტარიელ მელელაშვილი (76) იყო, მაგრამ მესამე ადგილისთვის შეხვედრა ბერძენ მეტოქესთან წააგო, სხვებისთვის კი შეჯიბრი ადრეულ ეტაპებზევე დასრულდა.

## საქართველო 21 პორტუგალია 20

12 მაისს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის VI საკვალიფიკაციო ჯგუფში პორტუგალიასთან 14:17 დამარცხდა, კვირას კი შინ, სპორტის სასახლეში ქართველმა ხელბურთელებმა პორტუგალიელებს მარცხი არ შეარჩინეს, ერთადერთი ბურთით აჯობეს, თუმცა ქომაგები გვარიანად აანერვიულეს.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



ქართველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო პორტუგალიელთათვის 6 ბურთის გამტანი სერგო დათუკაშვილი (№9) იყო


ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

ჩემპიონატის დინამოელ ბომბარდირ მიხეილ აშვეთიას გურულთა მეკარე ნიკურაძის კარში სამთაგან ერთ-ერთი გოლი გააქვს

## რას იტყვიან კოვერჩანოში

ბოლნისი
15 მაისი
18 საათი
თემურ სტეფანია
1 000 (ტევადობა 3 000)

**სიონი 1:0 იბერია**

1:0 მოსეშვილი (47)
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე (გ. ჩალაძე 35), ტყავაძე (ლ. გაგუა 84), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე, ხიდაშელი
**იბერია:** ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, მიქელთაძე (ზ. ფხაკაძე 82), ლურსმანაშვილი, მუმლაძე (ნ. გიორგაძე 82), ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, ცომაია (ვარდიაშვილი 67), ივეჩიანი, ვ. გიგიაძე
*სათადარიგო:* გ. დოლიძე
**გაფრთხილება:** შაკიაშვილი (24)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ა. ორდინიძე, ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

...**შეხვედრის** არბიტრმა ლევან ფანიაშვილმა „თემურ სტეფანიაზე" მეორე ტაიმის დაწყებისა ჩასტვინა, სტუმრებმა მასპინძელთა ნახევარზე გადატანილი ბურთი მალევე დაკარგეს და „სიონმა" შეტევა წამოიწყო. ამ დროს პრესლოჟაში (თუ საპატიო სტუმართა) შეხვედრის ინსპექტორმა გოლის გასვლა იწინასწარმეტყველა. ისე აგიხდეთ ყველა ნატვრა — შოთა ხინჩაგაშვილის თამამი პროგნოზიდან 3-4 (იქნებ ხუთიც) წამის გასვლის შემდეგ ბურთი სტუმართა კარის ბადეში ფართხალებდა. ცუდს ნურაფერს იფიქრებთ, ყოველივეს მარტივი ახსნა მივცეთ — ბატონ შოთას გოლის გასვლა იმ მომენტში პროფესიულმა ალღომ უკარნახა, თორემ „სიონი" რომ გოლს გაიტანდა და გაიმარჯვებდა, ეს დღესავით ნათელი იყო. ცოტა ხმამაღალი ნათქვამია? რატომ? გაიხსენეთ, სხვა სიკეთესთან ერთად რა აკლია ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს — მოტივაცია. მოტივაცია, რომელიც თავზე ქუდმორგებულ „იბერიას" საამმატჩოდ საერთოდ არ გააჩნდა და აბა, რა გასაკვირი იქნებოდა, რომ საშინაო მატჩებში მუდამ ჟინით მებრძოლი და რჩეულთა შორის დარჩენის მოსურნე მასპინძლები მატჩის წინ ფავორიტებად ითვლებოდნენ. მაშ ასე, 47-ე წუთი — იბერიელმა მცველებმა ქაოსურად იმდენი იწრიალეს საკუთარ საჯარიმოში, რომ მოახერხეს და თანაგუნდელ მეკარეს შეატოვეს ბახვა მოსეშვილი — ბურთის კარში მოთავსებას ბევრი მარიფათი არ სჭირდებოდა. მანამდე კი...

სასტარტო სასტვენს ფეხბურთელები წუთიერი დუმილით შეხვდნენ. მათ პატივი მიაგეს მატჩამდე ორი დღით ადრე გარდაცვლილი „სიონის" გულშემატკივართა კლუბის პრეზიდენტის, მურთაზ ჩაგელიშვილის ხსოვნას. შემდეგ ლევან ფანიაშვილმა ერთხელაც დასტვინა და მატჩიც დაიწყო. ისე ორიოდ სიტყვა შეხვედრის მსაჯზეც ვთქვათ. ჩვენს წერილში აგერ უკვე სამჯერ ვახსენეთ საეროდ, იმ დღეს ერთობ მონდომებით და კორექტულად სტვენდა, რაც იმის თქმის საბაბს მაძლევს, რომ 3 ბალად შეფასებული მინდვრის საფარისგან განსხვავებით, ფანიაშვილს და საერთოდ ბოლნისური მატჩის დანარჩენ მსაჯებსაც ხუთიანი თუ არა, წელში გამართული ოთხიანი მაინც ეკუთვნის...

მასპინძლებმა თავიდანვე შეუტიეს, ძირითადად ფლანგებიდან და უკვე მე-9 წუთზე ანგარიშის გახსნაც მართებდათ — მირზა სამხარაძის მარჯვენიდან ჩაწოდებულს გიორგი ტყავაძე დაუხვდა, მაგრამ ბურთი სათანადოდ ვერ დაამუშავა (ისე, ტყავაძისგან ამგვარი რამ ცოტა მოულოდნელი იყო) და ხელსაყრელი მომენტი ქარს გაატანა. 6 წუთში ტყავაძემ და სამხარაძემ როლები გაცვალეს. საჯარიმო დარტყმიდან ამჯერად გიორგიმ მოძებნა მირზა — ძლიერად დარტყმულ ბურთს ვარდანიძემ სწორი პოზიცია შეურჩია. 8 წუთის შემდეგ მოსეშვილმა თემურ სამხარაძესთან „კედელი" გაითამაშა და საგოლედაც დაარტყა, მაგრამ კვლავ ვარდანიძემ გამოიდო თავი და მეტად ძნელი ბურთის აღება შეძლო. 10 წუთში შეტევაზე მყოფ ბოლნისელებს მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელიც წაეხმარა — ტყავაძემ კარგი პასი „გაუჭრა" მოსეშვილს, საჯარიმოში ბურთიანად შესულ ბოლნისელს მეტოქე ლურსმანაშვილი აედევნა, გადაასწრო კიდეც, ბურთსაც დაეუფლა და... ვარდანიძეს ერთი ლაზათიანადაც დაურტყა. ბურთი რამდენიმე სანტიმეტრით ასცდა კარს.

„სიონი" შემდეგაც ბევრს უტევდა, სტუმრები კი მთელი პირველი ნახევარი კონტრშეტევების იმედად იყვნენ. მათ მიერ ჩაჭრილი ყველა გადაცემა მეტოქის ნახევარზე მარტო მყოფი ივეჩიანის (ხანდახან მარტოდმარტო, რადგან „სიონის" მცველები ხშირად ერთვებოდნენ პარტნიორთა შეტევებში) მისამართით კეთდებოდა, თუმცა ამას ბევრიც არაფერი მიუცია სამტრედიელთათვის. მაგრამ იყო ერთი მომენტი, როდესაც შალვა მუმლაძეს შეეძლო მასპინძელთა დასჯა — 34-ე წუთზე ვასო გიგიაძის ჩაწოდებულზე თემურ სამხარაძე შეცდა და მუმლაძეს 6 მეტრიდან კარში დარტყმის საშუალება მისცა, მაგრამ ბურთი გვარიანად ასცდა კარს.

„სიონი" დარჩენილ დროშიც ბევრს უტევდა, სტუმრებმა კი მხოლოდ ბოლო 7 წუთში გამოიღეს ხელი (ფეხიც) და ერთი-ორჯერ მასპინძელ ქომაგებს გვარიანი შიშიც აჭამეს. განსაკუთრებით ბოლოს წინა წუთზე, როდესაც მეკარესთან პირისპირ შეყრილმა ხუჭუამ კარში მშვიდად დარტმის ნაცვლად უკან, ივეჩიანს გადააწოდა ბურთი.

ერთიც არის, თავისი გუნდის მარცხის ამბავს „იბერიის" მთავარი მწვრთნელი, ალბათ, შორეულ იტალიაში შეიტყობდა — სოსო ფრუიძე 9 ქართველ მწვრთნელთან ერთად კოვერჩანოს საწვრთნელ ბაზაზე ილრმავებს ცოდნას.

საქართველოს ჩემპიონატი **28 ტური**

# თბილისი რომ მანჩესტერი იყოს...

თბილისი
15 მაისი
18 საათი
ეროვნული
1 200 (ტევადობა 75 000)

**დინამო 7:1 გურია**

1:0 ჯინჭარაძე (31), 2:0 აშვეთია (35), 3:0 კიკნაძე (45), 4:0 ალექსიძე (53), 4:1 დ. მახარაძე (54), 5:1, 6:1 აშვეთია (59, 80), 7:1 ჩომახიძე (88)
**დინამო:** გვარამაძე, ხიზანიშვილი, დიდავა, მაჭავარიანი (ხიზანეიშვილი 46), ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, კ. გოგიჩაიშვილი, აშვეთია, ჯინჭარაძე (ქებაძე 54), გუჩუა (ჩომახიძე 60)
*სათადარიგონი:* მამალაძე; ა. მუჯირი, ტუღუში
**გურია:** ნიკურაძე, თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი (ჭიაბრიშვილი 46), შ. მახარაძე, კ. სვანიძე, გულორდავა (ძოძუაშვილი 59), შავშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (მაჩიტიძე 46), ბოლქვაძე
*სათადარიგო:* ფირცხალაიშვილი
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ზ. დოლიძე მ. ელიკაშვილი; ლ. სილაგავა (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

კობა ინასარიძე

**გილოცავთ,** დინამოელებო! გილოცავთ მეათედ ზედიზედ ჩემპიონობას. თქვენ ეს დაიმსახურეთ, თქვენივე თამაშით, მონდომებითა და ოსტატობითვე ორი ტურით ადრე დაიბევეთ ქვეყანაში უძლიერესი გუნდის სახელი.

ალალია თქვენთვის ათგზის ჩემპიონობა. არც ამ ჩემპიონატში (ერთი შემთხვევის გარდა) დაგიყენებიათ ეჭვქვეშ პირველობა. 28 ტური ისე გალიეთ, მხოლოდ რვა ქულა დაკარგეთ. დღემდე ყველაზე მეტი ბურთი გაიტანეთ და სულ თხუთმეტი გაუშვით.

თქვენ შაბათს არ დაინდეთ, მართალია წყალწაღებული, დაღუპვის პირას მისული, უკვე უძლიერესთაგანაც გავარდნილი „გურია" და საქართველოს პირობაზე ნაღდად საჩემპიონოდ ითამაშეთ.

შეგეძლოთ გურულთა დანდობა, შეგეძლოთ, მცირე სხვაობითაც მოგეგოთ, მაგრამ ამოავსეთ მეტოქის კარი. თუმცა მეტიც შეგეძლოთ: დავთვალე და, არც მეტი, არც ნაკლები, რვაჯერ მოარტყით ბურთი ძელ-ხარიხას დაახლოებით ამდენჯერვე კი კარგი მომენტები გაგიცუდდათ. მეტოქე შებოჭილი გყავდათ, მათი ხილვა საცოდაობა იყო.

აშკარად დაგტყობიათ უცხოური ხელი. სულ რამდენიმე დღეა, იოჰან ბოსკამპი გავარჯიშებთ, ახალ იდეებს გიზიარებთ და თქვენ უკვე სხვანაირად გამოიყურებით. უფრო სწორად, ფეხბურთის თამაში დაიწყეთ.

მთელს მოედანზე პრესინგი და შეტევა. მართალია, ჯერ მხოლოდ ეს არის, მაგრამ მთავარი მაინც შევნიშნეთ — თქვენი თამაში ცოტა ხანში ბევრად გადასხვაფერდება.

გეტყობათ, ბოსკამპისა გჯერათ და გწამთ, დარწმუნებულნი ხართ — მან ფეხბურთი კარგად იცის.

მაშ, მომავალშიც იგივეს ველით, გამარჯვებებსა და სწრაფსავე პროგრესს. მეტოქის არდანდობას, თქვენს სიხარულს, ჩვენსასაც.

თუმცა კი შაბათის მატჩს განსაკუთრებულად ვერ ჩავთვლით. თქვენი სიძლიერე აშკარად ჩანდა, მაგრამ „გურიას" უსუსურობაც არანაკლებ თვალსაჩინო გახლდათ. ისინი მხოლოდ ორჯერ მიუახლოვდნენ თქვენი გუნდის მეკარეს, ერთხელ გოლიც გაიტანა 100-იანთა ზღურბლთან მდგარმა დავით მახარაძემ, ერთხელაც ჭიაბრიშვილის დარტყმულ ბურთს დახვდა კარის ხაზზე არჩილ სახვაძე. სულ ეს გააკეთებინეთ მეტოქეს და ამიტომაც ბევრს ველარაფერს გეტყვით, ძლიერ გუნდთან გამოჩნდება, რანი ხართ, კიდევ რა გასწავლათ ჰოლანდიელმა მწვრთნელმა.

თქვენი გატანილი გოლების აღწერას კი ვინ აუვა? გაიტანეთ შორიდან და ახლოდან, მაკრატელათიც, ურტყამდით სუსტად და ტექნიკურად, ძლიერადაც.

თქვენი მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი კიდევ მეტს გთხოვდათ. როცა სიზარმაცისმაგვარს შეგამჩნევდათ, სკამიდან წამოხტებოდა ხოლმე და ყველასათვის გასაგებად გიყვიროდათ — GO, GO. თქვენ გაკვირვებული თვალებით უყურებდით, ეტყობა, ფიქრობდით, მეტი რაღა უნდა ამ კაცსო, საქმეც სწორედ ეგაა, უკვე მოგებული მატჩის დროსაც რომ მეტს გთხოვთ, აინტერესებს გაკეთებულის გარდა კიდევ რა შეგიძლიათ, რით გამოიჩენთ თავს.

ერთი სიტყვით, ამ მატჩზე სხვას ვერას დავწერთ. თუმცა კი იკითხავთ — რა დაწერეთო? და გიპასუხებთ — რაღაა საწერი?

უნებურად ბავშვობა გამახსენდა, სკოლის ეზოში უბნის ბიჭები ცალკარას რომ ვთამაშობდით და ერთი მეკარე გვყავდა და ბურთების მოგერიებაც მარტოს უხდებოდა. ერთი ეგ იყო, „გურიას" მეკარე გიორგი ნიკურაძეს ფეხბურთელთათვის ზურგი არ შეუქცევია და ისე არ გადაუგდია ბურთი.

თქვენ კი, დინამოელებო, ერთხელაც გილოცავთ!

და რაც არის, ეგაა. ინგლისის „მანჩესტერიც" ვადაზე ადრე გაჩემპიონდა, ამის აღსანიშნავად „ოლდ ტრეფორდს" თვითმფრინავმა გადაუფრინა, ცაში პლაკატი გაჭიმა — მანჩესტერი ჩემპიონია!

ეროვნულს კი... ერთმა-ორმა ბლურამ თუ გადაუფრინა და საჩემპიონო ზეიმიც ორიოდ წუთში მორჩა. იყო მხოლოდ „მრავალჟამიერი".


**თბილისის ბოულინგ-ცენტრი**

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12 ა, ტელ.: 330-350

**გაძლევთ შანსს:**

მონაწილეობა მიიღოთ კომერციულ ტურნირებში
ანუ 50 ლარად მოიგოთ 500 ლარი

ისპარეზოთ რეგულარულად გამართულ ჩემპიონატებში და
თავი ისახელოთ როგორც თვის საუკეთესო ბოულერმა

შეეჯიბროთ კლუბს: 5 ლარად ითამაშოთ ერთი გეიმი და
დაჯილდოვდეთ: 210 ქულაზე — 100 ლარით, 220 ქულაზე — 200 ლარით,
230 ქულაზე — 300 ლარით

ივარჯიშოთ სპორტულ სექციაში და გახდეთ პროფესიონალი მოთამაშე

# დაველოდოთ იმერლებს

ფოთი
15 მაისი
18 საათი
ფაზისი
3 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 ბათუმი

1:0 ქობულაძე (73)
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ამაშუკელი 63), ანჯაფარიძე, ტრაპაიძე (ლალანიძე 86), შალამბერიძე, კალანდაძე, ბულუხია, ე. გვასალია (შავგულიძე 64), მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, პაპავა, ჩადუნელი
**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, ი. მახარაძე (ლლონტი 85), თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, გადელია, ხომერიკი (აფხაზავა 77)
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; ვერემჩუკი, ყულეჯიშვილი, მინდაძე, რომანაძე
**გაფრთხილება:** ტოგონიძე (20), ანჯაფარიძე (59), გიორგაძე (59), მ. მახარაძე (59), კალანდაძე (77)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ი. შენგელია (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

ორმატჩიან დისკვალიფიკაციამოხდილ „ფაზისს", კვლავ ეწვია ფეხბურთი, თანაც როგორი მატჩით. ზღვისპირული დერბი ხომ ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო და ინტრიგაც არასდროს ჰკლებია. „ბათუმს" და „კოლხეთს" ლამის ყოველ ჩემპიონატში საპრიზო ადგილების მოსაპოვებლად, ერთმანეთში დიდი ბრძოლა ჰქონდათ გამართული. ამჯერად კი მათ, მხოლოდ მეოთხე ადგილის პერსპექტივაღა შემორჩათ. ეს ადგილი ინტერტოტოს საგზურის მოპოვების შანსს იძლევა. ჰოდა, ზემოთთქმულ ინტრიგას, ამან თავისებური ხიბლი შემატა.

ფეხბურთს მოწყურებული ფოთელი ქომაგი, დიდი ამბით ელოდა ამ მატჩს. მითუმეტეს, რომ პირველ წრეში განცდილი მარცხის რევანშის სურვილიც დიდი იყო და ალბათ უმთავრესი — მოგების შემთხვევაში მასპინძლები მეოთხე ადგილს ფაქტიურად ინაღდებდნენ და წყნარად დაელოდებოდნენ თასის ფინალს, სადაც უდავოდ „ტორპედოს" ქომაგები იქნებიან, რადგან კარგად უწყიან, რომ თუ „სამგურალი" აიღებს თასს, მშვიდობით ევროპა. ჰო, ერთიც უნდა ვთქვათ. რაც მეორე წრე დაიწყო, კოლხებს „ფაზისზე" ერთხელ არ მოუგიათ და ამ ცუდ ტრადიციას, „ბათუმის" ძლევით თუ დაარღვევდნენ, ამას რა უჯობდათ.

მიუხედავად პროგნოზებისა, მატჩი დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა. არადა, მეტოქეთა ასეთ თამაშს არავინ ელოდა. ზლაზვნით მოძრავი ფეხბურთელების შემხედვარე, კაცი იფიქრებდა, ამათ არც ინტერტოტო უნდათ და მითუმეტეს არც ფეხბურთიო. ერთიც იყო — შაბათს ფოთში საშინელი ხვატი იდგა. წინა დღით ნაწვიმარ მინდორზე ჰაერი ისე ჩახუთულიყო, სუნთქვაც ჭირდა. ამან, ბუნებრივია, ფეხბურთელებზეც იმოქმედა (მატჩის შემდეგ მათ აღნიშნეს კიდევაც ეს ფაქტი), მაგრამ მათი ასეთი უგერგილო გარჯა, მაინც ძნელად გასაგებია.

პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, ჩვენი ფეხბურთისთვის დამახასიათებელი თამაში რომ გაჩაღდებოდა. პირველი ასე თუ ისე საგოლე მომენტი მეათე წუთისთვის ვიხილეთ, როცა ჯონი კალანდაძემ საჯარიმოს წინა ხაზიდან დაარტყა და ტოგონიძე პირველად ჩართო თამაშში. თითქოს ამას ელოდნენო, სტუმრებმა უმალ უპასუხეს და ლევან ხომერიკს გასატანად ცოტა დააკლდა. იქვე კუთხურიდან ჩაწოდებულს ხუთიოდ მეტრიდან მაჭუტაძემ თაური შეაგება, თუმცა ოდნავ უზუსტოდ — ბურთმა ხარიხას გადაუფრინა.

ამ ორწუთიან გამოცოცხლებას, ისევ მონოტონური თამაში მოჰყვა. ერთი ის არის, რომ „ბათუმი" შედარებით დალაგებულად ათამაშდა. თანაც კოლხთა უკანა ხაზი ბევრს სცოდავდა. ამის პირველი ნიშანი, ტაიმის შუაწელისთვის უმეთვალყუროდ მიტოვებული ხომერიკის ოდნავ უზუსტო დარტყმა გახლდათ. აი, ტაიმის ბოლოსთვის, მას უთუოდ გატანა მართებდა. სტუმართა შეტევა ტოგონიძემ კარიდან დარტყმით წამოიწყო, რომელიც მოედნის ცენტრში ჭიჭვეიშვილმა ერთი შეხებით გააგრძელა და თავით ბურთი ხომერიკს გაუგდო. ამან კი, საჯარიმოში მარჯვნიდან შესულმა, წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ცარიელ კარში მიმავალ ბურთს, ბოლო მომენტში ლიბერო ტორჩინავამ მიუსწრო და ეფექტურ ვარდნაში შეძლო ხიფათის აცილება.

თამაშის განახლებას დიდი არაფერი შეუცვლია. ერთი 59-ე წუთზე მომხდარმა ეპიზოდმა დაძაბა ცოტათი სიტუაცია. სტუმართა ერთ-ერთი შეტევისას, პაატა მაჭუტაძე მეურვე ანჯაფარიძეს გაექცა, თუმცა ზედ საჯარიმოს ხაზთან, კოლხმა უხეშობით შეაჩერა იგი. ალექსანდრე შილაკაძემ ოდენ ყვითელი ბარათი (აბა წითელს ვინ გაბედავდა) აკმარა დამნაშავეს და სანამ ჯარიმა შესრულდებოდა, კიდევ ორჯერ მოუხდა ჯიბეზე ხელის გაკვრა. კარგა ხნით გაჯანჯლებული სახიფათო საჯარიმო კი, გადელიამ ერთობ უხეიროდ შეასრულა.

საქმე იქეთკენ მიდიოდა, რომ გოლის გამტანი არავინ ჩანდა. მაყურებელიც უგოლო ფრეს შეეგუა. აი, მიხეილ ქობულაძე სხვაგვარად ფიქრობდა, რაც 73-ე წუთზე დაამტკიცა კიდეც. ფოთელთა მორიგი შეტევა სტუმრებმა იოლად ჩაშალეს და შეტევა წამოიწყეს. აქ კი უხეშად შეცდა გოჩა გუჯაბიძე. მან უხეიროდ მოგერიებული ბურთი კალანდაძეს მიართვა. ამან უმალ ქობულაძე მონახა, რომელმაც თავის მხრივ პატარა სასწაული ჩაიდინა — ერთბაშად სამ მეტოქესთან ჭიდაობაში, ბურთიც შეინარჩუნა და მძლავრადაც გაისროლა. ტოგონიძე ამ ჯერზე უძლური აღმოჩნდა.

ამ მოულოდნელ გოლს, ორივე გუნდის გააქტიურება მოჰყვა და წუთის ინტერვალში, ჯერ ტრაპაიძეს უმტყუნა მიზანმა, ხოლო იქვე ხომერიკს გატანის ჩინებული შანსი მიეცა. თუმცა, როგორღაც მოახერხა და ელემენტარულ სიტუაციაში ბურთი ვერ დაიმორჩილა. ამის შემხედვარე, შოთა ჭეიშვილმა იგი მალე აფხაზავათი შეცვალა, მაგრამ ვერც მან და ვერც ლლონტმა, დარჩენილ დროში „ბათუმს" ვერაფერი შემატეს და მასპინძლებმა მატჩი სასურველი შედეგით დაასრულეს.

ამ ძნელმა მოგებამ, „კოლხეთს" მეოთხე ადგილი, თითქმის გაუნაღდა, ოღონდ იქნება თუ არა ეს ევროპაში თამაშის გარანტი, ამას 26 მაისს გავიგებთ. სადაც ყველაფერს იმერული ფინალი გადაწყვეტს. ასე რომ, ფოთელთა ბედი იმერელთა ხელშია.

# ეს სინათლე რა გაუხდა...

თბილისი
15 მაისი
18 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 3 000)

## მერანი 2:1 ტორპედო

1:0 ამბიძე (21), 1:1 მაზანიშვილი (67), 2:1 ამბიძე (79)
**მერანი:** ლომაია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, გელა ქორიძე, ჭინჭარაული, ბაჯელიძე (ჯიშკარიანი 69), ბ. ამბიძე (კარიაული 85), ჩუხუა, დავითაშვილი (დევიძე 56)
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; თოლორდავა, დ. ჭელიძე, ბერაია
**ტორპედო:** ჭანტურია, თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, ახვლედიანი (მაზანიშვილი 46), კვეტენაძე, მაღლაკელიძე, დ. ჯანაშია, იონანიძე (კ. მეტრეველი 56), ვაჩიბერაძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* სტურუა; ჩხაბერიძე, კ. ჯანაშია
**გაფრთხილება:** ჭინჭარაული (53), მაზანიშვილი (56), ჩუხუა (73), თურმანიძე (78)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი, ზ. ჯვარიძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ვახტანგ ბზიკაძე**

რა გაუხდა „ტორპედოს" ეს „სინათლე", ერთხელ რომ არ მოუგია...

ჩანს, ქუთაისელებმა დიდი ძალა შეალიეს წაუგებელი „დინამოს" ძლევას...

„ტორპედო" ჩემპიონთან მოგების მერე ხეირიანად არც შეკრებილა, მოთამაშენი ნაკრებ გუნდებში გაეშვა...

კონკრეტული მიზნის გარეშე დარჩენილმა „მერანმა" პრესტიჟის მატჩი ითამაშა. როგორც „ტორპედომ" „დინამო" ქუთაისში არ აჩემპიონა, ისე „მერანმა" „ტორპედოს" მოუსპო ვერცხლის მედლების „სინათლეზე" განაღდების შანსი...

ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა დავიწყოთ ამ მატჩის ანგარიშის წერა-კითხვა, ქუთაისელებმა სირცხვილი ჭამეს. მოგება სურდათ, ფრედ თამაში შეეძლოთ და წააგეს კი.

პირველ ტაიმში ქუთაისელები ქულასაც არ იმსახურებდნენ — დამარცხდნენ კიდეც 0:1. დიდად თავი არც „მერანს" გამოუდვია. მაგრამ ბახვა ამბიძემ შანსი — საჯარიმოს მარცხენა კუთხიდან გაეტანა, კარგად გამოიყენა. ჩუხუასთან ბრძოლისას ტორპედოელი ჩხეტიანი დაჯარიმდა — ქუთაისელებმა, მართალია, მჭიდრო, მაგრამ დაბალი კედელი აღმართეს. ამბიძის კედელსგადავლებულ ბურთს „ტორპედოს" მეკარე ჭანტურია წაეტანა, მაგრამ „ცხრიანიდან" ვერ დააძვრინა. ეს საწყისი ოცი წუთის თავს მოხდა. ვერც მანამდე და ვერც მერე, ტაიმის ბოლომდე სტუმრებმა თავი კარგად ვერ დაგვამახსოვრეს. უსუსტესნი იყვნენ, ახალტრავმამოშუშებული იონანიძე, კლუბების ნაკრებმოვლილი ახვლედიანი და „ტორპედოს" კაპიტანი კვეტენაძე. „დინამოსთან" ფეხნატკენ გიორგი მეგრელაძეს კი შაბათს არც უთამაშია.

ქუთაისელთა თავკაცი ჯემალ ხერხაძე ადრე თუ გვიან მიხვდა, ასე ვერაფერს ვიხეირებთო და შესვენებაზე ახვლედიანს და ვაჩიბერაძეს მაზანაშვილი და იმედაძე შეუნაცვლა. თამაშის განახლებიდან ათ წუთში იონანიძე გაიყვანა მოედნიდან და მეტრეველი შეუშვა. აქამდე და ამის მერეც ათამაშდა, მაგრამ რა ათამაშდა „ტორპედო". ლომაიას კარს ხიფათი ხიფათზე დაატყდა — პირველად ეს 49-ე წუთზე მოხდა.

საწყისი ოთხი წუთი მასპინძლები სტუმრებმა ცენტრის ხაზს არ გადააცილეს, მერე კი ის წამები იყო, „მერანის" კარი გოლს სასწაულით და ლომაიას კარგი რეაქციით რომ გადაურჩა. „მერანის" მეკარემ ჯერ იმედაძის ახლოდან დარტყმული მოიგერია, მერე თურმანიძის დამატებულიც უკუაგდო. ათ წუთში ლომაიამ იმედაძის მორიგი დარტყმისგან დაიფარა ავჭალელები — „ტორპედოს" თავდამსხმელის ძნელადმოსაგერიებელი თავური კუთხურზე გადაიტანა. 67-ე წუთზე კი ლომაიაც უძლური აღმოჩნდა — მერანელებმა დავით ჯანაშიას ჩაწოდებული საჯარიმო კი მოიგერიეს, მაგრამ მაზანიშვილის დამატებულ დარტყმას წინ ვეღარ აღუდგნენ.

ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ „ტორპედო" კიდევ ათ წუთს აღარ დამცხრალა. ლომაიამ ჩხეტიანის დარტყმული ბურთიც აიღო და თანაგუნდელები მოსაგებად შეაგულიანა. ასეც მოხდა — საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე „მერანმა" კონტრშეტევაზე წამოაგო სტუმრები. ჯუბა ჩუხუა საჯარიმოს და პირითი ხაზების გადაკვეთასთან ფეხებში ჩავარდნილ თურმანიძეს წამოეგო და... თამაზ ლაცაბიძემ საჯარიმო დარტყმა დანიშნა.

ან პენალტი იყო, ან არაფერი. ლაცაბიძემ „ტორპედო" დაინდო და არც დაინდო, რადგან ამ ჯარიმას გოლი მოჰყვა. გრიგოლ ჭანტურიამ კედელში სამი ფეხბურთელი ჩააყენა — გაუგებარია, რატომ — ასე მახვილი კუთხიდან კარში გატანა გამორიცხული ჩანდა. საჯარიმოში ამბიძე და ჯიშკარიანი აუყვანელი დარჩნენ და გელა ქორიძემაც ამბიძეს ჩაუწოდა, მან იოლად გაიტანა.

„ტორპედოს" ვერცხლის დასაუფლებლად „გორდას" დამარცხება მართებს — საეჭვოა, ოთხშაბათს „გივი კილაძეზე" ქუთაისელებმა ეს ვერ შეძლონ.

# მკვდარი ერთიანი

წყალტუბო
15 მაისი
18 საათი
26 მაისი
800 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 3:1 დილა

1:0 პეტრიაშვილი (10), 2:0 კილასონია (18), 2:1 ახალკაცი (43), 3:1 შენგელია (69)
**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (ფრანგიშვილი 46), ძაგნიძე, მ. ჯინჭარაძე (დარსაძე 64), გ. კილასონია, პეტრიაშვილი, სუხიაშვილი, შენგელია (გლუნჩაძე 73)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; ლონლაძე, ზ. ქუთათელაძე
**დილა:** თ. ილურიძე, გაგნიძე, ხაჭაპურიძე, ლომიძე, აკოფიანი (კარელიძე 75), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, არუთინიანი (საყვარელიძე 73), სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი (გუდურაშვილი 75)
*სათადარიგო:* ხიხალაშვილი
**გაფრთხილება:** კილასონია (22), ჯინჭარაძე (62), გოჩაშვილი (68)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე, დ. სანაია (ორივე სოხუმი); ა. ხეცაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

**იუზა კაციტაძე** წყალტუბოდან

თასის ფინალისტი ჩემპიონატის ფინიშთან ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის, უფრო სწორად იმისთვის, რომ გადათამაშებას ასცდეს. შესძლებს „სამგურალი" ამ ამოცანის გადაჭრას? ზოგი ამტკიცებს — კიო, ზოგიც — არაო. ჩვენც ნუ ავჩქარდებით. ცოტაც და, ყველაფერი გაირკვევა.

ყოველგვარი ხიფათის ასაცილებლად წყალტუბოელებს ამ მატჩში ისევე, როგორც მომდევნოში, მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. იმის გათვალისწინებით, რომ მათი მეტოქე მეორე წრეში უნიათოდ მოთამაშე „დილა" გახლდათ, დასახული ამოცანის შესრულება დიდ სირთულეებთან არც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მოკლედ რომ ვთქვათ, „მკვდარი ერთიანი" იყო. სპორტული ტოტალიზატორის მოთამაშეებმა იციან ამ სიტყვების მნიშვნელობა. ვინც არ იცის, ვეტყვით. ეს ის შემთხვევაა, როცა მასპინძლის გამარჯვება ოდნავადაც არ იწვევს ეჭვს. იგებს, რადაც უნდა დაუჯდეს.

პროგნოზიც, რაღა თქმა უნდა, გამართლდა. „სამგურალმა" დამაჯერებლად დაიწყო და, ფაქტობრივად, ოციოდ წუთში მორჩა საქმეს. მართალია, მე-4 წუთზე გიორგი კილასონიას არ გაუმართლა, მისი 15 მეტრიდან სახიფათოდ დარტყმული მიზანს აცდა, მაგრამ სულ მალე მასპინძლები მაინც დაწინაურდნენ. ვოსკანოვმა მარჯვნიდან საჯარიმო შეასრულა, ბურთი მეკარის ბაქანთან ახლოს ჩააწოდა, პეტრიაშვილმა გორელ მცველებს აჯობა და თავურით გაიტანა. რვა წუთში სტუმართა კარში მეორეც გავიდა. კილასონიას მიერ საჯარიმოდან ძლიერად დარტყმული, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ მცველს შეეხო, ბადეში აღმოჩნდა.

მერე „სამგურალმა" ტემპს უკლო, თუმცა ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. 28-ე წუთზე გიორგი შენგელიას შეეძლო ანგარიშის გაზრდა. იგი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ილურიძემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია მისი დარტყმული. გორელებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს „გაიფხაკუნეს" და, თქვენ წარმოიდგინეთ, გოლიც გაიტანეს. მარეხაშვილმა ზუსტი პასით ასლანაძესთან პირისპირ გაიყვანა ახალკაცი, რომელმაც მეკარის მოტყუება მოახერხა და საბოლოო დარტყმაც (საკმაოდ მახვილი კუთხიდან) მიზანში მოახვედრა.

შესვენების შემდეგ წყალტუბოელთა უპირატესობა უფრო აშკარა შეიქნა, „დილას" კართან საგოლე მომენტიც მრავლად იყო, თუმცა ერთზე მეტი არ გასულა. გორელთა კარი მესამეჯერ შენგელიამ აილო. გიორგიმ კარგად გამოიყენა პეტრიაშვილის ჩაწოდებული, რომელსაც მანამდე კილასონიამ გადააწოდა ზუსტად. სხვა მომენტებიდან სამს გამოვყოფდით. 51-ე წუთზე მახვილაძის დარტყმულისგან „დილა" ძელმა იხსნა. 76-ე წუთზე ბურნაძემ სამწამიან ინტერვალში ორჯერ მოახვედრა ხარიხას, სანდრო ორჯერვე თავურს ურტყამდა.



მასპინძელი გელა ძაგნიძე (ბურთით) ლევან გოჩაშვილს გაურბის

# ბოლოსწინა დღეს ინწყება

*ორი ტურიც და საქართველოს საიუბილეო, მეათე ეროვნული ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება. კალენდრის მიხედვით ჩემპიონატის ბოლოსწინა, 29-ე ტურის მატჩები 19 მაისს უნდა გამართულიყო. არა, შეხვედრები კი ჩატარდება, მაგრამ ამ დღეს დაგეგმილი 8 მატჩის ნაცვლად ექვსი შედგება, ორი ქვემდებარე მატჩის თარიღი კი ერთი დღით გადმოიწია.*

სამტრედია. „ეროსი მანჯგალაძე". 18 მაისი. 18 საათი

## იბერია — თსუ

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. იაშვილი

ბათუმი. „დინამო". 18 მაისი. 18 საათი

## ბათუმი — ოდიში

**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); თ. ლაცაბიძე (სურამი) ვ. ჩოჩიშვილი; კ. თბილელი (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

# ვითომ მართლა არ იყო ექიმი?

რუსთავი
15 მაისი
18 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:2 ლოკომოტივი**

0:1, 0:2 გოგობერიშვილი (36, 49)
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე 68), მ. მელაძე, ზირაქაძე, ჩიგოშვილი (კიტეიშვილი 55), პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ლაბაძე 76)
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; რ. მახარაძე, მჭედლიძე, მენთეშაშვილი
**ლოკომოტივი:** დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (შ. ხუჯაძე 79), გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ნ. მინდიაშვილი (დ. გოდერძიშვილი 46), კ. მელქაძე, გ. ღუდუშაური, კოტორაშვილი (დ. ბაქრაძე 60)
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ნ. მელაძე
**გაფრთხილება:** ბექაური (75)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ასკაროლლი (ქარელი), ვ. ელოევი (ცხინვალი); თ. ზანდარაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ძამუკაშვილი

**გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან**

ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს. როდესაც თამაში დანიშნულ დროზე გვიან იწყება, ბუნებრივია, კაცს ეჭვი უჩნდება, რატომ, რა მიზეზით ყოვნდება მატჩი. ასეთი ფაქტი წლევანდელ სეზონში, განსაკუთრებით კი მეორე წრეში, არაერთი გვახსოვს. მიზეზები არ ილეოდა — ხან პოლიციის წარმომადგენლები იგვიანებდნენ, ხან სახანძრო მოდიოდა უწყლოდ, ხანაც სამედიცინო პერსონალი არ ჩანდა.

რატომ დაიწყო რუსთავში მატჩი 15 წუთით დაგვიანებით? ერთი შეხედვით ყველაფერი ნორმალურად იყო, პოლიციელებიც, მეხანძრეებიც და ექიმებიც ადგილზე იყვნენ. თუმცა...

ექიმი არ ჩანდა, ამიტომაც თამაშს დანიშნულ დროზე ვერ დავიწყებთო, ირწმუნებოდა მატჩის ინსპექტორი. არადა, ღმერთი, რჯული. ფაქტია, ასე ნამდვილად არ იყო. კარგი, ვთქვათ, მე ვერ შევამჩნიე. ორი ათასამდე მაყურებელს რაღა ვუყოთ (ზუსტად ეს ციფრი ჩაიწერა ბოლოს მატჩის ოქმში), მათაც ვერ შენიშნეს, სასწრაფო დახმარების წარმომადგენლები დროზე ადრე გამოცხადდნენ თუ არა? ეჭვიც აქედან წარმოიშვა. ქომაგებს ვერაფრით აეხსნათ, თუ რატომ არ გამოდიოდნენ მოედანზე გუნდები და მსაჯები. ის კი არა, ერთი ორჯერ ერთმანეთს ისიც გადაულაპარაკეს, ეს თამაში „ჩაწყობილიაო". თბილისში ხომ „ტორპედო" თამაშობს. ამ მატჩის შედეგს ელოდებიანო. ნამდვილად ვერ დავიჩემებ, რომ ასე იყო, მაგრამ გამორიცხულიც არაა, ამ ნათქვამში სიმართლის მარცვალი ერიოს. ვითომ მართლა არ იყო ექიმი სტადიონზე?

ახლა კი თამაშზეც ვიტყვი, თუმცა რა არის სათქმელი — ჩემპიონატისთვის დამახასიათებელი დონე, უსახური სანახაობა იყო.

მატჩამდე სათადარიგო მსაჯად თავიდანვე ონისე მოლოდინაშვილი იყო დანიშნული, მაგრამ იგი ავად გამხდარა. მისი ადგილი კი ასევე დებიუტანტმა ზანდარაშვილმა დაიკავა.

ორივე გუნდმა წამყვანი მოთამაშეები მოისაკლისა. რუსთაველებს მეკარე მამუკა ქორიძე და თავდამსხმელი გიორგი მიშველიძე აკლდათ, რკინიგზელებს კი — ამ ბოლო დროს სათადარიგოებში გამწესებული მეკარე ჯანელიძე და მცველი ზურაბ არჩვაძე, ხოლო ვარლამ კილასონია და იგივე არჩვაძე თემურ მახარაძემ საერთოდ არ შეიყვანა 18-კაციან მატჩის ოქმში. არ იყო თავდამსხმელი ჰამლეტ წივწივაძე. იგი ავადმყოფობდა და მხოლოდ თამაშის დღეს წამოდგა ფეხზე.

მთელი შეხვედრის მანძილზე მაყურებელი პრაქტიკულად ორჯერ გამოცოცხლდა. ორჯერვე მაშინ, როცა ალეკო გოგობერიშვილმა გოლები გაიტანა. განსაკუთრებით ლამაზი მეორე გამოდგა — შორიდან ნახევარბრუნით დარტყმული ბურთი ბედიაშვილის კარის ცხრიანში შეფრინდა. დანარჩენ დროს თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, წაილებდნენ ბურთს ერთმანეთის კარისკენ და ყოველივე ამით მთავრდებოდა.

ერთიც, რის აღნიშვნაც მართებულად მივიჩნიე. მოედანზე მყოფ ოცდაორივე ფეხბურთელს საგანგებოდ დავაკვირდი და არც ერთს წვივსაფარი არ ეკეთა, რაც ფეხბურთელისთვის სავალდებულოა. ამას თავად მსაჯიც უნდა ითხოვდეს, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში ხომ თითო-ოროლა გუნდი იცავს ამ წესს, ისიც შესაძლოა, ძალდატანებითაც.

...ვითომ მართლა არ იყო ექიმი? არადა, „ტორპედომ" კვირას ავჭალაში „მერანთან" 1:2 წააგო. ნუთუ მართლა?



არმიელმა თავდამსხმელმა დავით ტარიელაშვილმა ზუგდიდელები დააწიოკა: სამი გოლი გაუტანა

# გაგვიყავით პრემიები!

თბილისი
15 მაისი
18 საათი
შევარდენი
200 (ტევადობა 10 000)

**თსუ 2:5 ვიტ ჯორჯია**

0:1 მაზიაშვილი (8), 1:1 ბუკია (23), 1:2 მაზიაშვილი (39), 1:3 მაისურაძე (43), 1:4 მაზიაშვილი (68), 2:4 ინწკირველი (72), 2:5 ბოკერია (80)
**თსუ:** მერლანი, ქანთარია, თ. ჯაფარიძე, ინწკირველი, გვალია (კვაჭაძე 74), ბუკია (ემრაშვილი 81), სვანაძე, ადამია, ქადაგიძე, დ. გოგოლაძე, პერტენავა (დ. ჭელიძე 55)
*სათადარიგო:* ცინარიძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე (ნოზაძე 46), ბარქაია, კ. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ზ. გვაზავა 60), თ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია 46)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ერაძე
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**გაიოზ თალაკვაძე**

მატჩი, რომელშიც პირველი ჯგუფის ერთ-ერთი აუტსაიდერი თსუ „ვიტ ჯორჯიას" ხვდებოდა, რაიმე განსაკუთრებულ მოულოდნელობას არ გვპირდებოდა. ცხრილის ზედა ნაწილში დამკვიდრებული „ვიტ ჯორჯია" ბოლო ხანებში საკმაოდ კარგ, გამართულ ფეხბურთს აჩვენებს და უნივერსიტეტელების დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. თუმცა, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ მასპინძლებისთვის ყოველ ქულას ოქროს ფასი აქვს და შეიძლებოდა, ისეთი თავგანწირვით ებურთავათ, ფრე მაინც გაეხერხებინათ.

„შევარდენის" სტადიონზე მისულმა ისეთი ამბავი შევიტყვე, იმწამს მივხვდი, მატჩში გამარჯვებულის ვინაობა უკვე გარკვეულიყო. სტუდენტების ძირითადმა ბირთვმა საქართველოს ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ შეხვედრაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ფავორიტებად ხომ ისედაც სტუმრები ითვლებოდნენ, ამის შემდეგ კი...

გაფიცვის მიზეზს არ იკითხავთ? — საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების უმეტესობისთვის ერთობ ნაცნობი და ხშირი, უფულობა, უხელფასობა! შიშველი ენთუზიაზმით თამაში კი მხოლოდ უბანში, გასართობადაა კარგი.

როგორც ერთ-ერთმა გაფიცულმა მითხრა, წლეულს კაპიკიც არ აუღიათ. ადრეც გვინდოდა თამაშის ჩაგდება, მაგრამ დაგვპირდნენ, გადაგიხდითო. ახლა კი დაპირებაც აღარ მოუციათო.

მატჩს თსუ-ს რექტორი როინ მეტრეველიც ესწრებოდა. თავისიანების უსუსური თამაშით „გულდამწვარი" როდის გადაწყვეტს ურჩი სტუდენტებისთვის „სტიპენდიების აღდგენას", ძნელი სათქმელია. ერთი კი ნათელია წამყვანი მოთამაშეების გარეშე თსუ-ს დარჩენილ შეხვედრებში ერთი ქულაც კი სანატრელი ექნება, ამას კი რა შედეგი მოჰყვება, ცნობილია.

ახლა თვით თამაშზე. დაწყებისთანავე ინიციატივას ვიტელები დაეუფლნენ. მათ მრავალი საგოლე მომენტი შექმნეს მერლანის კართან და ორჯერ ხუთის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ იღბალმა „ზურგი აქციათ". ბურთი მარტო სამჯერ მოწინააღმდეგის კარის ხარიხას მოარტყეს.

პირველი გოლი მარცხენა ფლანგზე დოლიძის გარღვევას მოჰყვა. მის მიერ საჯარიმოში დაბალ ჩაწოდებულ ბურთს მაზიაშვილმა მიუჩინა თსუ-ს კარში ადგილი. სტუმართა მეთექვსმეტე ნომერმა კიდევ ორჯერ გაუტანა მეტოქეს და ორჯერვე დაახლოებით 20-25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით.

თამაში კვლავაც „ვიტ ჯორჯიას" კარნახით გაგრძელდა, თუმცა შემდეგი გოლი სწორედ მათ კარში გავიდა. ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას ბუკიამ შორიდან დაბალი დაარტყა. ბურთი მცველს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. ჭურაძემ კი რეაგირება ვეღარ მოასწრო — 1:1.

მცირერიცხოვანმა მაყურებელმა პირველ ტაიმში კიდევ ორი გოლი იხილა და ორივე თსუ-ს კარში — 1:3. ამ ანგარიშზე გავიდნენ გუნდები შესასვენებლად. მეორე ტაიმში უნივერსიტეტელებმა, რა თქმა უნდა, მატჩში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს და საბოლოოდ დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ.

მატჩის ბოლოსკენ კი ტრიბუნებზე მდგარმა ერთ-ერთმა გაფიცულმა ვიტელებს გასძახა, რომ არ ვითამაშეთ, იმიტომ მოიგეთ და პრემიები უნდა გაგვიყოთო. იმედია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის ფეხბურთელებს სხვისი წყალობის იმედად არ დატოვებს.



გიორგი ქორიძის შორიდან დარტყმულის მოგერიებას რამაზ სვანაძე (№7) ეცადა

# ისე, როგორც არასდროს

თბილისი
15 მაისი
18 საათი
ისანი
500 (ტევადობა 3 000)

**არსენალი 3:0 ოდიში**

1:0, 2:0, 3:0 ტარიელაშვილი (25, 37, 80)
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე (ყუფარაძე 55), ჩიქოვანი, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (გ. სულაძე 83), აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვ. გაგუა, ხოსროშვილი, კოხრეიძე
**ოდიში:** გოგია, კაკულია, შონია, აკობია, შედანია, შელია, იოსავა, კუტალია, მარკოზია, გოგოხია, გვიჩია
*სათადარიგო:* ვახანია
**გაფრთხილება:** ყოლბაია (49)
**მსაჯები:** ს. კახიანი (თბილისი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ქიათურა); მ. მაისურაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ვანო ოძროპირიძე**

შაბათს ლანჩხუთის „გურიას" კვალს „ოდიშიც" მიჰყვა. ზუგდიდელებს „არსენალთან" წაგების შემდეგ პირველ ჯგუფში დარჩენის თეორიული შანსიც გადაეწურათ და მომავალ ჩემპიონატს პირველად შეხვდებიან მეორე ჯგუფში. ფაქტია, გუნდის გავარდნა უპირველეს ყოვლისა ფინანსურმა გაჭირვებამ განაპირობა. „ოდიში" ასეთ მდგომარეობაში სამეგრელოში ომის დროსაც კი არ ყოფილა.

თბილისში „არსენალთან" გამარჯვების შემთხვევაში „ოდიშს" ჯგუფში ადგილის შენარჩუნების შანსი კიდევ რჩებოდა. არმიელები კი ბოლო დროს ცხრილის შუაში მყარად დამკვიდრდნენ და წაგების შემთხვევაშიც არაფერს კარგავდნენ. მიუხედავად ამისა, სტუმრების მოგებას არავინ ელოდა. თავად განსაჯეთ, ზუგდიდელები თბილისს თამაშის დღეს ერთი მიკროავტობუსით ეწვივნენ, განაცხადში კი სულ თორმეტი ფეხბურთელი ჰყავდათ. ამასთან მატჩს არ ესწრებოდა მთავარი მწვრთნელი სოსო ჭედია (ასევე არმიელთა თავკაცი დავით ჩახავა) რომელიც თამაშის დღეს ცხრა კოლეგასთან ერთად იტალიაში, ქალაქ კოვერჩიანოს მწვრთნელთა სკოლაში გაემგზავრა ცოდნის გასაღრმავებლად. ამიტომ ამ მატჩზე გუნდები თანაშემწეებმა ელგუჯა ქომეთიანმა და მამუკა აბუსერიძემ გაიყვანეს.

მატჩი ნელ ტემპში დაიწყო და ბოლომდე ასე გაგრძელდა. ტრიბუნაზე მსხდომ მცირერიცხოვან (ოქმში დასახელებულ ციფრზე ბევრად ნაკლებ) მაყურებელს დროდადრო არმიელთა სახიფათო შეტევები თუ გამოაცოცხლებდა ხოლმე. პირველი საგოლე მომენტი სტუმრებს შეექმნათ. მე-17 წუთზე უხეშად შეცდნენ არმიელი მცველები. შედეგად კუტალია ჩლაიძესთან მარტოდმარტო აღმოჩნდა, მაგრამ მოულოდნელობისგან დაიბნა და ბურთი კარს გადააცილა. როგორც აღმოჩნდა, ეს „ოდიშის" პირველი და უკანასკნელი მომენტი იყო. გოლის გატანის სხვა შესაძლებლობა, შორიდან დარტყმულებს თუ არ ჩავთვლით (მათი მოგერიება ჩლაიძეს არ გასჭირვებია), ზუგდიდელებს აღარც ჰქონიათ. სამაგიეროდ, „არსენალმა" გამოიღო ხელი და „ოდიშის" კართან მომენტები ბლომად შექმნა. არმიელთა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა — ამირიძის მარცხნიდან ჩაწოდებულს საჯარიმოში ჩასაფრებული ტანმორჩილი ტარიელაშვილი დაუხვდა, რომელმაც ზუსტი თავურით ანგარიში გახსნა. მეორე გოლი 37-ე წუთზე გავიდა. ამირიძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ისევ ტარიელაშვილმა გაგზავნა თავით კარში — 2:0. მატჩის ბედიც აქ გადაწყდა. სტუმრები მარცხს (მეორე ჯგუფში დაქვეითებასაც) შეეგუვნენ და ბრძოლა შეწყვიტეს. თამაშიც ცალკარას დაემსგავსა. ზირაქიშვილს ტაიმის მიწურულს მესამეს გატანაც შეეძლო, მაგრამ თავური სანტიმეტრებით ააცილა კარს. მას მეორე ტაიმშიც ჰქონდა რამდენიმე შანსი, თუმცა გადამწყვეტ ფაზაში სცოდავდა. სამაგიეროდ, ჩინებულად აგვირგვინებდა თავისიანთა შეტევებს მინდორზე უდავოდ საუკეთესო დავით ტარიელაშვილი, რომელმაც მე-80 წუთზე საჯარიმოს გარედან მოჭრილი დარტყმით ჰეთ-თრიქი შეასრულა. მან მანამდეც გაიტანა დაახლოებით ამდაგვარი გოლი, მაგრამ თანამსაჯმა პასიური თამაშგარე დააფიქსირა.

მატჩის შემდეგ ზუგდიდელი ფეხბურთელები დამწუხრებულნი და უიმედონი ჩანდნენ, ან კი რისი (ვისი) იმედი უნდა ჰქონდეთ, როცა უპრეზიდენტო გუნდს რაიონის ხელმძღვანელობა მიკროავტობუსით უშვებს სათამაშოდ.

# ინგლისი

## XXXVIII ტური

### არსენალი 1:0 ასტონ ვილა

1:0 კანუ (66)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, ვივასი (ლიუნგბერგი 15), პარლოუ, პეტი, ვიეირა, ოვერმარსი (დიავარა 79), ბერხკამპი, ანელკა (კანუ 61)
ასტონ ვილა: ოუქსი, ეჰიოგუ, კალდერვუდი (სტოუნი 79), საუთგეიტი, უოტსონი (ვესელი 72), შიმეცა, დრეპერი, გრეისონი (დელანი 72), რაიტი, ჟოაკიმი, მერსონი
გაფრთხილება: ადამსი, შიმეცა, უოტსონი, დრეპერი, საუთგეიტი
მსაჯი: გალაჰერი

### ჩარლტონი 0:1 შეფილდი

0:1 სონერი (79)
ჩარლტონი: პეტერსონი, მილსი, ტილერი, ბრაუნი (ბოუენი 64), პაუელი, სტიუარტი, კინსელა, რედფირნი (ბარნსი 63), რობინსონი (პრინგლი 70), ჯონსი, მენდონკა
შეფილდი: სრნიჩეკი, ჰასლამი (კრესველი 59), უოქერი, სტეფანოვიჩი, ტომი, რუდი, იონკი, აზერტონი, ალექსანდერსონი, ბუსი, კარბონე (სონერი 60)
გაფრთხილება: ჯონსი, უოქერი, აზერტონი, იონკი
გაძევება: აზერტონი (83)
მსაჯი: რიდი

### ჩელსი 2:1 დერბი

1:0 ბაბაიარო (40), 2:0 ვიალი (68), 2:1 კარბონარი (88)
ჩელსი: ხარინი, ფერერი, დაბერი (ტერი 57), ლამბურდი, ლე სო, დი მატეო (ნილტონი 76), უაიზი, პოიეტი, ბაბაიარო (პეტრესკუ 46), ფლო, ვიალი
დერბი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, პრაიორი, დელაპი, პაუელი, ერანიო, შნური (ჰარპერი 59), ბაიანო (ბეკი 59), ვანჩოპე, სტარიჯი (ბორტინი 81)
გაფრთხილება: ლამბურდი
მსაჯი: რილი

### ქოვენთრი 2:2 ლიდსი

0:1 უაინჰარდი (43), 1:1 ალოიზი (63), 2:1 ტელფერი (72), 2:2 ჰოპკინი (90)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, ბაროუზი (ედვორსი 37), შოუ, ბრინი (უილიამსი 46), ტელფერი, მაკალისტერი, ბოტენგი, სოლდტვედტი, ჰაკერბი (ალოიზი 58), ვილანი
ლიდსი: რობინსონი, ჰაალანდი (ჰოფკინი 46), გრენვილი (ჰარტი 72), რადებე, ვეზეროლი, რიბეირო (კიუელი 69), ბეტი, მაკფეილი, ჯონსი, უაინჰარდი, ჰასელბაინკი
გაფრთხილება: ედვორდსი, ჰაალანდი, ვეზეროლი
მსაჯი: ლოჯი

### ლივერპული 3:0 უიმბლდონი

1:0 ბერგერი (12), 2:0 რიდლე (50), 3:0 ინსი (65)
ლივერპული: ფრიდელი, სტონტონი (ბები 46, ტომპსონი 74), სონგი (ჰეგემი 85), მატეო, კარაგერი, ბერგერი, რედნაპი, ინსი, ლეონარდსენი, მაკმანამანი, რიდლე
უიმბლდონი: სალივანი, კიმბლი, პერი, ბლექველი, კანინჰემი, კენედი, ერლი, რობერტსი, კორტი (ჰიუზი 69), ჰარტსონი, გეილი
გაფრთხილება: ბები, რობერტსი
მსაჯი: ბერი

### ნოტინგემი 1:0 ლესტერი

1:0 ბარტ-უილიამსი (76)
ნოტინგემი: კროსლი, ლუი-ჟანი, პალმერი, ჩეტლი, ბონალაირი, პორფირიო (ედვარდსი 89), ბარტ-უილიამსი, მელტონი, როჯერსი, ფრიდმენი, ჰერვუდი
ლესტერი: არპექსედი, კამარკი, ელიოტი, სინკლერი (უოლში 70), ზაგორაკისი, ლენონი, ოუქსი (ჰესკი 50), სევიჯი, გაპი, კოტი, იზეტი
გაფრთხილება: ბონალაირი, პორფირიო
მსაჯი: დანი

### ნიუკასლი 1:1 ბლექბერნი

0:1 უილკოქსი (37), 1:1 ჰამანი (51)
ნიუკასლი: ჰარპერი, ბარტონი, ჰიუზი, დაბიზასი, გრიფინი, სოლანო, ჰამანი, ლი (გლასი 51), სპიდი, ქეცბაია (საჰა 63), მარიჩი
ბლექბერნი: ფილანი (ფლაუერსი 45), დანი (ჯონსონი 45), პიკოკი, ბრუმსი, დევიდსონი, კერსლი, კროფტი, გილესპი, უილკოქსი, გალაჰერი (ტეილორი 54), უორდი
გაფრთხილება: უილკოქსი
მსაჯი: ვინტერი

### მანჩესტერი 2:1 ტოტენჰემი

0:1 ფერდინანდი (24), 1:1 ბექემი (42), 2:1 კოული (47)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, მეი, იონსენი, ირვინი, ბექემი, სქოულზი (ბათი 69), კინი, გიგზი (ფ. ნევილი 79), იორკი, შერინგემი (კოული 45)
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ედინბურგი, სკეილზი (იანგი 70), კემპბელი, ანდერტონი, ფროინდი, შერვუდი, ჟინოლა (დომინგუში 9, სინტონი 77), ფერდინანდი, ივერსენი
გაფრთხილება: შერინგემი, ანდერტონი
მსაჯი: პოლი

### საუთჰემპტონი 2:0 ევერტონი

1:0, 2:0 პახარსი (24, 68)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, მერსდენი, მონკუ, ლუნდეკვამი, ლე ტისიე (ოსტენსტადი 88), მ. ჰიუზი, ბიტი, პახარსი (ბერესფორდი 80), კაჩლოული
ევერტონი: მირე, უეირი, შორტი (ბაკაიოკო 63), უოტსონი, ანსუორსი, ბოლი, ჰაჩისონი, დაკურტი, ჯემილი (დენი 73), კემპბელი, ჯეფერსი (კადამარტერი 63)
გაფრთხილება: ლე ტისიე, მერსდენი, პახარსი, ჰაჩისონი
მსაჯი: ბარბერი

### ვესტ ჰემი 4:0 მიდლსბრო

1:0 ლამპარდი (4), 2:0 კელერი (26), 3:0, 4:0 სინკლერი (75, 78)
ვესტ ჰემი: ფორესტი, პოტსი, რადოკი, ფერდინანდი, მინტო, ბერკოვიჩი, ლამპარდი, ფოე, კელერი, დი კანიო, სინკლერი (კოული 83)
მიდლსბრო: შვარცერი, კამინსი (არმსტრონგი 46), პალისტერი, ვიკერსი, გორდონი, ონილი, თაუნსენდი, სამერბელი, მასტო, რიკარდი, დინი (კემპბელი 73)
გაფრთხილება: ფოე, რადოკი, ლამპარდი, რიკარდი, ვიკერსი
მსაჯი: უილარდი

# იცით, რა ამაყი იყო?

**გუშინ** ქუჩაში ერთი პატარა ბიჭი დავინახე „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურში. იცით, რა ამაყი და კმაყოფილი იყო? ძალიან...

მაშ ასე, „იუნაიტედი“ ინგლისის ჩემპიონია. თავის ისტორიაში მეთერთმეტედ, ბოლო შვიდ წელიწადში მეხუთედ. შინ, „ოლდ ტრეფორდზე“, „მანჩესტერს“ ეს ტიტული 60-იანი წლების შუაგულის შემდეგ აღარ მოუგია.

— გოლი რომ გავუშვით, სუნთქვა შემეკრა. თავში საშინელი აზრები მომივიდა, მაგრამ მხოლოდ წამიერად. მერე და მერე ვირწმუნე — ჩვენ გავიმარჯვებდით. ბურთს პირველად შევეხე თუ არა, გოლი გავიდა, ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი ჩემს ცხოვრებაში — იტყვის კვირას საღამოს ინგლისის ჩემპიონი ენდი კოული, რომელმაც იან უოქერს გადამწყვეტი ბურთი შეუგდო.

— მიუხედავად გაშვებული გოლისა, ყველა დარწმუნებული ვიყავით, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა — კოულის დარად დაიწყო გამთანაბრებელი გოლის გამტანმა დევიდ ბექემმა — სხვა გზა, უბრალოდ, არ გვქონდა, 55 ათასი მანჩესტერელი ქომაგი შინ დალონებული არ უნდა გაგვეშვა. ძალიან ბედნიერები ვართ, მეტი რომ არ შეიძლება — დაამატა მან.

„ოლდ ტრეფორდი“ მატჩის 24-ე წუთზე შოკში ჩავარდა, „ტოტენჰემელმა“ ლეს ფერდინანდმა წამით დაასწრო გარი ნევილს და შმაიხელს ბურთი თავზე გადაუგდო. ზუსტად 18 წუთი დასჭირდა დევიდ ბექემს, რათა ულამაზესი დარტყმით ანგარიში გაეთანაბრებინა და „ოლდ ტრეფორდული“ შოკი იმედით შეეცვალა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ორ წუთში კოულმა „ტოტენჰემზე“ და პირადად ფერდინანდზე იძია შური, უოქერს ლამაზად გადაატარა ბურთი თავსზემოთ და ბექემის შექმნილი იმედი, როგორც შეხვედრის მსაჯის, გრემ პოლის საფინალო სასტვენმა ცხადყო, რეალობად აქცია.

მანჩესტერული ტრილოგიის პირველი სერია ბენეფისად იქცა. „იუნაიტედი“ უკვე ქვეყნის ჩემპიონია. ორი რთული ნაბიჯილაა გადასადგმელი: 22 მაისს „უემბლიზე“ ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლთან“, ოთხი დღის შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგის ფინალში გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნთან“ ბარსელონის „კამპ ნოუზე“.

ლონდონის „არსენალი“ ინგლისის ვიცე-ჩემპიონია, დედაქალაქელებმა შარშანდელი სეზონის მსგავსად 78 ქულა მოაგროვეს, მაშინ ეს საკმარისი იყო პირველობისთვის, ახლა კი — არა.

— მთელი სულით და გულით ვულოცავ „მანჩესტერს“. ამ გუნდმა წლეულს არნახულად კარგი სეზონი ჩაატარა და გამარჯვებას ნაღდად იმსახურებდა, თუმცა ჩემი ბიჭებითაც ძალიან ვამაყობ. ამ წუთისთვის ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ხანგრძლივი, გრძელი მარათონის ფინიშამდე ერთი იარდი დაგვაკლდა.

ლონდონურ „ჰაიბერიზე“ დიდი ბრძოლა გაჩაღდა. „არსენალი“ რომ ბოლომდე იომებდა, ცხადი იყო, ხოლო თუ რატომ შეაკლა თავი მას ბირმინგემის „ასტონ ვილამ“, ამაზე ცოტა ქვემოთ.

ახლა ცხრილის ფსკერზე ჩავინაცვლოთ, სადაც არანაკლებ დაძაბული ვითარება სუფევდა. „ბლექბერნ როვერსი“ და „ნოტინგემ ფორესტი“ რომ პრემიერლიგიდან გავარდნილები იყვნენ, აქამდეც ცნობილი იყო. ბოლო, 38-ე ტურს მესამე უბედური უნდა გაერკვია. ამის ორი კანდიდატი არსებობდა: „საუთჰემპტონი“ და ლონდონის „ჩარლტონ ატლეტიკი“. პირველი შინ ლივერპულის „ევერტონს“ ხვდებოდა, „ჩარლტონი“ კი „შეფილდ უენსდეის“.

საბოლოოდ გაირკვა, რომ „ჩარლტონის“ იმედებს თავად „ჩარლტონმა“ და ლატვიელმა ფორვარდმა მარიან პახარსმა მოუღეს ბოლო — „ატლეტიკი“ „შეფილდთან“ დამარცხდა, „საუთჰემპტონელმა“ პახარსმა კი დუბლი შეასრულა, თავის გუნდს 2:0 მოაგებინა და პრემიერლიგაში დატოვა.

— ასე მგონია, რომ დღეს ინგლისის ჩემპიონები გავხდით — თქვა „საუთჰემპტონის“ თავკაცმა დეივ ჯონსმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ სარკინიგზო კატასტროფაში ცოლისძმა დაეღუპა — ჩვენ რომ პრემიერლიგიდან გავარდნილიყავით, ეს ტრაგედია გაგრძელდებოდა, რასაც ძნელად გადავიტანდი. მასთან (ცოლისძმასთან) ახლო ურთიერთობა მქონდა, ძალიან მიყვარდა და ამ წარმატებას სწორედ მას ვუძღვნი.

ჯონსმა ცოტა ხნის წინ რიგის „სკონტოდან“ 800 ათას გირვანქად (1,3 მილიონი დოლარი) ნაყიდი პახარსიც შეაქო:

— დღეს იგი დიდებული იყო. პახარსი ჯერ 22 წლისაა, ინგლისურ ფეხბურთს მშვენივრად აუღო ალღო და დარწმუნებული ვარ ბრწყინვალე მომავალი ექნება.

საერთო მდგომარეობის გააანალიზების დროც დადგა. ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდა, მეორე ადგილზე „არსენალი“ გავიდა, „ჩელსი“ მესამეა. ეს გუნდები მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასისთვის იბრძოლებენ. მეოთხეადგილოსან „ლიდსისთვის“ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მოიგებს თუ არა „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგას.

უეფას თასზე ითამაშებენ: „ლიდს იუნაიტედი“, ლიგის თასის მფლობელი „ტოტენჰემ ჰოთსფური“ და ასოციაციის თასის ფინალისტი „ნიუკასლ იუნაიტედი“, ვინაიდან მისი მეტოქე ფინალში „მანჩესტერია“. დიდი შანსია, უეფას თასზე ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედიც“ მოხვდეს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ *FAIR PLAY*, რომელსაც აქვს უფლება სამართლიანი თამაშისთვის სამ გუნდს ამ შეჯიბრის საგზური მისცეს, ერთ-ერთ ქვეყნად ინგლისს აირჩევს. სწორედ ამიტომ იბრძოდა ბოლომდე „ასტონ ვილა“ „არსენალთან“, მოგების შემთხვევაში ბირმინგემელები „ვესტ ჰემს“ გადაუსწრებდნენ და მეხუთე ადგილზე გავიდოდნენ.

პრემიერლიგა დატოვეს ინგლისის ოთხიწლისწინანდელმა ჩემპიონმა „ბლექბერნ როვერსმა“ და უძლიერესთა შორის მიმდინარე სეზონში გადმოსულებმა — „ჩარლტონმა“ და „ნოტინგემმა“.

კვლავაც ვერავინ შეძლო, მარტოს მოეპოვებინა საუკეთესო მეგოლის სახელი. შარშან ბომბარდირი ერთდროულად სამი ფეხბურთელი გახდა — ლივერპულელი მაიკლ ოუენი, ბლექბერნელი კრის სატონი და ქოვენთრელი დიონ დაბლინი (18-18 გოლით). წლეულსაც ასე მოხდა — ყველაზე მეტჯერ მეტოქის კარი კვლავ სამმა თავდამსხმელმა: მანჩესტერელმა დუაიტ იორკმა, ლიდსელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა და ლივერპულელმა მაიკლ ოუენმა დალაშქრეს და სამივემ კვლავ 18-18 ბურთი შეაგდო...

ისე, მაინც რა ამაყი იყო ის ბიჭი, გუშინ რომ ვნახე ქუჩაში.

**დავით ქოვზირიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 38 | 22 | 13 | 3 | 80:37 | 43 | 79 | 19 | 14 | 4 | 1 | 45:18 | 27 | 46 | 19 | 8 | 9 | 2 | 35:19 | 16 | 33 |
| 2 | არსენალი | 38 | 22 | 12 | 4 | 59:17 | 42 | 78 | 19 | 14 | 5 | 0 | 34:5 | 29 | 47 | 19 | 8 | 7 | 4 | 25:12 | 13 | 31 |
| 3 | ჩელსი | 38 | 20 | 15 | 3 | 57:30 | 27 | 75 | 19 | 12 | 6 | 1 | 29:13 | 16 | 40 | 19 | 8 | 9 | 2 | 28:17 | 11 | 33 |
| 4 | ლიდსი | 38 | 18 | 13 | 7 | 62:34 | 28 | 67 | 19 | 12 | 5 | 2 | 32:9 | 23 | 41 | 19 | 6 | 8 | 5 | 30:25 | 5 | 26 |
| 5 | ვესტ ჰემი | 38 | 16 | 9 | 13 | 46:53 | -7 | 57 | 19 | 11 | 3 | 5 | 32:26 | 6 | 36 | 19 | 5 | 6 | 8 | 14:27 | -13 | 21 |
| 6 | ასტონ ვილა | 38 | 15 | 10 | 13 | 51:46 | 5 | 55 | 19 | 10 | 3 | 6 | 33:28 | 5 | 33 | 19 | 5 | 7 | 7 | 18:18 | 0 | 22 |
| 7 | ლივერპული | 38 | 15 | 9 | 14 | 68:49 | 19 | 54 | 19 | 10 | 5 | 4 | 44:24 | 20 | 35 | 19 | 5 | 4 | 10 | 24:25 | -1 | 19 |
| 8 | დერბი | 38 | 13 | 13 | 12 | 40:45 | -5 | 52 | 19 | 8 | 7 | 4 | 22:19 | 3 | 31 | 19 | 5 | 6 | 8 | 18:26 | -8 | 21 |
| 9 | მიდლსბრო | 38 | 12 | 15 | 11 | 48:54 | -6 | 51 | 19 | 7 | 9 | 3 | 25:18 | 7 | 30 | 19 | 5 | 6 | 8 | 23:36 | -13 | 21 |
| 10 | ლესტერი | 38 | 12 | 13 | 13 | 40:46 | -6 | 49 | 19 | 7 | 6 | 6 | 25:25 | 0 | 27 | 19 | 5 | 7 | 7 | 15:21 | -6 | 22 |
| 11 | ტოტენჰემი | 38 | 11 | 14 | 13 | 47:50 | -3 | 47 | 19 | 7 | 7 | 5 | 28:26 | 2 | 28 | 19 | 4 | 7 | 8 | 19:24 | -5 | 19 |
| 12 | შეფილდი | 38 | 13 | 7 | 18 | 41:42 | -1 | 46 | 19 | 7 | 5 | 7 | 20:15 | 5 | 26 | 19 | 6 | 2 | 11 | 21:27 | -6 | 20 |
| 13 | ნიუკასლი | 38 | 11 | 13 | 14 | 48:54 | -6 | 46 | 19 | 7 | 5 | 6 | 26:25 | 1 | 27 | 19 | 4 | 7 | 8 | 22:29 | -7 | 19 |
| 14 | ევერტონი | 38 | 11 | 10 | 17 | 42:47 | -5 | 43 | 19 | 6 | 8 | 5 | 22:12 | 10 | 26 | 19 | 5 | 2 | 12 | 20:35 | -15 | 17 |
| 15 | ქოვენთრი | 38 | 11 | 9 | 18 | 39:51 | -14 | 42 | 19 | 8 | 6 | 5 | 26:21 | 5 | 30 | 19 | 3 | 3 | 13 | 13:30 | -17 | 12 |
| 16 | უიმბლდონი | 38 | 10 | 12 | 16 | 40:63 | -23 | 42 | 19 | 7 | 7 | 5 | 22:21 | 1 | 28 | 19 | 3 | 5 | 11 | 18:42 | -24 | 14 |
| 17 | საუთჰემპტონი | 38 | 11 | 8 | 19 | 37:64 | -27 | 41 | 19 | 9 | 4 | 6 | 29:26 | 3 | 31 | 19 | 2 | 4 | 13 | 8:38 | -30 | 10 |
| 18 | ჩარლტონი | 38 | 8 | 12 | 18 | 41:56 | -15 | 36 | 19 | 4 | 7 | 8 | 20:20 | 0 | 19 | 19 | 4 | 5 | 10 | 21:36 | -15 | 17 |
| 19 | ბლექბერნი | 38 | 7 | 14 | 17 | 38:52 | -14 | 35 | 19 | 6 | 5 | 8 | 21:18 | 3 | 23 | 19 | 1 | 9 | 9 | 17:28 | -11 | 12 |
| 20 | ნოტინგემი | 38 | 6 | 10 | 22 | 35:69 | -34 | 30 | 19 | 3 | 7 | 9 | 18:31 | -13 | 16 | 19 | 4 | 2 | 13 | 17:38 | -21 | 14 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 18 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 18 |
| ოუენი (ლივერპული) | 18 |
| ანელკა (არსენალი) | 17 |
| კოული (მანჩესტერი) | 17 |

## პლეი ოფები

პირველი მატჩები

### I დივიზიონი

**ბოლტონი 1:0 იფსვიჩი**
1:0 იოჰანსენი (84)

**უოტფორდი 1:0 ბირმინგემი**
1:0 ნგონგე (5)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 19 მაისს.*

### II დივიზიონი

**პრესტონი 1:1 ჯილინჰემი**
1:0 ეირსი (54), 1:1 ტეილორი (79)

**ვიგანი 1:1 მანჩესტერ სიტი**
1:0 ბერლოუ (1), 1:1 დიკოვი (76)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 20 მაისს*

### III დივიზიონი

**ლეიტონ ორიენტი 0:0 როზერჰემი**

**სუონსი 1:0 სკანთორპი**
1:0 ბოუნდი (44)

*საპასუხო მატჩები გაიმართება 19 მაისს*

## გერმანია

### XXXII ტური

**შტუტგარტი 3:1 ფრაიბურგი**

0:1 გიუნეში (33), 1:1 ტიამი (44), 2:1 ბობიჩი (60), 3:1 ტიამი (87)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი (პინტო 46), შპანრინგი, ოსვალდი, კელერი, ტიამი, ცაიერი, ჟორჟევიჩი (ლისტეში 59), ფრომერი (აკპობორი 59), ბალაკოვი, ბობიჩი
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი (შ. მიულერი 60), დიარა, პერმელი, გიუნეში, პავლინი, ვილი (რიტპიჩი 66), ცქიტიშვილი (ჰამპლი 75), ბაია, ვაისჰაუპტი, სელიმი
გაფრთხილება: შპანრინგი, შუმანი, ვილი, ცქიტიშვილი
მსაჯი: ჰაინემანი

**ნიურნბერგი 2:0 ბაიერნი**

1:0 ჩირიჩი (70), 2:0 დრილერი (80)
ნიურნბერგი: კიოპკე, ფ. ბაუმანი, ვან ეკი, ნიკლი, გიუნტერი, შტორცენჰოფეკერი (რაინჰარდტი 86), ოეხლერი, დრილერი, გერბერი, ჩირიჩი (გრასერი 83), კურტი (ვაიგლი 46)
ბაიერნი: შოიერი, ლინკე (იოჰანსონი 82), ჰელმერი, მათეუსი (იერემისი 46), ბაბელი, ტარნატი, ეფენბერგი, ფინკი, სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 46), შოლი, დაეი
გაფრთხილება: გიუნტერი, შტორცენჰოფეკერი, დაეი
მსაჯი: მერკი

**დუისბურგი 0:0 ლევერკუზენი**

დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი (შრამი 69), ვოლტერსი, ვოლერტი, ჰირში, კომლიენოვიჩი, ოსტჰოფი, ვედაუ, ბუგერა (შპისი 88), ანდერსენი, ბაიერლე
ლევერკუზენი: მატიშეკი, ჟივკოვიჩი (ჰაპე 65), რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჰაინცე, რეები, ემერსონი, ნ. კოვაჩი, ჰეიდუკი (რაიხენბერგერი 68), ზე რობერტო, კირსტენი (რინკი 73)
გაფრთხილება: ემერლინგი, ჰირში, შრამი, ვედაუ, ვოლერტი, ჰეიდუკი, კირსტენი, ნ. კოვაჩი, ჟივკოვიჩი
მსაჯი: ალბრეხტი

**შალკე 0:2 ლაუტერნი**

0:1 შიონბერგი (73პ), 0:2 რიშე (89)
შალკე: რეკი, დე კოკი, ვან ჰოგდალემი, ა. მიულერი, ალპუგანი, ნემეცი, ბიუსკენსი, ჰელდი, ვილმოტსი, ჰამი (ვოლფი 71), მულდერი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი (სამირი 46), როოსი, შიონბერგი, რიდლი, რაიხი (ბალაკი 60), ბუკი, სფორცა, მარშალი, როსლერი (რიშე 79)
გაფრთხილება: ვოლფი, ბიუსკენსი, ბალაკი
გაძევება: ბიუსკენსი (72)
მსაჯი: დარდენე

**ჰერტა 2:0 ჰანზა**

1:0 ნოიენდორფი (75), 2:0 ჰარტმანი (83)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, რეკდალი, სვერისონი, ჰარტმანი, ტომი (სანე 62), ვაიტი (შმიდტი 35), ნოიენდორფი (არაჩიჩი 86), ტრეჩოკი, ვოში, პრეეტცი
ჰანზა: პიკენჰაგენი, რემერი, ვაილანდტი, ელერსი, ვიბრანი, იასერი (დოვე 77), ლანგე (რამდანე 77), ემარა (ფუქსი 69), ბრაიტკროიცი, აგალი, მაიაკი
გაფრთხილება: ჰარტმანი, ჰერცოგი, ნოიენდორფი, ბრაიტკროიცი, მაიაკი, აგალი
გაძევება: აგალი (75)
მსაჯი: შტარკი

**აინტრახტი 2:0 დორტმუნდი**

1:0 ფიორტოფტი (40), 2:0 სობოჩიკი (49)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, იანსენი, კუჩერა, შური, ცამპახი (ბრინკმანი 84), ბ. შნაიდერი, ვებერი, სობოჩიკი (პისონტი 90), ფიორტოფტი (ხუბჩევი 86), ჩენ იანგი
დორტმუნდი: ლემანი, კ. ბაუმანი, სტევიჩი, კოლერი, ნერლინგერი (ჰენგენი 70), დედე, ბარბარესი (ნიეგუსი 78), რიკენი (ტიმი 61), მიოლერი, ჰერლიხი, შაპუიზა
გაფრთხილება: იანსენი, შური, ბარბარესი, შაპუიზა, კ. ბაუმანი, კოლერი, მიოლერი, ნერლინგერი
მსაჯი: შტრამპე


REUTERS ნიურნბერგიდან

ნიურნბერგი — ბაიერნი 2:0. მიხაელ ტარნატისა (მარჯვნივ) და არმინ შტორცენჰოფეკერის საჰაერო დუელი

# გლადბახში გაცნობილნი

**ბოხუმი 0:2 ვოლფსბურგი**

0:1 ტომსენი (27), 0:2 ბაუმგარტი (74)
ბოხუმი: კიშკო, სუნდერმანი, ვალდოხი, კრახტი, შინდცილორცი, დიკჰაუტი (გაუდინო 18), ფარენჰორსტი, რაისი (ნ. ჰოფმანი 46), მიხალკე, ბუკლი, დრინჩიჩი (კუნცი 57)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, კოვაჩევიჩი, ტომსენი, კრიგერი, მალტრიცი, ონილი, დამაიერი, კაპეტანოვიჩი, აკონორი (დებრიცი 84), პრეგერი (ბაუმგარტი 66), იუსკოვიაკი (შანდა 87)
გაფრთხილება: სუნდერმანი, კრიგერი
მსაჯი: შტაინბორნი

**გლადბახი 2:2 ჰამბურგი**

0:1 იებოა (58), 1:1 სოპიჩი (62), 2:1 ჰაუსვაილერი (78), 2:2 ბუტი (89პ)
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, ებერლი, ასანინი, ფრონცეკი (რაიტერი 60), სოპიჩი, ჰაუსვაილერი, დაისლერი (პოლსტერი 71), კეტელაერი (მ. შნაიდერი 71), ვიტეჩეკი, პეტერსონი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა (შპიორლი 46), ჰერჩი, ფ. ერნსტი, გროთი, გრამოცისი, კურტიანი (ბაბატცი 24), კირიაკოვი, იებოა, დემბინსკი (დოლი 67)
გაფრთხილება: დაისლერი, პეტერსონი, ვიტეჩეკი, ბაბატცი, შპიორლი, პანადიჩი
გაძევება: პანადიჩი (82)

**მიუნხენი 1:3 ვერდერი**

0:1 ვოიტალა (10), 1:1 ჰობში (18), 1:2 ბოდე (38), 1:3 მაქსიმოვი (86)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ზელიჩი, ვანენბურგი, კურცი (ჟორჟესი 46), ბორიმიროვი (ჩიჟეკი 56), ტაისი, ჩერნი, ჰელდტი, ბენდერი (ოუაკილი 64), შროტი, ჰობში
ვერდერი: ფ. როსტი, ტოდტი, ვოიტალა, ტრარესი, დაბროვსკი, ვიკი (ბენკენი 30), ფრინგსი, ვიდნერი, ჰერცოგი (ფლოკი 56), მაქსიმოვი, ბოდე (აილტონი 90)
გაფრთხილება: ჰელდტი, ჰობში, ვანენბურგი, ტრარესი, ვიდნერი
მსაჯი: ფანდელი

„ხანდახან გულშემატკივრები ისე იქცევიან, ღიზიანდები და თავს ველარ აკონტროლებ. მეც ასე დამემართა" — თავი იმართლა „დუისბურგთან" მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის" საუკეთესო ფეხბურთელმა, ბომბარდირობისთვის მებრძოლმა ულფ კირსტენმა. ალბათ, იკითხავთ, რა ჩაიდინა თავდამსხმელმა ასეთი, რომ ამის თქმა დასჭირდაო. შეხვედრის 73-ე წუთზე დაუმმა ცუდად მოთამაშე კირსტენი შეცვალა, გასახდელისკენ მიმავალი გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი „დუისბურგის" ქომაგებმა სტვენით გააცილეს, კირსტენმა არც აცია, არც აცხელა და ეფენბერგს მიბაძა, ანუ მაყურებელს მარჯვენა ხელის შუა თითი დაანახა. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეფენბერგი ასეთი საქციელისთვის მკაფრად გაკიცხეს. ეგ კი არა, მაშინდელმა მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა ნაკრების კარი რამდენიმე წლითაც მიუხურა ფეხბურთელს. „ლევერკუზენის" მთავარი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი კირსტენს, ალბათ, ვერ შეელევა, მაგრამ 33 წლის ფეხბურთელს რომ საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოუწევს და არც ჯარიმა აცდება ნაღდია.

ის მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. სტუმრად მოპოვებულმა ქულამ „ლევერკუზენს" მეორე ადგილი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის საგზური გაუნაღდა. რაც შეეხება თამაშს, იგი ძალიან უინტერესო გამოდგა. მთელი მატჩის მანძილზე სულ სამი-ოთხი მომენტი შეიქმნა, აქედან ერთი ზემოთ ნახსენებ კირსტენსაც ჰქონდა, მაგრამ მისი თავური ოდნავ არაზუსტი გამოდგა. თამაშიდან გამომდინარე, ფრე სრულიად ლოგიკური შედეგი გახლდათ.

„ფრაიბურგი" „შტუტგარტს" ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელის გარეშე ეწვია და ბუნებრივია, დამარცხდა — 1:3. ქართველთაგან მხოლოდ ლევან ცქიტიშვილმა ითამაშა. ლევან კობიაშვილმა მატჩი ავადმყოფობის გამო გამოტოვა. მას რომ სისხლი მოეწამლა და საავადმყოფოში წევს, უკვე გაცნობეთ. თამაში მასპინძელთა კარნახით წარიმართა. დებიუტშივე ბობიჩმა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი დაკარგა, როდესაც ორიოდე მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი. მალე იგი პირისპირ დარჩა გოლცთან, მაგრამ დარტყმა დააყოვნა, ისევე, როგორც მოგვიანებით ბალაკოვმა. 33-ე წუთზე კი გოლიც გავიდა, ოღონდ მასპინძელთა კარში. „ფრაიბურგის" ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გიუნეშმა შორიდან ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. თუმცა ტაიმის მიწურულს წონასწორობა აღდგა — ტიამის თავურს გოლცი ვერ გაუმკლავდა. მეორე ნახევარში „შტუტგარტმა" კიდევ ორჯერ გაიხარა. ჯერ ბობიჩმა გამოიყენა ცქიტიშვილის უხეში შეცდომა, ბოლოს კი ისევ ტიამმა ივარგა, როდესაც შორიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და თავისიანებს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

„ბუნდესლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ერთი ქულა გვჭირდება. წესით, იგი დღესვე უნდა მოგვეპოვებინა, მაგრამ დაწინაურების შემდეგ საქმე მოთავებულად ჩავთვალეთ და მოვდუნდით. მეტოქემაც დაგვსაჯა" — განაცხადა ნამატჩევს „ფრაიბურგის" მწვრთნელმა, ფოლკერ ფინკემ.

ეჭვების აღმძვრელი მატჩი გაიმართა ნიურნბერგში, სადაც ოფიციალური ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი" იყო ჩასული. ასე სუსტად მიუნხენელებს წლეულს არ უთამაშიათ. 90 წუთში ისინი მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ მეტოქეს. შოიერის კართან კი მომენტი მომენტზე იქმნებოდა. „ბაიერნის" თავკაც ოტმარ ჰიტცფელდს შეუძლია მშვიდად იყოს, ჩემპიონთა ლიგის ფინალისთვის ტრავმირებული მეკარე ოლივერ კანი თუ არ მოუშუშდა, შეუძლია მის შემცვლელ სვენ შოიერს ენდოს. შოიერმა ნიურნბერგში ბრწყინვალედ ითამაშა. დრილერს, ჩირიჩს, კურტს უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს. ბოლოს, „ნიურნბერგმა" რომ ვერაფერი გააწყო, მიუნხენელებმა საკუთარ კარში გაიტანეს. 70-ე წუთზე ჩირიჩის დარტყმული ბურთი ლინკემ მოგერიების ნაცვლად თავის კარში გაახვია, ათ წუთში კი დრილერი მესამედ (!) გავიდა შოიერთან პირისპირ და მეორე გოლი გაიტანა, მანამდე ჩირიჩიც ერთხელ დარჩა მეკარესთან ერთი-ერთზე, მაგრამ შოიერმა იმარჯვა. ახლა კი იმაზე ვთქვათ, რატომ იყო მატჩი წაქცევ. თამაშამდე „ნიურნბერგის" მწვრთნელი ფრიდელ რაუში შტეფან ეფენბერგს შეხვდა და ტელეკამერების წინ საკმაოდ ტკბილად ესაუბრა (მათ რომ „მიონხენგლადბახიდან" კარგი ურთიერთობა აქვთ, საყოველთაოდაა ცნობილი). ეს საუბარი შესვენების დროსაც გაგრძელდა, თამაშის შემდეგ კი ხვევნა-კოცნით დასრულდა. „ეფეს" სიტყვას რომ გუნდში დიდი ფასი აქვს, მგონი, სადავო არ არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ნიურნბერგის" მეკარე ანდრეას კიოპკეს გერმანიის ნაკრების წევრ მიუნხენელ ფეხბურთელებთან მეგობრობა აკავშირებს, ყველაფერი ნათელი გახდება — „ბაიერნმა" ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი „ნიურნბერგი" არ გაწირა.

ერთნაირი ანგარიშით მოიგეს თავიანთი მატჩები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის მებრძოლმა „ჰერტამ" და „კაიზერსლაუტერნმა", თანაც ორივემ ბოლო 17 წუთში გაიტანა გოლები. „ჰანზა" ბერლინელებს მათივე მოედანზე 75-ე წუთამდე უძალიანდებოდა, მერე კი ნოიენდორფმა ულამაზესი ბურთი შეაგდო, რასაც ჰარტმანმა კიდევ ერთი დაამატა. „ლაუტერნი" კი „შალკესთან" საგარეო მატჩში დანიელი შიონბერგის გოლით (პენალტიდან) დაწინაურდა. დამთავრებამდე წუთით ადრე კი რიშემ მეორეც გაიტანა. ახლა მათი გასწრების შანსი „ვოლფსბურგსღა" დარჩა, რომელმაც სტუმრად „ბოხუმის" ასეთივე ანგარიშით ძლევით თავისი საქმე კი გაიკეთა, მაგრამ „ბოხუმისა" გააფუჭა. ბოხუმელები ბუნდესლიგიდან გავარდნას ძნელად თუ გადაურჩებიან.

„დორტმუნდმა" ფრანკფურტში „აინტრახტთან" დამარცხების შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში გასვლის იმედი, ფაქტობრივად, გადაიწურა. „აინტრახტს" წინა ტურში სტუმრად „ვერდერის" ძლევამ პირველ ბუნდესლიგაში დარჩენის შანსი მისცა, ახლა კი შინ „დორტმუნდის" 2:0 დამარცხებით მცირე შანსი ერთიორად გაიზარდა.

**ვანო ოქროპირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 32 | 22 | 6 | 4 | 70:25 | 45 | 72 | 16 | 13 | 3 | 0 | 44:13 | 31 | 42 | 16 | 9 | 3 | 4 | 26:12 | 14 | 30 |
| 2 | ლევერკუზენი | 32 | 17 | 12 | 3 | 60:27 | 33 | 63 | 16 | 9 | 6 | 1 | 32:13 | 19 | 33 | 16 | 8 | 6 | 2 | 28:14 | 14 | 30 |
| 3 | ჰერტა | 32 | 16 | 8 | 8 | 51:31 | 20 | 56 | 16 | 13 | 1 | 2 | 32:9 | 23 | 40 | 16 | 3 | 7 | 6 | 19:22 | -3 | 16 |
| 4 | ლაუტერნი | 32 | 16 | 6 | 10 | 46:42 | 4 | 54 | 16 | 10 | 3 | 3 | 30:19 | 11 | 30 | 16 | 6 | 3 | 7 | 16:24 | -8 | 21 |
| 5 | ვოლფსბურგი | 32 | 14 | 10 | 8 | 52:42 | 10 | 52 | 16 | 9 | 5 | 2 | 34:16 | 18 | 32 | 16 | 5 | 5 | 6 | 18:26 | -8 | 20 |
| 6 | დორტმუნდი | 32 | 14 | 9 | 9 | 43:33 | 10 | 50 | 16 | 13 | 2 | 1 | 32:9 | 23 | 41 | 16 | 1 | 7 | 8 | 11:24 | -13 | 10 |
| 7 | ჰამბურგი | 32 | 12 | 11 | 9 | 43:39 | 4 | 47 | 16 | 8 | 5 | 3 | 22:13 | 9 | 29 | 16 | 4 | 6 | 6 | 21:26 | -5 | 18 |
| 8 | დუისბურგი | 32 | 12 | 10 | 10 | 42:41 | 1 | 46 | 16 | 8 | 5 | 3 | 26:17 | 9 | 29 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:24 | -8 | 17 |
| 9 | მიუნხენი | 32 | 11 | 8 | 13 | 44:48 | -4 | 41 | 16 | 7 | 4 | 5 | 24:18 | 6 | 25 | 16 | 4 | 4 | 8 | 20:30 | -10 | 16 |
| 10 | შალკე | 32 | 9 | 11 | 12 | 34:47 | -13 | 38 | 16 | 5 | 5 | 5 | 18:20 | -2 | 21 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:27 | -11 | 17 |
| 11 | შტუტგარტი | 32 | 8 | 12 | 12 | 39:45 | -6 | 36 | 16 | 7 | 5 | 4 | 24:15 | 9 | 26 | 16 | 1 | 7 | 8 | 15:30 | -15 | 10 |
| 12 | ფრაიბურგი | 32 | 9 | 9 | 14 | 34:41 | -7 | 36 | 16 | 5 | 6 | 5 | 17:16 | 1 | 21 | 16 | 4 | 3 | 9 | 17:25 | -8 | 15 |
| 13 | ნიურნბერგი | 32 | 7 | 15 | 10 | 38:47 | -9 | 36 | 16 | 3 | 11 | 2 | 22:21 | 1 | 20 | 16 | 4 | 4 | 8 | 16:26 | -10 | 16 |
| 14 | ვერდერი | 32 | 9 | 8 | 15 | 37:45 | -8 | 35 | 16 | 3 | 6 | 7 | 20:22 | -2 | 15 | 16 | 6 | 2 | 8 | 18:22 | -4 | 20 |
| 15 | ჰანზა | 32 | 8 | 10 | 14 | 45:55 | -10 | 34 | 16 | 7 | 5 | 4 | 29:20 | 9 | 26 | 16 | 1 | 5 | 10 | 16:34 | -18 | 8 |
| 16 | აინტრახტი | 32 | 7 | 10 | 15 | 36:51 | -15 | 31 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:20 | 1 | 21 | 16 | 2 | 4 | 9 | 15:31 | -16 | 10 |
| 17 | ბოხუმი | 32 | 7 | 8 | 17 | 36:58 | -22 | 29 | 16 | 5 | 3 | 8 | 19:25 | -6 | 18 | 16 | 2 | 5 | 9 | 17:33 | -16 | 11 |
| 18 | გლადბახი | 32 | 4 | 9 | 19 | 40:73 | -33 | 21 | 16 | 4 | 4 | 8 | 25:33 | -8 | 16 | 16 | 0 | 5 | 11 | 15:40 | -25 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 19 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 18 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| იებოა (ჰამბურგი) | 13 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 13 |

### XXXIII ტური

22 მაისი

შალკე - აინტრახტი (2:1)
ვოლფსბურგი - ლევერკუზენი (0:3)
ბაიერნი - ბოხუმი (2:2)
ჰანზა - ნიურნბერგი (2:2)
ფრაიბურგი - ჰერტა (0:1)
ჰამბურგი - შტუტგარტი (1:3)
ვერდერი - გლადბახი (1:0)
დორტმუნდი - მიუნხენი (0:2)
ლაუტერნი - დუისბურგი (1:3)

## მეორე ბუნდესლიგა

### XXX ტური

**ჰანოვერი 3:1 ურდინგენი**

1:0 კროიცი (6პ), 1:1 ვოსენი (15), 2:1 ადო (42), 3:1 ლალა (90)

**უნტერჰახინგი 2:0 კიკერსი**

1:0 ლუსტი (17), 2:0 ციმერმანი (84)

**ულმი 4:2 დიუსელდორფი**

0:1 კატემანი (19), 1:1, 2:1 გორა (20, 61), 2:2 უნსოლდი (84), 3:2 დობროვოლსკი (89), 4:2 გორა (90პ)

**ზანქტ პაული 1:1 ობერჰაუზენი**

1:0 მარინი (9), 1:1 ლიპინსკი (52)

**კოტბუსი 5:1 გიუტერსლო**

1:0, 2:0 ფრანკლინი (3, 60), 3:0, 4:0 პაიდრიხი (68პ, 73პ), 4:1 ვაიდემანი (79), 5:1 ირგანგი (85)

**კარლსრუე 2:1 ვატენშაიდი**

1:0, 2:0 კრაიგი (39, 66პ), 2:1 დიკტიარი (77)

**მაინცი 1:1 ფორტუნა**

0:1 რენი (55), 1:1 ჰერცბერგერი (73)

**კიოლნი 1:0 ბერლინი**

1:0 ვოლიტცი (50)

**არმინია — ფიურტი**

წუხელ გვიან გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 30 | 18 | 4 | 8 | 39:23 | 58 |
| არმინია | 29 | 16 | 6 | 7 | 49:27 | 54 |
| კარლსრუე | 30 | 16 | 3 | 11 | 49:38 | 51 |
| ულმი | 30 | 13 | 12 | 5 | 57:47 | 51 |
| ჰანოვერი | 30 | 14 | 7 | 9 | 47:33 | 49 |
| ბერლინი | 30 | 14 | 7 | 9 | 43:36 | 49 |
| ფიურტი | 29 | 13 | 9 | 7 | 38:23 | 48 |
| მაინცი | 30 | 11 | 8 | 11 | 39:40 | 41 |
| კიკერსი | 30 | 11 | 7 | 12 | 31:39 | 40 |
| კიოლნი | 30 | 10 | 9 | 11 | 39:44 | 39 |
| ფორტუნა | 30 | 9 | 11 | 10 | 47:50 | 38 |
| ზტ. პაული | 30 | 10 | 7 | 13 | 36:42 | 37 |
| ობერჰაუზენი | 30 | 7 | 13 | 10 | 33:43 | 34 |
| კოტბუსი | 30 | 7 | 11 | 12 | 37:39 | 32 |
| გიუტერსლო | 30 | 8 | 7 | 15 | 35:51 | 31 |
| ვატენშაიდი | 30 | 6 | 9 | 15 | 25:38 | 27 |
| ურდინგენი | 30 | 6 | 9 | 15 | 31:47 | 27 |
| დიუსელდორფი | 30 | 4 | 13 | 13 | 32:47 | 25 |

იტალია

# ეჭვიანი კაცის ჩანაწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXXIII ტური

**ფიორენტინა 1:1 ლაციო**

1:0 ბატისტუტა (14), 1:1 ვიერი (27)
72-ე წუთზე რუი კოშტამ ვერ გაიტანა პენალტი
ფიორენტინა: ტოლდო, ფირიკანო, ფალკონე (მირი 40), რეპკა, პაინრიხი, ოლივეირა, ფიჩინი, რუი კოშტა, ამორუზო, ედმუნდო (რობიატი 93), ბატისტუტა
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო (დე ლა პენია 81), ოკონი (სტანკოვიჩი 60), ალმეიდა, ლომბარდო (სალასი 46), ვიერი, მანჩინი
გაფრთხილება: ალმეიდა, ბატისტუტა, მიხაილოვიჩი, ოკონი, ნეგრო, ტოლდო
მსაჯი: ტრეოსი

**მილანი 4:0 ემპოლი**

1:0, 2:0, 3:0 ბირჰოფი (31, 54, 60), 4:0 ლეონარდო (88)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ჰელვეგი, ალბერტინი, ჯუნტი, გული (ბა 67), ბობანი (ლეონარდო 72), ბირჰოფი (განცი 78), ვეა
ემპოლი: სერენი (კუირონი 89), კამარა, ბიანკონი, ბიზოლი, სკანდროლიო (ჩერბონე 67), მარტუშელო, პანე, მორონე, ლუჩენტი, ზალაიეტა (დი ნაპოლი 46), ბონომი
მსაჯი: პელეგრინო

**პარმა 0:1 პიაჩენცა**

0:1 ს. ინძაგი (30)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი (ასპრილია 81), კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ვანოლი, ვერონი (ფიორე 77), კრესპო, კიეზა
პიაჩენცა: ფიორი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, დელი კარი, ბუზო (საკეტი 90), მაცოლა, სტატუტო, მანიგეტი, ს. ინძაგი (დიონიჯი 80), პიჯანი (სტროპა 63)
გაფრთხილება: ვერონი, კიეზა, პოლონია, მანიგეტი, სტატუტო
მსაჯი: ჩეკარინი

**რომა 3:1 კალიარი**

1:0 ტოტი (16), 2:0 დი ფრანჩესკო (34), 2:1 მბომა (47), 3:1 ტოტი (80)
რომა: კონსელი, კაფუ, ალდაირი, ძაგო, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო (კონტი 90), პაულო სერჟიო (ფაბიო ჟუნიორი 88), დელვეკიო, ტოტი
კალიარი: სკარპი, ძანონჩელი (კენტურიონი 46), ძებინა, ვილა, მაჩელარი, კავეცი, ონილი (მბომა 46), ძანეტი, ბერეტა, ვაზარი, მუცი (კალონი 67)
გაფრთხილება: დი ბიაჯო, ტოტი, ძაგო, ძებინა, კავეცი
მსაჯი: ბაცოლი

**ვენეცია 3:1 ინტერი**

1:0 ვოლპი (1), 2:0 რეკობა (4), 3:0 მანიერო (18), 3:1 რონალდო (51პ)
ვენეცია: ტაიბი, კარნაშალი, ბილიკა, ლუპი, დალ კანტო, პედონე (პისტონე 91), მიჩელი, ვოლპი, ვალტოლინა (მარანგონი 59), რეკობა (ტუტა 69), მანიერო
ინტერი: ფრეი, ბერგომი, ვესტი, სილვესტრი (ვენტოლა 67), ძანეტი, სიმეონე, ზე ელიასი, კოე (მილანეზე 76), რ. ბაჯო, ჯორკაეფი, რონალდო
გაფრთხილება: მანიერო, ვოლპი, კოე, ბილიკა
გაძევება: მანიერო (62)
მსაჯი: დე სანტისი

**ბარი 0:1 იუვენტუსი**

0:1 კონტე (82)
ბარი: მანჩინი, დე როზა, გარსია, ინოჩენტი, ბრესანი (მადსენი 65), დ. ანდერსონი, მარკოლინი (ოლივარესი 67), ძამბროტა, ოსმანოვსკი, მასინგა, გუერერო (ჯორჯეტი 52)
იუვენტუსი: რამპულა, მირკოვიჩი, ტუდორი, მონტერო, პესოტო (ფონსეკა 61), კონტე, ტაკინარდი, დავიდსი, დი ლივიო, ამორუზო, ანრი (პეროტა 74)
გაფრთხილება: მარკოლინი, ამორუზო, ტუდორი, ოსმანოვსკი
მსაჯი: პოჯი

**სალერნიტანა 2:1 ვიჩენცა**

1:0 დი მიკელე (40), 1:1 მენდესი (47), 2:1 ვანუკი (88)
სალერნიტანა: ბალი, დელ გროსო, ბოლიჩი, ფრეზი, ტოსტო (ამეტრანო 74), გატუზო, ბერნარდინი, ტედესკო, დი მიკელე (კიანეზე 61), დი ვაიო (ვანუკი 14), ჯამპაოლო
ვიჩენცა: ბრივიო, კარდონე (ბეგეტო 43), მარკო აურელიო, დი ჩარა, სტოვინი, სკენარდი, მენდესი, დაბო (ტისკი 71), ვივიანი, სკარლატო, ოტერო
გაფრთხილება: დი მიკელე, სტოვინი, დი ჩარა
გაძევება: ოდო (70, სალერნიტანას მწვრთნელი), ოტერო (93), მენდესი (94)
მსაჯი: ბორიელო

**ბოლონია 2:2 სამპდორია**

0:1 მონტელა (5), 1:1 ინგესონი (27), 1:2 მონტელა (38), 2:2 ინგესონი (93პ)
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, პაგანინი (ლუკიჩი 46), მანგონე, კაპიოლი (სიმუტენკოვი 68), ერიბერტო (ბინოტო 56), ინგესონი, მაროკი, ბეტარინი, კ. ანდერსონი, სინიორი
სამპდორია: ფერონი, საკიჩი, ფრანჩესკეტი, ლასისი, ბალერი, დორივა, პეკია, ლაილი (კასტელინი 81), ორტეგა (ვერგასოლა 66), მონტელა, პალმიერი
გაფრთხილება: პეკია, სინიორი, დორივა
მსაჯი: ტრენტალანჯი

**უდინეზე 1:2 პერუჯა**

0:1, 0:2 პეტრაკი (25, 46), 1:2 ამოროზო (63პ)
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, კალორი, პიერინი, ჟენო (ნავასი 65), ვან დერ ვეგტი, ვალემი, იორგენსენი, აპია (პოჯი 46), სოსა (ბისგაარდი 88), ამოროზო
პერუჯა: მაცანტინი, სოლანო, რივასი, რიბა, კოლონელო, ტედესკო, პეტრაკი, ოლივე (კამპოლო 85), რაპაიჩი, ნაკატა, კავიედესი (პელეგრინი 55)
გაფრთხილება: სოლანო, ოლივე, პოჯი
გაძევება: ტედესკო (72)
მსაჯი: ტომბოლინი

ფეხბურთი სხვა არაფერია თუ არა ცხოვრების ერთგვარი მოდელი. აზრი რომ არ გაგვირთულდეს (ბოლოშიც გვეყოფა) ასე ვთქვათ: რაც ცხოვრებაში ხდება, იგივე ხდება მოედანზე. გონიერება, ვაჟკაცობა და მრავალი სხვა თვისება თამაშობს როლს ცხოვრებასა და საფეხბურთო მინდორზე. აქვეა ფლიდობა, ტყუილი, ავაზაკობა...

იცით, რა მოუვიდა „ლაციოს“? ის ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე ლამაზი, ყველაზე ლონიერი და იღბლიანი იყო, მაგრამ, ვინაიდან ცხოვრებაში მუდმივი წარმატება არ არსებობს, მერე ცუდი დროება დაუდგა. დაიღალა, გონებაშიც რალაც ჯოჯო შეუძვრა და ზედ ბოლოს წინა ტურში დაკარგა ის, რაც ასე გარანტირებული ჩანდა. „ლაციო“ ძალიან ჯანმრთელი იყო და ეგონა ავად არასდროს გახდებოდა, არადა ბუნების კანონი სხვას ამბობს. არაბუნებრივ ჯანმრთელობას ძალიან ცუდი რამ მოჰყვა. ალბათ, გაყოყოჩებული თავსაც არ მოუფრთხილდა.

საგაზეთო წერილი კი სხვა არაფერია თუ არა ვარაუდი, ამიტომ, რაც აქამდე წაიკითხეთ, ვარაუდად ჩათვალეთ. სინამდვილეში რა მოხდა ჩვენ არ ვიცით. მეტიც, მთლად ზუსტად, ალბათ, არც „ლაციოს“ შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა იცის. ღმერთმა იცისო, ტყუილად კი არ ამბობს ხალხი. ზევით რომ ვთქვით ლაციომ რალაც განსაკუთრებული დაკარგაო და სკუდეტო ვიგულისხმეთ ესეც ვარაუდია, რადგან წინ კიდევ ერთი ტურია, სადაც რომაელებმა „პარმას“ რომ მოუგონ, „მილანმა“ კი პერუჯაში თუნდაც ფრე ითამაშოს, ყველაფერი ისევ ერიკსონის გუნდის სასარგებლოდ შეიცვლება.

მოკლედ, ამ უქმეებზე, „ლაციომ“ ფლორენციაში ორი ქულა დაკარგა. „ფიორენტინასაც“ ძალიან სჭირდებოდა მოგება. ის ხომ ოთხეულში დასამკვიდრებლად ანუ ჩემპიონთა თასის საგზურისთვის იბრძოდა და გახსნა კიდეც ანგარიში — გაბრიელ ბატისტუტამ შეაგდო, მაგრამ ერთი ხნის მერე სტუმართა თავდამსხმელმა კრისტიან ვიერიმ გაათანაბრა. სხვათაშორის, ამ შეხვედრაში დიდებული ფორვარდების, ბატისტუტასა და ვიერის დაპირისპირება საკუთრივ გუნდებისაზე ნაკლებ საინტერესო როდი იყო. ეს დაპირისპირება 2:2 დასრულდა — ზემოთ გოლები ვახსენეთ, მერე კი ვიერიმ ბურთი ხარიხას გაარტყა, ხოლო ბატისტუტამ პენალტი მოინადირა, რომელიც რუი კოშტამ ააცილა მიზანს.

რაც შეეხება თავად თამაშს, ის ძალიან ნერვიული, დაძაბული, ხშირწვრილმან ჯარიმიანი და ტრიბუნიდან მაშხალების სროლიანი იყო.

„ახლა, პირველად ამ სეზონში, ჩვენზე ცოტაა დამოკიდებული“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ერიკსონმა, რომელსაც თასების თასის ხვალინდელი ფინალის წინ ფეხბურთელების ესპანურ „მალიორკასთან“ საბრძოლველად გამხნევება მართებს.

„ფაქტობრივად, პლეი-ოფი გველის“ — ეს სიტყვები კი აწ უკვე ლიდერის, „მილანის“ მწვრთნელს, ალბერტო ძაკერონის ეკუთვნის.

გასულ უქმეებზე „მილანს“ მნიშვნელოვანი, მაგრამ საკმაოდ მარტივად გადასაწყვეტი ამოცანა ჰქონდა: გავარდნილი აუტსაიდერისთვის, „ემპოლისთვის“ შინ უნდა მოეგო. მოუგო კიდეც — 4:0.

უეფას თასის მფლობელმა, „პარმამ“, შინ წააგო „პიაჩენცასთან“. ერთადერთი გოლი იუვენტუსელი ფილიპო ინძაგის ძმამ, სიმონემ გაიტანა, პარმელებმა კი თავისი წილი ჩინებული საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. მაგრამ, ამ დროს „უდინეზე“ მოულოდნელად, შინ, „პერუჯასთან“ დამარცხდა (სწორედ იმასთან, ბოლო ტურში „მილანს“ რომ უნდა უმასპინძლოს) და პარმელებს სანერვიულოც აღარაფერი დარჩათ — უდინეს გუნდი ჩემპიონთა თასზე გამსვლელ ადგილს ვეღარც „პარმას“ შეეცილება და ვეღარც „ფიორენტინას“.

მაშ რაღაა გასარკვევი? მხოლოდ ჩემპიონის და ვიცე-ჩემპიონის ვინაობა — „მილანი“ თუ „ლაციო“ — თორემ ოთხეული უკვე ცნობილია.

რაც შეეხება იტალიის 1991 წლის ჩემპიონს, გენუის „სამპდორიას“, მას ბოლონიაში ნათამაშევმა 2:2-მა ყოველგვარი იმედი გადაუწურა. მომავალი სეზონიდან „სამპდორია“ სერია B-ში გადაინაცვლებს და თავიდან შეეცდება უძლიერესთა მარაქაში დაბრუნებას.

სერია B-შივე ითამაშებს ეროვნული თასის ორი წლის წინანდელი მფლობელი „ვიჩენცაც“, რომელმაც სალერნოში წაგებით საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა, ხოლო „სალერნიტანას“ ბოლოდან მეოთხე, ასევე გასავარდნი ადგილისგან თავის დასაღწევი შანსი დაუტოვა.

„ინტერმა“ ვენეციაში, პირველ ოც წუთში სამი გოლის გაშვება მოახერხა და მერე, ერთადერთი, რითაც მეტოქეს უპასუხა რონალდოს პენალტი გახლდათ.

„იუვენტუსმა“ და „რომამ“ კი „ბარისა“ და „კალიარისთან“ გაიმარჯვეს და ახლა, „უდინეზესთან“ ერთად 51 ქულით მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილები უკავიათ.

ხოლო ფეხბურთი სხვა არაფერია თუ არა ცხოვრების მოდელი და ვინაიდან ეჭვიც ცხოვრებისეული გრძნობაა, ის ფეხბურთშიც არსებობს. ამიტომ (მომდევნო წინადადების ნუ შეგეშინდებათ): „უდინეზემ“, როგორც „მილანის“ ფაქტობრივად საბაზო გუნდმა, „პერუჯასთან“, ალბათ, საგანგებოდ წააგო, რათა მას თავი ქუდში ეგრძნო და ბოლო ტურში „მილანთან“ უგულოდ ეთამაშა, მაგრამ ამ დროს „სალერნატანამ“ „ვიჩენცას“ სძლია და გამოდის, რომ „პერუჯას“ „მილანთან“ საომარი აქვს.

საგაზეთო წერილი ხომ ვარაუდია...

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS ფოტოქრონიკა

ფიორენტინა — ლაციო 1:1. პაოლო ნეგრომ (№2) ფლორენციელი რუი კოშტას შეტევა ჩაშალა

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მილანი | 33 | 19 | 10 | 4 | 57:33 | 24 | 67 | 17 | 13 | 3 | 1 | 35:17 | 18 | 42 | 16 | 6 | 7 | 3 | 22:16 | 6 | 25 |
| 2 | ლაციო | 33 | 19 | 9 | 5 | 63:30 | 33 | 66 | 16 | 11 | 4 | 1 | 39:13 | 26 | 37 | 17 | 8 | 5 | 4 | 24:17 | 7 | 29 |
| 3 | პარმა | 33 | 15 | 10 | 8 | 54:34 | 20 | 55 | 17 | 9 | 6 | 2 | 27:13 | 14 | 33 | 16 | 6 | 4 | 6 | 27:21 | 6 | 22 |
| 4 | ფიორენტინა | 33 | 16 | 7 | 10 | 54:40 | 14 | 55 | 17 | 13 | 4 | 0 | 36:10 | 26 | 43 | 16 | 3 | 3 | 10 | 18:30 | -12 | 12 |
| 5 | რომა | 33 | 14 | 9 | 10 | 65:48 | 15 | 51 | 17 | 13 | 3 | 1 | 43:16 | 27 | 42 | 16 | 1 | 6 | 9 | 22:32 | -10 | 9 |
| 6 | იუვენტუსი | 33 | 14 | 9 | 10 | 39:34 | 5 | 51 | 16 | 9 | 4 | 3 | 22:14 | 8 | 31 | 17 | 5 | 5 | 7 | 17:20 | -3 | 20 |
| 7 | უდინეზე | 33 | 15 | 6 | 12 | 49:51 | -2 | 51 | 17 | 9 | 4 | 4 | 25:20 | 5 | 31 | 16 | 6 | 2 | 8 | 24:30 | -6 | 20 |
| 8 | ბოლონია | 33 | 11 | 11 | 11 | 43:44 | -1 | 44 | 17 | 8 | 5 | 4 | 31:20 | 11 | 29 | 16 | 3 | 6 | 7 | 12:24 | -12 | 15 |
| 9 | ინტერი | 33 | 12 | 7 | 14 | 56:53 | 3 | 43 | 16 | 9 | 3 | 4 | 40:23 | 17 | 30 | 17 | 3 | 4 | 10 | 16:30 | -14 | 13 |
| 10 | ბარი | 33 | 9 | 15 | 9 | 39:43 | -4 | 42 | 17 | 6 | 8 | 3 | 17:15 | 2 | 26 | 16 | 3 | 7 | 6 | 22:28 | -6 | 16 |
| 11 | ვენეცია | 33 | 11 | 9 | 13 | 36:42 | -6 | 42 | 17 | 9 | 5 | 3 | 23:14 | 9 | 31 | 16 | 2 | 4 | 10 | 13:28 | -15 | 10 |
| 12 | კალიარი | 33 | 11 | 7 | 15 | 48:49 | -1 | 40 | 16 | 9 | 4 | 3 | 32:18 | 14 | 31 | 17 | 2 | 3 | 12 | 16:31 | -15 | 9 |
| 13 | პიაჩენცა | 33 | 11 | 7 | 15 | 47:49 | -2 | 40 | 16 | 9 | 4 | 3 | 33:19 | 14 | 31 | 17 | 2 | 3 | 12 | 14:30 | -16 | 9 |
| 14 | პერუჯა | 33 | 11 | 6 | 16 | 42:59 | -17 | 39 | 16 | 10 | 3 | 3 | 29:19 | 10 | 33 | 17 | 1 | 3 | 13 | 13:42 | -29 | 6 |
| 15 | სალერნიტანა | 33 | 10 | 7 | 16 | 36:50 | -14 | 37 | 17 | 9 | 4 | 4 | 26:16 | 10 | 31 | 16 | 1 | 3 | 12 | 10:34 | -24 | 6 |
| 16 | ვიჩენცა | 33 | 8 | 9 | 16 | 26:43 | -17 | 33 | 16 | 7 | 4 | 5 | 17:16 | 1 | 25 | 17 | 1 | 5 | 11 | 9:27 | -18 | 8 |
| 17 | სამპდორია | 33 | 8 | 10 | 15 | 37:55 | -18 | 34 | 16 | 7 | 6 | 3 | 24:15 | 9 | 27 | 17 | 1 | 4 | 12 | 13:39 | -26 | 7 |
| 18 | ემპოლი * | 33 | 4 | 10 | 19 | 25:60 | -35 | 20 | 16 | 4 | 5 | 7 | 16:22 | -6 | 17 | 17 | 0 | 5 | 12 | 9:38 | -29 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 21 |
| ამოროზო (უდინეზე) | 19 |
| ბირჰოფი (მილანი) | 19 |
| დელვეკიო (რომა) | 17 |
| კრესპო (პარმა) | 16 |

**XXXIV ტური**

23 მაისი

| | | |
|---|---|---|
| სამპდორია | - | ბარი (1:3) |
| ინტერი | - | ბოლონია (0:2) |
| კალიარი | - | ფიორენტინა (2:4) |
| პერუჯა | - | მილანი (1:2) |
| ლაციო | - | პარმა (3:1) |
| ვიჩენცა | - | რომა (0:3) |
| პიაჩენცა | - | სალერნიტანა (1:1) |
| ემპოლი | - | უდინეზე (0:0) |
| იუვენტუსი | - | ვენეცია (1:1) |

**სერია B**

XXXIV ტური

**ატალანტა 0:0 რეჯანა**

რეჯანა: პაგოტო, კაპელაჩი, ბრეშიანი, შაკპოკე, სკარპონი (ძინი 4), კიტერიო (პარიზი 5), კარბონე, ალეგრეტი (მოცინი 25), ორფეი, მორელო, მარჯოტა

**ტორინო 1:2 ჩეზენა**

0:1 სალვეტი (6), 0:2 კომანდინი (22), 1:2 სკარკილი (47)

**კიევო 2:0 ვერონა**

1:0 ლომბარდინი (41), 2:0 პასონი (46)

**კოზენცა 1:2 რეჯინა**

0:1 პოსანცინი (70პ), 0:2 ფირმანი (85), 1:2 მონტალბანო (87)

**ჯენოა 0:0 ფ. ანდრია**

**მონცა 0:0 ბრეშა**

**ნაპოლი 2:2 ლეჩე**

1:0 მორა (24), 1:1 სესა (31), 1:2 კასალე (42), 2:2 შვოკი (60პ)

**პესკარა 1:0 კრემონეზე**

1:0 ესპოზიტო (53)

**რავენა 3:0 ლუკეზე**

1:0 დელანო (63), 2:0 სოტია (72), 3:0 ბილიოტი (73)

**ტერნანა 3:2 ტრევიზო**

0:1 ბორტოლუცი (10), 1:1 ბორგობელო (17), 2:1 ბუონოკორე (39), 2:2 ლონგი (55პ), 3:2 მონეტა (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 34 | 16 | 11 | 7 | 55:33 | 59 |
| ტორინო | 34 | 17 | 7 | 10 | 51:32 | 58 |
| ლეჩე | 34 | 16 | 9 | 9 | 43:36 | 57 |
| რეჯინა | 34 | 14 | 14 | 6 | 40:30 | 56 |
| პესკარა | 34 | 16 | 8 | 10 | 44:36 | 56 |
| ატალანტა | 34 | 13 | 16 | 5 | 41:26 | 55 |
| ტრევიზო | 34 | 14 | 12 | 8 | 48:38 | 54 |
| ბრეშა | 34 | 13 | 14 | 7 | 38:27 | 53 |
| ნაპოლი | 34 | 11 | 15 | 8 | 36:31 | 48 |
| რავენა | 34 | 11 | 12 | 11 | 41:44 | 45 |
| კიევო | 34 | 10 | 13 | 11 | 35:38 | 43 |
| ჯენოა | 34 | 10 | 12 | 12 | 47:47 | 42 |
| მონცა | 34 | 9 | 14 | 11 | 30:34 | 41 |
| ჩეზენა | 34 | 9 | 13 | 12 | 32:36 | 40 |
| ფ. ანდრია | 34 | 9 | 11 | 14 | 29:41 | 39 |
| ტერნანა | 34 | 8 | 14 | 12 | 33:46 | 38 |
| კოზენცა | 34 | 9 | 9 | 16 | 35:49 | 36 |
| ლუკეზე | 34 | 7 | 11 | 16 | 29:39 | 32 |
| რეჯანა | 34 | 5 | 14 | 15 | 31:44 | 29 |
| კრემონეზე | 34 | 3 | 11 | 20 | 29:62 | 20 |

## ესპანეთი

### XXXIV ტური

**ესტრემადურა 1:0 ტენერიფე**

1:0 ვიოდო (46)
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, სოტო (პედრო ხოსე 88), ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ვიოდო, ტონი ველამასანი (ესპოზიტო 59), დურე (მანუელი 63), გაბრიჩი
ტენერიფე: უნსუე, ლორენი, მატა (მაკაი 71), ბალესტეროსი, ხავი ლოპესი, იოკანოვიჩი, ემერსონი, პიერი, ხუანელე, პინილია (კოდრო 71), მისტა
გაფრთხილება: ბელენგერი, ვიოდო, ემერსონი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

**სარაგოსა 2:0 ატლეტიკო**

1:0 გ. ლოპესი (28), 2:0 იორდი (71)
სარაგოსა: ხუანმი, კუარტერო (პაბლო 7), აგუადო, სუნდგრენი, პაკო, გარიტანო (არაგონი 82), ხოსე იგნასიო, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, იორდი, გ. ლოპესი
ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, აგილერა, ტორიზი, სერენა, ვენტურინი (რობერტო 54), ჟუნინიო, მენა, ბარახა (სოლარი 62), ხუან გონსალესი (ნიეგუსი 82), ხოსე მარი
გაფრთხილება: გარიტანო, ხოსე იგნასიო, აგილერა, ტორიზი, მენა, ბარახა
მსაჯი: ლოსანტოს ომარი

**ბეტისი 0:3 დეპორტივო**

0:1 პაულეტა (26), 0:2 კონსეისაო (41), 0:3 პაულეტა (46)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ურენია (ალექსისი 55), მერინო, ოლიასი, იტო, ბენხამინი, ფერნანდო (ალფონსო 71), ფინიდი, ოლი (გალვესი 46), დენილსონი
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, ჯალმინია (დონატო 64), პაჯი (მანხარინი 83), კონსეისაო, ზიანი, პაულეტა (ბასირი 74)
გაფრთხილება: ალექსისი, მერინო, ოლიასი, იტო, ფინიდი
მსაჯი: დიას ვეგა

**ბილბაო 2:0 ვილიარეალი**

1:0 ი. გერერო (4), 2:0 ესკუერო (25)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ლაკრუსი, ფერეირა, ურუტია, ი. გერერო, ხოსე მარი, ალკისა, ხავი გონსალესი (ურსაისი 68), ესკუერო (იესტე 75), ხ. ეჩებერია (ლარასაბალი 90)
ვილიარეალი: პალოპი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, დიასი (ხავი სანჩისი 62), ხერარდო (სერერი 90), კრაიოვეანუ, ალბერტო (ვალტერ გაიტანი 77), მოიზესი
გაფრთხილება: ურსაისი, ტაშევსკი, ალბელდა
გაძევება: ტაშევსკი (67)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

**რეალი 2:1 ოვიედო**

0:1 დელი ვალდესი (7), 1:1, 2:1 მორიენტესი (37, 64)
რეალი: ილგნერი, რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, ივან კამპო (ზეედორფი 13), რედონდო, კარემბუ, რაული (გუტი 62), მიატოვიჩი, სავიო (იარნი 89), მორიენტესი
ოვიედო: ესტებანო, რაბანიროვი (ივან ანია 68), მორენო, მანელი, სეზარი, ბანიო, ხაიმე (დუბოვსკი 68), პაულო ბენტო, ესკურსა, ნადი, დელი ვალდესი
გაფრთხილება: კარემბუ, მორენო, პაულო ბენტო
მსაჯი: პუენტეს ლეირა

**რასინგი 1:0 მალიორკა**

1:0 ისმაელი (63)
რასინგი: გროდასი, მელბერგი, ნერუ, არსენო, ისმაელი, მაგალანეში (ვივარდორადო 86), ვიქტორი, შუსტიკოვი, ამავისკა, სალვა (ბესჩასტნიხი 90), მუნიტისი
მალიორკა: როა, სივიერო, კარერასი, ოლაისოლა, ფერნანდო ნინიო, იბაგასა, სტანკოვიჩი (პაუნოვიჩი 60), ლორენი, ლუკე (არპონი 46), დანი, ბიაჯინი (კარლოსი 83)
გაფრთხილება: მელბერგი, მაგალანეში, ვიქტორი, სივიერო, ფერნანდო ნინიო, იბაგასა, ლორენი
მსაჯი: მედინა კანტალიეხო

**ბარსელონა 1:1 ვალიადოლიდი**

1:0 ლუის ენრიკე (62), 1:1 აროლდ ლოსანო (80)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, აბელარდო, ფ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ, კოკუ, რ. დე ბური (ანდერსონი 79), ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, პენია, ტორეს გომესი, ჩემა, ტურიელი (პეტერნაკი 70), აროლდ ლოსანო, კამინერო, დუტუელი (ემილიო 80), ვიქტორი
გაფრთხილება: რაიციგერი, კოკუ, რივალდო, მარკოსი, გარსია კალვო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

**სალამანკა 1:0 ალავესი**

1:0 სილვანი (43)
სალამანკა: სტელეა, კორინო, ლორენი, ლანა, ტაირა, ედუ ალონსო, როხერიო (მუნტეანუ 61), ჯოვანელა, კარდეტი (სეგარა 85), ველისკა, სილვანი (კასარტელი 89)
ალავესი: ტიტო, კარმონა, ბელსუე, ბერუე, იბონ ბეგონია (ივან როჩა 68), კანაბალი, პაბლო გომესი, დესიო, ასკოიტია (ბერტი 46), სივორი, სალინასი (მანიო 60)
გაფრთხილება: ლანა, ველისკა, სილვანი, ბელსუე, ივან როჩა, ასკოიტია
მსაჯი: ბუენო გრიმალი

**ვალენსია 1:2 ესპანიოლი**

0:1 ტამუდო (71), 0:2 მარტინ პოსე (90), 1:2 კ. ლოპესი (90)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, კარბონი, როში, ანგლომა, მენდიეტა, ფარინოსი, შვარცი (რუბენ ნავარო 78), კ. ლოპესი, ილიე, ანგულო (სერბანი 57)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, გალკა, კაპდევილა, დე ლუკასი (პაჩეტა 64), დარიო სილვა (ბენიტესი 76), ტამუდო (მარტინ პოსე 89)
გაფრთხილება: ჯუკიჩი, კარბონი, კ. ლოპესი, სერხიო, გალკა
მსაჯი: პერეს ლასა

**სელტა 2:2 სოსიედადი**

0:1 კოვაჩევიჩი (103), 0:2 იდიაკესი (16), 1:2 კარპინი (35), 2:2 ტომასი (69)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი (ოსკარ ვალესი 73), ხოსემა (ტომასი 53), მაზინიო (სანჩესი 81), კარპინი, მოსტოვოი, მაკელელე, რევივო, პენევი
სოსიედადი: ალბერტო, ფუენტესი (ფ. გერერო 46), არანსაბალი, გომესი (ანტია 61), ლორენი, პიკაბეა, დე პედრო (ადეპოჟუ 68), არამბურუ, სა პინტუ, კოვაჩევიჩი, იდიაკესი
გაფრთხილება: ჯოროვიჩი, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი, რევივო, პენევი, ფ. გერერო, ფუენტესი, პიკაბეა, ადეპოჟუ, არამბურუ
გაძევება: რევივო (81)
მსაჯი: მეგია დავილა

# სწორედ ის „მაგრამ“

REUTERS მადრიდიდან



რეალი — ოვიედო 2:1. ფერნანდო მორიენტესის მაკრატელა

...მაგრამ

„ბარსელონას“ დიდი შანსი ჰქონდა, ამ ტურში მეთექვსმეტედ გამხდარიყო ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ...

„მალიორკას“ რომ გაემარჯვა, მეორე ადგილს მინიმუმ ერთი ტურით შეინარჩუნებდა, მაგრამ...

მადრიდის „რეალი“ მესამე ადგილზე ვერ ალზევდებოდა, მეტოქეებს ფეხი რომ არ დასცდენოდათ, მაგრამ...

მაგრამ... მაგრამ... მაგრამ...

ზოგჯერ ამ სიტყვის შემდეგ გულის გასახარ ამბავს ვიგებთ, ზოგჯერ არც ისე კარგს, ხან როგორ, ხან როგორ. ისიც მნიშვნელოვანია, ვისთვის როგორ. ერთი რამ ცხადია — კავშირი „მაგრამ“ ძალიან მნიშვნელოვანი და ბევრისმთქმელია.

...თასების თასის ფინალში გასულმა „მალიორკამ“, რომელიც ამავდროულად ქვეყნის ჩემპიონატში პრიზიორობისთვის იბრძვის, პარასკევს ითამაშა. მეტოქე არც ისე სახელოვანი, სანტანდერის „რასინგი“ გახლდათ. ამ ტურამდე „რასინგი“ სახიფათო ზონაში იმყოფებოდა, თუმცა გავარდნა უფრო სანტანდერელთა მდევრებს მოელოდა. და მაინც — ქვეყნის ჩემპიონატის მიწურულს, „რასინგის“ მდგომარეობაში მყოფ კლუბს მოდუნების უფლება არ ჰქონდა და მანაც მოიგო.

— ქვეყნის ჩემპიონატი ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თასების თასის ფინალი. თუ პრიმერა დივიზიონში „მალიორკას“ დარჩენილ თამაშებს გადავხედავთ, რთული შეხვედრები გველის, თუმცა ვიმედოვნებ, რომ „მალიორკა“ პრიზიორთა შორის მოხვდება. თასების თასს რაც შეეხება, აუცილებლად უნდა მოვიგოთ — ექტორ რაულ კუპერი, „მალიორკას“ მწვრთნელი მარცხმა ძალიან დაამწუხრა.

„მალიორკა“ „ბარსელონას“ უახლოესი მდევარი გახლდათ და კატალონიელთა შემდეგ ჩემპიონთა ლიგის საგზურის უპირველესი პრეტენდენტი. სანტანდერის „ესტადიო ელ სარდინეროზე“ წაფორხილებამ მალიორკელთა მეტოქეებს კუნძულელთა დაწევის შანსი მისცა, თავად კლუბი კი ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო. „მალიორკა“ რომ დამარცხდა, თავს დააბრალოს — გუნდმა ცუდად ითამაშა და კარში გამოცდილი კარლოს როა რომ არ მდგარიყო, მასპინძელთა გამარჯვება უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა. გამარჯვება ისმაელ რუის სალმონას გოლმა კი განაპირობა, მაგრამ უფრო აქტიური ურუგვაელი ფერნანდო მაგალანეში გახლდათ. როას სწორედ მასთან უწევდა გამკლავება.

ეს ყველაფერი პარასკევს მოხდა, მეორე დღეს, ანუ შაბათს კი „ბარსელონა“ „ვალიადოლიდს“ მასპინძლობდა. კატალონიელებს რომ მოეგოთ, ჩემპიონატის დასასრულამდე ოთხი ტურით ადრე „მალიორკას“ 12 ქულით გაუსწრებდნენ და შესაბამისად მეტოქეთ უმცირეს პრაქტიკულ და ასე თუ ისე მოზრდილ თეორიულ შანსს დაუტოვებდნენ, მაგრამ მოხდა საწინააღმდეგო — „ბარსელონამ“ ვერ მოიგო და ჩემპიონობა საუახლოესმომავლოდ გადადო.

— გუნდს თამაში არ სურდა. ეს უმალ შევამჩნიე. ფეხბურთელების მატჩისადმი განწყობა როგორიც გახლდათ, ალბათ, თავადაც მიხვდებოდით. როცა პირველობის დასასრულამდე ცოტა დროა დარჩენილი და მეტოქეს გვარიანად უსწრებ, ძნელია, ყოველი შეხვედრისთვის საბრძოლველად განეწყო. კარგი იქნებოდა, მოგვეგო. მაგრამ ამით არაფერი დაშავდება. წინ კიდევ ოთხი მატჩია — ლუის ვან გაალი საკითხს ობიექტურად მიუდგა.

სხვათა შორის, ჰოლანდიელ მწვრთნელს „ბარსელონას“ გენერალურ მდივან რიკარდ მაქსენჩთან უსიამოვნება მოსვლია. საქმე ისაა, რომ კლუბის ხელმძღვანელობა „ბარსელონა B“-ს ერთერთ ლიდერ ფერნანდო მაჩედო და სილვას ლონდონის „არსენალში“ სარფიანად გაყიდვას უპირებდა, ვან გაალმა კი ახალგაზრდა ესპანელი ფეხბურთელის გასხვისების წინააღმდეგ გაილაშქრა. „არ შეიძლება ნიჭიერი მოთამაშეების გაყიდვა. ისინი ხომ ჩვენი კლუბის მომავლები არიან“ — განაცხადა ვან გაალმა. შეგახსენებთ, რომ ფერნანდო მაჩედო და სილვა, რომელიც უფრო ნანოდაა ცნობილი, ახლახან, 16-წლამდელ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის მომგები ესპანეთის ნაკრების ლიდერი გახლდათ. მის სანაცვლოდ „არსენალი“ 2,5 მილიონ დოლარს იხდიდა.

წლეულს „ბარსელონა“ საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს. მართალია, კლუბმა შესანიშნავი თარიღის ჩემპიონთა თასით აღნიშვნა ვერ მოახერხა, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონი, ალბათ, მაინც გახდება. ხოსე ლუის ნუნესი „ბარსელონას“ ისტორიის მანძილზე ალბათ ყველაზე ხელხვავიანი პრეზიდენტი, ფეხბურთელებს ჩემპიონობის შემთხვევაში გვარიან პრემიებს უპირებია. საერთოდაც, „ბარსელონა“ ასწლიანი იუბილესთვის გამალებით ემზადება. თუნდაც ეს თამაში ავიღოთ — მის დაწყებამდე „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა ათი ათასობით გულშემატკივარმა საყვარელი კლუბის ვეტერანი ფეხბურთელები იხილა.

— „ბარსელონა“ დღეს არ შექმნილა. აგერ უკვე საუკუნეა, კლუბი არსებობს და ბრწყინვალე ისტორიას ქმნის. სახელს გაფრთხილება უნდა. იმ ხალხსაც სჭირდება მოვლა, ვინც „ბარსელონას“ ღირსებას იცავდნენ — განაცხადა ნუნიესმა.

თუ ბარსელონაში საქმე საათივით აქვთ აწყობილი, ქვეყნის ყველაზე ტიტულიან კლუბ მადრიდის „რეალს“ უჭირს. უჭირს იმიტომ, რომ მისი შედეგები კლუბის სურვილებს არ ემთხვევა, თორემ რეალისთანა მდგომარეობა პრიმერა დივიზიონის უმეტეს გუნდთათვის სანატრელია.

ამ ტურში „რეალმა“ „ოვიედოს“ უმასპინძლა და ფერნანდო მორიენტესის მორიგი დუბლის წყალობით იმარჯვა. გუნდს ტრავმირებული რაული კი დაუბრუნდა, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერს დაშავებული ადგილი გაუმიზეზდა და გამოცვალეს. სამეფო კლუბის ექიმების განცხადებით, რაულისთვის დასვენება ახლა აუცილებელია. ცნობისთვის: რაც ჯონ ტოშაკი წვრთნის „რეალს“, კლუბმა შინ უკლებლივ ყველა მატჩი მოიგო.

— ჩემპიონთა ლიგაში აუცილებლად უნდა ვითამაშოთ, ჩვენისთანა კლუბისთვის უეფას თასზე მონაწილეობა იგივეა, რაც ევროტურნირებზე ვერ გასვლა — განაცხადა ტოშაკმა.

მადრიდელთა ბედად, „ვალენსიამ“ და „მალიორკამ“ წააგეს, „სელტამ“ კი ფრედ ითამაშა. ამათი წაფორხილება საკმარისი აღმოჩნდა „რეალის“ მესამე ადგილზე აღმოსაჩენად, თუმცა წინ ხომ ოთხი ტურია.

შესაძლოა... შესაძლოა კი არა, ცვლილებები აუცილებლად მოხდება.

**ლაშა გოდუაძე**

## მეორე დივიზიონი

### XXXVII ტური

**ბადახოსი 1:1 ეიბარი**

1:0 საბინო (12), 1:1 ბიქსენტე (80პ)

**ერკულესი 2:1 ალბასეტე**

0:1 ლუკე (29), 1:1 სტანკოვიჩი (51), 2:1 ლუნა (69)

**მალაგა 2:0 ბარსელონა B**

1:0, 2:0 კატანია (43, 88)

**კომპოსტელა 3:1 ლოგრონიესი**

1:0 მაურისიო (11), 2:0 ჩანგი (36), 2:1 იუბერა (44), 3:1 ჩანგი (81)

**სევილია 4:1 რაიო**

1:0 ოლივერა (24), 2:0 ველასკო (34), 3:0 ოლივერა (41), 4:0 ცარტასი (81), 4:1 ლუის სემბრანოსი (88)

**მერიდა 1:1 ლას პალმასი**

1:0 ბარატა (42), 1:1 სოკორო (67)

**ნუმანსია 2:2 ლეიდა**

1:0 ხავი მორენო (18), 1:1 ნავარო (32), 1:2 ხოსემი (40), 2:2 ხავი მორენო (89)

**ლეგანესი 0:1 სპორტინგი**

0:1 ჩერიშევი (51)

**ორენსე 0:4 ატლეტიკო B**

0:1, 0:2, 0:3, 0:4 სეკუეიროსი (35, 45, 61, 74)

**ოსასუნა 0:1 ტოლედო**

0:1 კინი (33)

**რეკრეატივო 3:2 მალიორკა B**

0:1 ტრისტანი (19), 0:2 დანი (23 ს.კ.), 1:2 ბოდიპო (61), 2:2 ფერეირა (87), 3:2 პეპელუ (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 37 | 20 | 11 | 6 | 65:40 | 71 |
| ატლეტიკო B | 37 | 18 | 9 | 10 | 62:47 | 63 |
| ტოლედო | 37 | 17 | 11 | 9 | 49:40 | 62 |
| სევილია | 37 | 17 | 10 | 10 | 55:44 | 61 |
| ნუმანსია | 37 | 17 | 9 | 11 | 59:38 | 60 |
| რაიო | 37 | 16 | 12 | 9 | 58:48 | 60 |
| ლას პალმასი | 37 | 14 | 15 | 8 | 49:36 | 57 |
| ლეიდა | 37 | 14 | 13 | 10 | 43:40 | 55 |
| ოსასუნა | 37 | 14 | 12 | 11 | 41:38 | 54 |
| რეკრეატივო | 37 | 13 | 15 | 9 | 36:24 | 54 |
| კომპოსტელა | 37 | 14 | 12 | 11 | 50:42 | 54 |
| მერიდა | 37 | 13 | 12 | 12 | 43:36 | 51 |
| ბადახოსი | 37 | 12 | 12 | 13 | 30:32 | 48 |
| სპორტინგი | 37 | 12 | 11 | 14 | 36:41 | 47 |
| ალბასეტე | 37 | 10 | 14 | 13 | 29:35 | 44 |
| ლოგრონიესი | 37 | 11 | 11 | 15 | 43:52 | 44 |
| ლეგანესი | 37 | 10 | 13 | 14 | 34:40 | 43 |
| მალიორკა B | 37 | 12 | 7 | 18 | 46:55 | 43 |
| ბარსელონა B | 37 | 12 | 5 | 20 | 46:57 | 41 |
| ერკულესი | 37 | 8 | 10 | 19 | 32:57 | 34 |
| ეიბარი | 37 | 8 | 8 | 21 | 31:55 | 32 |
| ორენსე | 37 | 6 | 6 | 25 | 33:73 | 24 |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბარსელონა | 34 | 21 | 7 | 6 | 76:38 | 38 | 70 | 18 | 12 | 3 | 3 | 48:22 | 26 | 39 | 16 | 9 | 4 | 3 | 28:16 | 12 | 31 |
| 2 მალიორკა | 34 | 18 | 6 | 10 | 43:26 | 17 | 60 | 17 | 12 | 3 | 2 | 26:8 | 18 | 39 | 17 | 6 | 3 | 8 | 17:18 | -1 | 21 |
| 3 რეალი | 34 | 18 | 5 | 11 | 68:55 | 13 | 59 | 17 | 12 | 2 | 3 | 41:21 | 20 | 38 | 17 | 6 | 3 | 8 | 27:33 | -6 | 21 |
| 4 სელტა | 34 | 15 | 13 | 6 | 64:37 | 27 | 58 | 17 | 11 | 6 | 0 | 44:14 | 30 | 41 | 17 | 4 | 7 | 6 | 20:23 | -3 | 19 |
| 5 ვალენსია | 34 | 17 | 7 | 10 | 54:35 | 19 | 58 | 17 | 9 | 5 | 3 | 32:14 | 18 | 32 | 17 | 8 | 2 | 7 | 22:21 | 1 | 26 |
| 6 დეპორტივო | 34 | 17 | 9 | 8 | 50:37 | 13 | 58 | 17 | 10 | 5 | 2 | 30:13 | 17 | 35 | 17 | 6 | 5 | 6 | 20:24 | -4 | 23 |
| 7 ბილბაო | 34 | 14 | 9 | 11 | 40:43 | -3 | 51 | 17 | 9 | 5 | 3 | 24:14 | 10 | 32 | 17 | 5 | 4 | 8 | 16:29 | -13 | 19 |
| 8 სარაგოსა | 34 | 14 | 8 | 12 | 49:43 | 6 | 50 | 17 | 9 | 3 | 5 | 29:21 | 8 | 30 | 17 | 5 | 5 | 7 | 20:22 | -2 | 20 |
| 9 სოსიედადი | 34 | 13 | 11 | 10 | 43:38 | 5 | 50 | 17 | 11 | 4 | 2 | 30:14 | 16 | 37 | 17 | 2 | 7 | 8 | 13:24 | -11 | 16 |
| 10 ესპანიოლი | 34 | 12 | 13 | 9 | 38:36 | 2 | 49 | 16 | 6 | 8 | 2 | 18:13 | 5 | 26 | 18 | 6 | 5 | 7 | 20:23 | -3 | 23 |
| 11 ვალიადოლიდი | 34 | 12 | 8 | 14 | 32:38 | -6 | 44 | 17 | 10 | 3 | 4 | 21:12 | 9 | 33 | 17 | 2 | 5 | 10 | 11:26 | -15 | 16 |
| 12 ბეტისი | 34 | 12 | 7 | 15 | 39:47 | -8 | 43 | 17 | 7 | 3 | 7 | 20:22 | -2 | 24 | 17 | 5 | 4 | 8 | 19:25 | -6 | 19 |
| 13 ოვიედო | 34 | 10 | 12 | 12 | 36:47 | -11 | 42 | 17 | 7 | 5 | 5 | 17:15 | 2 | 26 | 17 | 3 | 7 | 7 | 19:32 | -13 | 16 |
| 14 რასინგი | 34 | 10 | 10 | 14 | 39:46 | -7 | 40 | 17 | 6 | 4 | 7 | 21:20 | 1 | 22 | 17 | 4 | 6 | 7 | 18:26 | -8 | 18 |
| 15 ატლეტიკო | 34 | 10 | 9 | 15 | 48:46 | 2 | 39 | 17 | 7 | 6 | 4 | 33:16 | 17 | 27 | 17 | 3 | 3 | 11 | 15:30 | -15 | 12 |
| 16 ალავესი | 34 | 10 | 7 | 17 | 33:50 | -17 | 37 | 17 | 9 | 4 | 4 | 22:12 | 10 | 31 | 17 | 1 | 3 | 13 | 11:38 | -27 | 6 |
| 17 ესტრემადურა | 34 | 8 | 10 | 16 | 22:47 | -25 | 34 | 17 | 7 | 3 | 7 | 13:19 | -6 | 24 | 17 | 1 | 7 | 9 | 9:28 | -19 | 10 |
| 18 ვილიარეალი | 34 | 7 | 11 | 16 | 39:53 | -14 | 32 | 17 | 5 | 6 | 6 | 23:23 | 0 | 21 | 17 | 2 | 5 | 10 | 16:30 | -14 | 11 |
| 19 ტენერიფე | 34 | 5 | 13 | 16 | 34:55 | -21 | 28 | 17 | 3 | 9 | 5 | 20:24 | -4 | 18 | 17 | 2 | 4 | 11 | 14:31 | -17 | 15 |
| 20 სალამანკა | 34 | 7 | 6 | 21 | 26:56 | -30 | 27 | 17 | 7 | 4 | 6 | 21:22 | -1 | 25 | 17 | 0 | 2 | 15 | 5:34 | -29 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 22 |
| რივალდო (ბარსელონა) | 21 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 18 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 16 |

**XXXV ტური**
23 მაისი

ალავესი - ბარსელონა (1:7)
ვალიადოლიდი - ბილბაო (1:2)
ვილიარეალი - ბეტისი (1:4)
დეპორტივო - სარაგოსა (1:3)
ატლეტიკო - რასინგი (3:2)
მალიორკა - ესტრემადურა (0:1)
ტენერიფე - რეალი (0:4)
ოვიედო - სელტა (2:6)
სოსიედადი - ვალენსია (0:2)
ესპანიოლი - სალამანკა (3:2)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## შვეიცარია

### ფინალური ეტაპი
### XI ტური

**ლუცერნი 2:1 სენტ გალენი**

1:0 კოუმანტარაკისი (12), 2:0 ჟოლერი (57), 2:1 ნერი (81)

**ქსამაქსი 1:1 ლოზანა**

1:0 ნდიაე (62), 1:1 ტურე (63)

**ციურიხი 2:1 ბაზელი**

0:1 ფრიკი (34), 1:1 კასტილიო (78), 2:1 ბარტლეტი (83)

ციურიხი: შორუნმუ, ტარონე (კასტილიო 69), ჰოდელი, ფიშერი, დი ჯორიო, სანტანა, ჰუბერი, ჯამარაული, კუნცი (ნიქსონი 53), ბარტლეტი (იოდისე 89), შასო

**სერვეტი 0:0 გრასჰოპერი**

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, მანინი, ჰაასი, გრენი, ბერნერი, ტიკვა (მაგრო 46), კაბანასი, იაკინი, კომიზეტი (ზანი 46), დე ნაპოლი (სერმეტერი 90), ყაველაშვილი

ციურიხის „გრასჰოპერის" ქართველი ლეგიონერი მიხეილ ყაველაშვილი წინა ტურში, „ბაზელთან" 0:2 წაგებული მატჩის 28-ე წუთზე მეტოქესთან შეჯახებისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა, თუმცა ტრავმა არც ისე სერიოზული გამოდგა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ მთავარ კონკურენტ „სერვეტთან" ყაველაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, მატჩის მიწურულს გოლის გატანის შანსიც მიეცა, მაგრამ „სერვეტი" მეკარემ გადაარჩინა. მთლიანად თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. თავიდან სტუმრებმა შეუტიეს, მანინის და კომიზეტის კარგი მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ტაიმის შუაგულში ცუბერბიულერს მოუხდა თავისი ოსტატობის გამოვლენა, როდესაც ჯერ ოუადიას აუღო ძნელი ბურთი, მერე ვოლფს. მომენტები მეორე ტაიმშიც საკმაოდ იყო, მაგრამ გოლის გატანა ვერც ერთმა გუნდმა მოახერხა და თამაშიც ფრედ — 0:0 დასრულდა.

„ციურიხი" — „ბაზელის" მატჩზე მაყურებელთა დასწრების მხრივ მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი დამყარდა. შეხვედრას 12300 ქომაგი დაესწრო და კმაყოფილმაც დატოვა სტადიონი. გოჩა ჯამარაული, როგორც ყოველთვის, ძირითად შემადგენლობაში გახლდათ და ჩინებულადაც ითამაშა, დი ჯორიოსთან და ბარტლეტთან ერთად შვეიცარიელი ჟურნალისტებისგან უმაღლესი შეფასებაც დაიმსახურა. მე-16 წუთზე მის აქტიურობას სტუმართა კართან სახიფათო მომენტი მოჰყვა, მაგრამ მასპინძლებმა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანეს. ანგარიში 34-ე წუთზე „ბაზელმა" გახსნა, ფრიკის დარტყმული შორუნმუმ ვერ მოიგერია. მეორე ტაიმში „ციურიხმა" დიდი ძალებით შეუტია, თუმცა მეტოქეს მატჩის ბოლომდე ვერაფერი მოუხერხა. 78-ე წუთზე ანგარიშიც გათანაბრდა. შეცვლაზე ათიოდე წუთის წინ შესულმა კასტილიომ ჯამარაულის ფლანგური გარღვევა ზუსტი თავურით დააგვირგვინა. ხუთი წუთის შემდეგ კი სამხრეთაფრიკელმა შონ ბარტლეტმა იმარჯვა და „ციურიხს" ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოუტანა. ამ მოგების შემდეგ „ციურიხი" ლიდერთა სამეულს საგრძნობლად მიუახლოვდა, თუმცა ჩემპიონობისთვის ბრძოლაში, ალბათ, ველარ ჩაებმება.

კონკურენტების წაფორხილებით ვერ ისარგებლა „ლოზანამ", რომელმაც სტუმრად „ქსამაქსს" ვერ აჯობა, არადა, გამარჯვების შემთხვევაში პირველ ადგილზე აინაცვლებდა.

**ვანო ოქრობირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 11 | 6 | 3 | 2 | 22:8 | 40 |
| სერვეტი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:12 | 39 |
| ლოზანა | 11 | 6 | 2 | 3 | 20:14 | 39 |
| ციურიხი | 11 | 5 | 2 | 4 | 19:13 | 36 |
| ბაზელი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:17 | 30 |
| ლუცერნი | 11 | 4 | 1 | 6 | 10:17 | 27 |
| ქსამაქსი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:21 | 26 |
| სენტ გალენი | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 23 |

## პორტუგალია

### XXXII ტური

**ალვერკა 1:3 ფარენსე**

0:1 პაულისტა (33), 1:1 აზევედო (35პ), 1:2 ნუნე (62), 1:3 რამოსი (90)

**ლეირია 2:0 რიუ ავე**

1:0 მანუელი (64), 2:0 რიკარდო სილვა (66)

**სალგეირუში 1:1 ამადორა**

0:1 ლეუში (21), 1:1 პედრო (85)

**სეტუბალი 2:0 კამპომაიორენსე**

1:0, 2:0 კონდე (21, 49)

**პორტუ 7:1 აკადემიკა**

1:0, 2:0 ჟარდელი (24, 38), 3:0 ესკუერდინა (56), 3:1 ტო სა (62), 4:1 ჩაინო (64), 5:1 ზაჰოვიჩი (74), 6:1 ჟორჟე კოშტა (82), 7:1 ჟარდელი (85)

**ბრაგა 2:0 სპორტინგი**

1:0 ელპიდიო სილვა (50), 2:0 კაროგლანი (73)

**ბენფიკა 4:1 შავეში**

1:0 ტაჰარი (43), 2:0 კადეტე (48), 2:1 ალვარესი (65), 3:1 პობორსკი (78), 4:1 ნუნუ გომეში (90)

**გიმარაეში 1:1 სეტუბალი**

1:0 რივა სილვა (25პ), 1:1 ბუნბური (90პ)

**ბოავიშტა — ბეირა მარი**

*წუხელ გვიან გაიმართა*

იმ შემთხვევაში თუ „ბოავიშტა" ვერ მოუგებს „ბეირა მარს", „პორტუ" დღესვე ჩემპიონად გამოცხადდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 23 | 6 | 3 | 82:25 | 75 |
| ბოავიშტა | 31 | 19 | 10 | 2 | 52:24 | 67 |
| ბენფიკა | 32 | 18 | 7 | 7 | 65:26 | 61 |
| სპორტინგი | 32 | 17 | 10 | 5 | 60:28 | 61 |
| ლეირია | 32 | 13 | 9 | 10 | 33:27 | 48 |
| გიმარაეში | 32 | 13 | 8 | 11 | 50:39 | 47 |
| სეტუბალი | 32 | 13 | 8 | 11 | 34:37 | 47 |
| ამადორა | 32 | 11 | 11 | 10 | 33:38 | 44 |
| ფარენსე | 32 | 10 | 8 | 14 | 36:50 | 38 |
| ბრაგა | 32 | 9 | 11 | 12 | 36:50 | 38 |
| მარიტიმუ | 32 | 9 | 10 | 13 | 39:41 | 37 |
| სალგეირუში | 32 | 7 | 16 | 9 | 40:49 | 37 |
| კამპომაიორ. | 32 | 9 | 7 | 16 | 37:48 | 34 |
| რიუ ავე | 32 | 7 | 11 | 14 | 24:44 | 32 |
| ალვერკა | 32 | 7 | 10 | 15 | 31:46 | 31 |
| ბეირა მარი | 31 | 6 | 13 | 12 | 30:46 | 31 |
| შავეში | 32 | 5 | 10 | 17 | 37:64 | 25 |
| აკადემიკა | 32 | 4 | 9 | 19 | 30:67 | 21 |

## თურქეთი

32-ე ტური: ტრაბზონი — ბეშიქთაში 1:2; გენჩლერბირლიგი — ბურსა 1:4; ქარაბუქი — ანთალია 2:1; დარდანელი — საქარია 1:0; ადანა — ალთაი 2:0; სამსუნი — გაზიანთეფი 2:1; ისთანბული — ერზურუმი 0:2; ფენერბაჰჩე — ქოჯაელი 1:1; გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 32 | 23 | 7 | 2 | 84:29 | 76 |
| ბეშიქთაში | 32 | 21 | 8 | 3 | 52:26 | 71 |
| ფენერბაჰჩე | 32 | 20 | 6 | 6 | 78:27 | 66 |
| ტრაბზონი | 32 | 17 | 7 | 8 | 46:33 | 58 |
| გენჩლერბირ. | 32 | 12 | 10 | 10 | 47:42 | 46 |
| ქოჯაელი | 32 | 13 | 7 | 12 | 41:36 | 46 |
| ანთალია | 32 | 13 | 6 | 13 | 42:44 | 45 |
| გაზიანთეფი | 32 | 11 | 11 | 10 | 47:46 | 44 |
| ისთანბული | 32 | 11 | 7 | 14 | 44:51 | 40 |
| სამსუნი | 32 | 11 | 7 | 14 | 37:50 | 40 |
| ბურსა | 32 | 11 | 4 | 17 | 49:67 | 37 |
| ალთაი | 32 | 10 | 6 | 16 | 42:58 | 36 |
| ადანა | 32 | 10 | 6 | 16 | 35:51 | 36 |
| ერზურუმი | 32 | 9 | 9 | 14 | 38:60 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 32 | 9 | 8 | 15 | 44:51 | 35 |
| საქარია | 32 | 8 | 8 | 16 | 40:49 | 32 |
| დარდანელი | 32 | 8 | 8 | 16 | 34:44 | 32 |
| ქარაბუქი | 32 | 5 | 7 | 20 | 23:59 | 22 |

## ავსტრია

34-ე ტური: შტურმი — რაპიდი 1:1; ლუსტენაუ — ტიროლი 0:3; ლინცერი — ზალცბურგი 3:2; რიდი — შტაირი 1:0, აუსტრია — გრაცერი 0:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 34 | 21 | 4 | 9 | 67:31 | 67 |
| რაპიდი | 34 | 18 | 12 | 4 | 49:25 | 66 |
| გრაცერი | 34 | 19 | 5 | 10 | 43:27 | 62 |
| ზალცბურგი | 34 | 14 | 11 | 9 | 52:39 | 53 |
| ტიროლი | 34 | 14 | 10 | 10 | 45:37 | 52 |
| ლინცერი | 34 | 15 | 6 | 13 | 50:44 | 51 |
| აუსტრია | 34 | 12 | 11 | 11 | 38:39 | 47 |
| რიდი | 34 | 8 | 8 | 18 | 25:44 | 32 |
| ლუსტენაუ | 34 | 4 | 11 | 19 | 23:58 | 23 |
| შტაირი | 34 | 3 | 6 | 25 | 28:76 | 12 |

## ჰოლანდია

### XXXIII ტური

**აიაქსი 2:0 ვალვაიკი**

1:0, 2:0 ლიტმანენი (43, 90)

**ტვენტე 2:2 ბრედა**

0:1 შუკოვი (12), 1:1 დე ვიტე (27), 1:2 შუკოვი (77), 2:2 ჰესელინკი (78)

**სპარტა 5:0 სიტარდი**

1:0 ფერგიუსონი (18), 2:0 ელ ხატაბი (21), 3:0, 4:0 კრიგსმანი (58, 66), 5:0 ელ ხატაბი (70)

**ნაიმეგენი 0:3 ფეიენოორდი**

0:1 ვან ფოსენი (42), 0:2 ვოსი (70), 0:3 გიანი (83)

**ვიტესი 2:1 გრააფსხაპი**

1:0 მახლასი (12), 1:1 ვისკაალი (67), 2:1 მახლასი (88)

**მაასტრიხტი 1:0 ჰერენვენი**

1:0 ემერსონი (4)

**ეინდჰოვენი 7:1 ალკმაარი**

1:0 ვან დერ ვერდენი (8), 2:0 ნილისი (14), 3:0 ვან დერ ვერდენი (24), 4:0 ხავიერი (44), 5:0 ვან ნისტელროი (50), 6:0 რომდალი (70), 6:1 ობიკუ (81), 7:1 ნილისი (87)

**როდა 3:0 უტრეხტი**

1:0, 2:0 ვან უდტი (37, 53), 3:0 პეტერსი (80)

**კამბური 0:2 ტილბურგი**

0:1 გალაშეკი (74), 0:2 ჰერმესი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 33 | 24 | 5 | 4 | 74:37 | 77 |
| ტილბურგი | 33 | 20 | 5 | 8 | 68:44 | 65 |
| ვიტესი | 33 | 18 | 7 | 8 | 60:42 | 61 |
| როდა | 33 | 17 | 9 | 7 | 58:36 | 60 |
| ეინდჰოვენი | 33 | 16 | 10 | 7 | 84:53 | 58 |
| აიაქსი | 33 | 16 | 8 | 9 | 71:39 | 56 |
| ჰერენვენი | 33 | 14 | 11 | 8 | 53:41 | 53 |
| ტვენტე | 33 | 12 | 13 | 8 | 49:44 | 49 |
| ალკმაარი | 33 | 11 | 12 | 10 | 48:58 | 45 |
| სიტარდი | 33 | 12 | 8 | 13 | 47:53 | 44 |
| უტრეხტი | 33 | 10 | 8 | 15 | 52:61 | 38 |
| ნაიმეგენი | 33 | 9 | 9 | 15 | 39:54 | 36 |
| გრააფსხაპი | 33 | 8 | 11 | 14 | 38:55 | 35 |
| მაასტრიხტი | 33 | 7 | 11 | 15 | 40:59 | 32 |
| კამბური | 33 | 7 | 10 | 16 | 35:62 | 31 |
| სპარტა | 33 | 7 | 4 | 22 | 37:71 | 25 |
| ვალვაიკი | 33 | 5 | 9 | 19 | 37:61 | 24 |
| ბრედა | 33 | 4 | 10 | 19 | 39:59 | 22 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროი (ეინდჰოვენი) | 30 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 24 |
| ჰესელინკი (ტვენტე) | 20 |

## საბერძნეთი

31-ე ტური: ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 3:2; აეკი — ეთნიკოსი (პირეოსი) 2:0; აპოლონი — პანათინაიკოსი 1:3; კავალა — პანელეფსინიაკოსი 3:0; პაოკი — პანილიაკოსი 2:0; არისი — ვერია 2:0; პანიონისი — ქსანტი 0:2; იონიკოსი — ოფი 2:0; ეთნიკოსი (აასტირი) — პრუდეფტიკი 2:2.

**ოლიმპიაკოსი 3 ტურით ადრე ჩემპიონია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 31 | 25 | 3 | 3 | 76:21 | 78 |
| აეკი | 31 | 21 | 5 | 5 | 66:24 | 68 |
| პანათინაიკოსი | 31 | 20 | 5 | 6 | 60:34 | 65 |
| პაოკი | 31 | 17 | 5 | 9 | 43:28 | 56 |
| არისი | 31 | 17 | 3 | 11 | 45:38 | 54 |
| ქსანტი | 31 | 15 | 8 | 8 | 42:29 | 53 |
| იონიკოსი | 31 | 15 | 8 | 8 | 57:34 | 53 |
| ოფი | 31 | 15 | 3 | 13 | 44:37 | 48 |
| ირაკლისი | 31 | 12 | 8 | 11 | 47:38 | 44 |
| კავალა | 31 | 11 | 6 | 14 | 44:58 | 39 |
| ეთნიკოსი (ა) | 31 | 11 | 5 | 15 | 36:50 | 38 |
| პანილიაკოსი | 31 | 10 | 5 | 16 | 33:47 | 35 |
| აპოლონი | 31 | 8 | 9 | 14 | 38:56 | 33 |
| პრუდეფტიკი | 31 | 8 | 9 | 14 | 24:33 | 33 |
| პანიონისი | 31 | 9 | 4 | 18 | 39:49 | 31 |
| პანელეფსინ. | 31 | 5 | 11 | 15 | 19:45 | 26 |
| ვერია | 31 | 5 | 5 | 21 | 18:52 | 20 |
| ეთნიკოსი (პ) | 31 | 0 | 8 | 23 | 15:73 | 8 |

## ლატვია

მე-6 ტური: მეტალურგსი — სკონტო 2:3; რეზეკნე — ვალმიერა 0:3; დინაბურგი — ვენტსპილსი 0:0; პოლიციასი — რიგა 2:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვენტსპილსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11:2 | 16 |
| სკონტო | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 15 |
| მეტალურგსი | 6 | 4 | 0 | 2 | 17:5 | 12 |
| ვალმიერა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | 7 |
| დინაბურგი | 6 | 1 | 3 | 2 | 2:4 | 6 |
| პოლიციასი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:15 | 6 |
| რიგა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| რეზეკნე | 6 | 0 | 1 | 5 | 1:16 | 1 |


ეროვნული ბიბლიოთეკა

„როტორი" — „სპარტაკი" 3:3. 90-ე წუთი. სტუმრები იუბილარი მსაჯის ნიკოლაი ლევნიკოვის გადაწყვეტილებას აპროტესტებენ

## რუსეთი

### VII ტური

**როტორი 3:3 სპარტაკი**

1:0 ვერეტენიკოვი (39), 1:1 შირკო (48), 2:1 ზუბკო (65), 2:2 ტიხონოვი (66), 2:3 შირკო (74), 3:3 აბრამოვი (90)

**ლოკომოტივი 2:1 დინამო**

0:1 ოსტროვსკი (34), 1:1 ხარლაჩოვი (42), 2:1 სმერტინი (85)

**ცსკა 5:2 ჩერნომორეცი**

1:0 სემაკი (3), 2:0 ვარლამოვი (18), 3:0 სემაკი (41), 4:0 ფილიპენკოვი (53), 5:0 სემაკი (65), 5:1 ბერეზნერი (72), 5:2 გერაშჩენკო (88)

**ტორპედო 0:0 შინიკი**

**სატურნი 0:1 ალანია**

0:1 ედუ მორეირა (85)

**ნ. ნოვგოროდი 1:2 ურალანი**

0:1 ივანოვი (31), 0:2 ვიშნევსკი (70), 1:2 კუზნეცოვი (74პ)

**ჟემჩუჟინა 0:2 კრილია**

0:1 საფრონოვი (50), 0:2 ტეტერინი (52)

**როსტსელმაში 2:1 ზენიტი**

1:0, 2:0 ხანკეევი (26, 59), 2:1 პანოვი (61)

ვოლგოგრადში შეხვედრა დამთავრდა, ვნებათაღელვა კი ერთ საათს გრძელდებოდა. „სპარტაკის" ხელმძღვანელობა მსაჯ ლევნიკოვის მოქმედებით აშკარად უკმაყოფილო დარჩა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მოსკოველთა გუნდის თავკაცი ოლეგ რომანცევი ემოციებს ვერ ფარავდა. სწორედ ამ დროს მისი თანაშემწე გროზნი გასახდელში ლევნიკოვს ხმამაღლა „მოძღვრავდა".

„სპარტაკის" ხელმძღვანელებმა თავიანთი პროტესტი შეხვედრის ოქმში დააფიქსირეს. ისინი ორ ეპიზოდზე დავობდნენ. პირველი — 2:2-ის დროს შირკოს მიერ გატანილი გოლის ჩაუთვლელობა და 90-ე წუთზე მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნული თავისუფალი საჯარიმო, რომლის გათამაშებასაც სტუმართა კარში მესამე გოლი მოჰყვა. შედეგად „როტორმა" ანგარიში გაათანაბრა და ქულაც გადაარჩინა.

მიუხედავად ყველაფრისა, მატჩის კომისარმა გენადი ტირანოვმა არბიტრს საკმაოდ მაღალი შეფასება 8,0 დაუწერა და დაბადების დღე არ ჩაუმწარა. დიახ, ლევნიკოვი შაბათს იუბილარი გახლდათ.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი — შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე, როცა ანგარიში 2:3 იყო, მოედანი დატოვა „როტორის" მთავარმა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ. როცა პრესკონფერენციაზე ამ საქციელის განმარტება სთხოვეს, პროკოპენკომ განაცხადა, ეს ჩემი პატარა საიდუმლოა. რომ არ წავსულიყავი, შეიძლება ანგარიში ვერ გაგვეთანაბრებინაო.

ამ შეხვედრაში სპარტაკელმა კოვტუნმაც დროზე ადრე დატოვა მოედანი. თუმცა პროკოპენკოსგან განსხვავებით მისი მოქმედება იძულებითი ნაბიჯი იყო, რადგან უხეშად მოთამაშე მცველს მსაჯმა წითელი აუფრიალა.

პირველად წააგო მოსკოვის „დინამომ". იარცევის შეგირდები თანაქალაქელ „ლოკომოტივს" ემსხვერპლენ. მიუხედავად გაშვებული გოლისა, რკინიგზელებმა ალმავლობით ჩაატარეს ეს შეხვედრა და ღირსეულად გაიმარჯვეს. მასპინძელთა რიგებში კვლავ გამოჩნდა დისკვალიფიკაციამოხდილი ზაზა ჯანაშია. იგი მეორე ტაიმში ჩაერთო თამაშში და საკმაოდ ენერგიულადაც. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა 6-ჯერ სახიფათოდ დაურტყა „დინამოს" მეკარეს. მისმა შესვლამ „ლოკომოტივის" შეტევები უფრო მრავალფეროვანი გახადა.

ჯანაშიასდარად აქტიურობით გამოირჩა ალანიელი გიორგი დემეტრაძე. მისმა თანაგუნდელებმა მეტად საჭირო სამი ქულა აიღეს სტუმრად „სატურნთან". შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებით გამხნევებული რამენსკოლოები ღირსეულად ეპაექრნენ გამოცდილ ვლადიკავკაზელებს. თუმცა ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა და მატჩის მიწურულს დემეტრაძის წამოწყებული კომბინაცია „ალანიას" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ედუმ დააგვირგვინა. თავად გიორგიმ არაერთხელ სცადა გოლის გატანა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა ბრწყინვალედ მოთამაშე მასპინძელთა მეკარე ჩიჟოვის გაწბილება.

ალნიშვნის ღირსია „ჟემჩუჟინა" — „კრილიას" შეხვედრა. ამ მატჩში ოთხმა ქართველმა ითამაშა. სოჭის გუნდის ღირსებას გიზო ჯელაძე და გიორგი გოგიაშვილი იცავდნენ. გოჩა გოგრიჭიანი დისკვალიფიცირებული იყო. სტუმართა შორის ზურაბ ფოფხაძე და ზურაბ წიკლაური ირჯებოდნენ. სამარელებმა აშკარად აჯობეს მეტოქეს და სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზე დაამკვიდრეს.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 10 | 8 | 1 | 1 | 20:7 | 25 |
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 16:7 | 16 |
| ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 8:5 | 15 |
| ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:6 | 14 |
| ალანია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 |
| როსტსელმაში | 7 | 4 | 1 | 2 | 11:10 | 13 |
| ცსკა | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 12 |
| როტორი | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 11 |
| სატურნი | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| კრილია | 8 | 2 | 1 | 5 | 7:12 | 7 |
| ზენიტი | 7 | 1 | 4 | 2 | 8:8 | 7 |
| შინიკი | 7 | 1 | 3 | 3 | 2:9 | 6 |
| ნ. ნოვგოროდი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:11 | 5 |
| ჩერნომორეცი | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | 5 |
| ურალანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:10 | 4 |
| ჟემჩუჟინა | 7 | 0 | 1 | 6 | 2:17 | 1 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20



1979 წლის შემდეგ „ნანტმა" მეორედ მოიპოვა საფრანგეთის თასი

# მომავლის გუნდის დღევანდელი ტრიუმფი

## საფრანგეთი

### თასის ფინალი

**ნანტი 1:0 სედანი**

1:0 მონტერუბიო (57პ)

ნანტი: ლანდრო, შანელე, დეკრუა, ფაბრი (ჟილე 66), ოლემბე, დეროფი, დევინო (სავინო 80), კარიერი, პიოსელი, და როშა (სიუფო 90), მონტერუბიო

სედანი: საში, ბორბოკონი (კროსნიე 76), სატორა, ოლივეირა (დანბეტო 67), ელზეარი, დებლოკი, პაბუა (ნდიეფი 60), ფორი, კენი, დი როკო, მიონე

„ნანტმა" საფრანგეთის თასი მეორედ მოიპოვა. გარემარბ ოლივიე მონტერუბიოს 57-ე წუთზე გატანილმა გოლმა, „სტად დე ფრანსზე", მეორე დივიზიონის „სედანს" კაპიტულაცია გამოაცხადებინა.

პირველად, „ნანტმა" 1979 წელს იზეიმა ასეთივე წარმატება და მისი ძლეული მაშინაც მეორე დივიზიონელი „ოსერი" გახლდათ.

„სედანთან" გამარჯვებით 1996 წლის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალისტმა უეფას თასზე გამსვლელი ადგილიც გაინაღდა. „სტად დე ფრანსზე" ჯილდო ფრანგ კაპიტანთა შორის ყველაზე ახალგაზრდამ, 20 წლის გოლკიპერმა მიკაელ ლანდრომ აღმართა.

„დიდებული წარმატებაა. მართალია, როგორც გუნდს, ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, მაგრამ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდობით უეჭველად ნათელი მომავალი გველის" — განაცხადა თასის მფლობელმა მწვრთნელმა რეინალდ დენუემ.

მატჩის ერთადერთი გოლი „ნანტმა" პენალტით გაიტანა. პენალტის მიზეზი სედანელი მცველის კრისტოფ ბორბოკონის მიერ თავდამსხმელის, ფრედერიკ და როშას წაქცევა გახლდათ. თამაშის მიწურულს, თასის ასევე ორგზის მფლობელმა, „სედანმა", მთელი ძალ-ღონე ანგარიშის გათანაბრებას შეალია და მსაჯის დამატებულ წუთებში ლამის მართლა მიაღწია მიზანს: გუნდის კაპიტან ლუი სატორას დარტყმული ლანდრომ თითის წვერებითღა მოიგერია.

შეხვედრის მეორე ნახევარი ფრიად ამაღელვებელი სანახაობა გამოდგა. მეორე დივიზიონელებს გვარიან პრობლემებს სწრაფი მონტერუბიო უქმნიდა. მაგალითად, 63-ე წუთზე მის ჩაწოდებულ ბურთს ნახვარმცველმა ერიკ კარიერმა დაარტყა თავური, მაგრამ ბურთს „სედანის" გოლკიპერი ნიკოლა საში დაუხვდა. იმავე ფორვარდის მეორე პასს მცველმა ერიკ დეკრუამაც თავური ჰკრა და ოდნავ ააცილა მიზანს, ხოლო ერთი ხნის მერე საშიმ და როშას მარცხენა ფრთიდან დარტყმულს საუცხოო რეაქცია დაახვედრა.

თამაშის საერთო სურათიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „ნანტისთვის" კიდევ ერთი გოლის გატანა იქნებოდა ალალი, მაგრამ არც „სედანის" მრავალრიცხოვანი და თავგანწირული დაცვის დაკნინება გვმართებს, ხოლო დამარცხებულთა მალალმა თავდამსხმელმა ალექს დი როკომ ორი ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან.

სედანელთა ყველაზე სახიფათო მომენტი კი პირველი ტაიმის მიწურულს იყო, როდესაც საჯარიმო მოედანთან ჩაშლილი ნანტელთა შეტევა სწრაფ კონტრშეტევად გადაიქცა და ჯარიმით დასრულდა. საჯარიმო დარტყმა აქტიურმა ფორვარდმა სედრიკ მიონემ შეასრულა, მაგრამ ყოჩაღი ლანდრო შორეული კუთხისკენ გაფრენილ ბურთს მიწვდა. მოგერიებულს ზემოხსენებული სატორა დაეუფლა და დაარტყა, ოღონდ პირდაპირ „ნანტის" გოლკიპერის ხელისკენ.

# ჩვენ ჩემპიონები ვართ

## ბელგია

### XXXIV ტური

**ბრიუგე 5:3 ვესტერლო**

1:0 ილიჩი (7), 2:0 ეკაკია-ელონგა (43), 2:1 მიტროვიჩი (48), 3:1 ანიჩი (57), 4:1 კლასენსი (66), 4:2 სილიანოსკი (69), 5:2 ფრენკი ვან დერ ელსტი (73პ), 5:3 ტოელენი (79)

**ჰარელბეკი 1:2 გენკი**

0:1 ოლარე (31), 0:2 გუდიონსონი (70), 1:2 კუბიკი (83)

**ანდერლეხტი 3:1 კორტრაიკი**

0:1 დემკინი (31), 1:1 ვან დიემენი (32), 2:1 შიფო (51), 3:1 ზეტერბერგი (55პ)

**ეკერენი 1:1 მუსკრონი**

0:1 ვიდოვიჩი (15), 1:1 სევერეინსი (85)

**აალსტი 4:0 ოსტენდე**

1:0 კურემანი (70), 2:0 ვან ჰოუვეგენი (73), 3:0 დე ოლივეირა (79), 4:0 სარლი (87)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ბევერენი**

0:1 ვან დენ ედე (5), 1:1 ვრანკენი (66)

**ლომელი 2:1 შარლერუა**

1:0 დეკელვერი (18), 2:0 ეშუნი (86), 2:1 სოუზა (89)

**ლოკერენი 1:4 გენტი**

0:1 ზერე (10 ს.კ.), 0:2 დეგრიზი (55), 1:2 კოელერი (78), 1:3 კოლენი (80), 1:4 დე კრეკი (82)

**ლიერსი 3:0 სტანდარდი**

1:0 სპიტერი (2), 2:0 კავენსი (24), 3:0 სპიტერი (67)

„გენკი" ჩემპიონია!

ბელგიის პირველობის გამარჯვებული, ინგლისის პრემიერლიგის დარად, ბოლო ტურში უნდა გარკვეულიყო. ქვეყნის ერთ-ერთი ტიტულოვანი გუნდი „ბრიუგე" „ვესტერლოს" მასპინძლობდა, ჩემპიონატის ლიდერი „გენკი" კი „ჰარელბეკს" სტუმრობდა. სხვაობა ამ გუნდებს შორის ორად ორი ქულა გახლდათ „გენკის" სასარგებლოდ. თავადაც მიხვდებით, დაძაბულობა დიდი იყო.

თამაშებმა რა შედეგებიც მოიტანა, ზემოთაც ნახავდით — ორივე ლიდერმა მოიგო, სხვაობა უცვლელი დარჩა, „გენკი" გაჩემპიონდა.

ედგარდ ტრონბექსი, „გენკის" თავმჯდომარე: „დაუვიწყარი მომენტია. ჩვენ გადმოგვეცა ბელგიის ჩემპიონთათვის განკუთვნილი თასი და „გენკი" ამაყობს ამით. მთელი სეზონის მანძილზე შესანიშნავად ვთამაშობდით, ვიგებდით და ჩემპიონობას ნამდვილად ვიმსახურებდით. მუხლჩაუხრელად შრომობდა „გენკის" უკლებლივ ყველა წევრი და სასიხარულოა, რომ ჩვენი შრომა დაფასდა".

დომენიკო ოლივეირი, „გენკის" კაპიტანი: „თავადაც იცით, ბოლო ტურიდან დისკვალიფიცირებული გახლდით. მიჭირდა ტრიბუნაზე გაჩერება. „გენკი" რომ უტევდა, ვერც წარმოიდგენთ, როგორც განვიცდიდი. უსაზღვროა ჩემი სიხარული. ჩვენ ჩემპიონები ვართ და ახლა მთავარი ესაა. ვულოცავ ყველას".

...40 ათასი გულშემატკივარი შეხვდა საყვარელ კლუბს. თითეული მათგანი უზომოდ იყო გახარებული კლუბის წარმატებით. ჩემპიონობა სახუმარო ამბავი სულაც არაა. ეგეც არ იყოს, სწორედ მან მოუტანა პატარა გენკს ჩემპიონთა ლიგის საგზური.

ბელგიიდან ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო თასზე „ბრიუგეც" ითამაშებს. „გენკიც" და „ბრიუგეც" საკვალიფიკაციო ეტაპზე არიან დაშვებულნი. წარმატების შემთხვევაში კი, ცხადია, ლიგაში ადგილს დაიბევებენ.

ისევ ბელგიის ჩემპიონზე: „გენკი" მხოლოდ და მხოლოდ 11 წლისაა. ზუსტად ამდენი ხნის წინათ ორი, ყველასათვის უცნობი კლუბი — „ვატერშეკი" და „ვანტერსლამი" გაერთიანდა და დაიბადა „გენკი".

**ირაკლი ილაშვილი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 34 | 22 | 7 | 5 | 74:38 | 73 |
| ბრიუგე | 34 | 22 | 5 | 7 | 65:38 | 71 |
| ანდერლეხტი | 34 | 21 | 7 | 6 | 76:39 | 70 |
| მუსკრონი | 34 | 19 | 9 | 6 | 76:47 | 66 |
| ლოკერენი | 34 | 17 | 6 | 11 | 69:61 | 57 |
| სტანდარდი | 34 | 17 | 3 | 14 | 55:47 | 54 |
| ლიერსი | 34 | 16 | 6 | 12 | 72:47 | 54 |
| გენტი | 34 | 14 | 10 | 10 | 55:59 | 52 |
| სტ. ტრუიდენი | 34 | 14 | 9 | 11 | 52:46 | 51 |
| ეკერენი | 34 | 14 | 7 | 13 | 48:46 | 49 |
| ჰარელბეკი | 34 | 10 | 11 | 13 | 44:46 | 41 |
| ვესტერლო | 34 | 11 | 7 | 16 | 56:62 | 40 |
| აალსტი | 34 | 9 | 8 | 17 | 48:66 | 35 |
| შარლერუა | 34 | 7 | 11 | 16 | 40:54 | 32 |
| ბევერენი | 34 | 8 | 6 | 20 | 33:60 | 30 |
| ლომელი | 34 | 7 | 7 | 20 | 33:56 | 28 |
| კორტრაიკი | 34 | 6 | 7 | 21 | 49:81 | 25 |
| ოსტენდე | 34 | 4 | 10 | 20 | 27:79 | 22 |

## პოლონეთი

27-ე ტური: სტომილი — ვიძევი 2:1; პოგონი — კატოვიცე 1:0; რუხი — ვისლა 1:1; გურნიკი — ლეგია 1:0; ლკს — ბელხატოვი 2:0; პოლონია — რაძიონკოვი 0:0; ოდრა — ამიცა 1:0; ზაგლებიე — ლეხი 1:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 27 | 22 | 2 | 3 | 68:20 | 68 |
| ვიძევი | 27 | 17 | 1 | 9 | 44:30 | 52 |
| ლეხი | 27 | 16 | 2 | 9 | 51:31 | 50 |
| ლეგია | 27 | 13 | 8 | 6 | 34:24 | 47 |
| პოლონია | 27 | 12 | 7 | 8 | 36:27 | 43 |
| გურნიკი | 27 | 9 | 10 | 8 | 30:26 | 37 |
| რაძიონკოვი | 27 | 9 | 9 | 9 | 33:31 | 36 |
| სტომილი | 27 | 10 | 4 | 13 | 28:37 | 34 |
| ზაგლებიე | 27 | 8 | 9 | 10 | 36:39 | 33 |
| ლკს | 27 | 8 | 8 | 11 | 32:39 | 32 |
| რუხი | 27 | 8 | 7 | 12 | 20:34 | 31 |
| ამიცა | 27 | 8 | 6 | 13 | 30:38 | 30 |
| ოდრა | 27 | 8 | 6 | 13 | 30:39 | 30 |
| პოგონი | 27 | 8 | 6 | 13 | 32:48 | 30 |
| ბელხატოვი | 27 | 7 | 5 | 15 | 24:45 | 26 |
| კატოვიცე | 27 | 5 | 6 | 16 | 22:44 | 21 |

## შოტლანდია

### XXXV ტური

**სელტიკი 3:2 აბერდინი**

1:0 ბლინკერი (1), 1:1 მაიერი (56), 2:1 ჯონსონი (61), 2:2 პერი (83), 3:2 ბარჩილი (90)

**დანდი 3:1 დანფერმლაინი**

1:0 ირვაინი (23), 1:1 ტომსონი (50), 2:1 ბოიაკი (51), 3:1 ფალკონერი (63)

**ჰართსი 4:1 დანდი იუნაიტედი**

1:0 რიჩი (41), 2:0 მაკსვიგანი (51), 3:0 ადამი (68), 4:0 კამერონი (77), 4:1 ესტეისი (89)

**კილმარნოკი 1:1 სტ. ჯონსტონი**

1:0 რობერტსი (8), 1:1 ბოლანი (65)

**მოზერველი 1:5 რეინჯერსი**

0:1 ამატო (16), 0:2 ვან ბრონკჰორსტი (36), 0:3, 0:4 ამატო (51, 53პ), 0:5 კანჩელსკისი (65), 1:5 ნიკოლასი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 35 | 23 | 7 | 5 | 77:30 | 76 |
| სელტიკი | 35 | 20 | 8 | 7 | 82:34 | 68 |
| კილმარნოკი | 35 | 14 | 13 | 8 | 46:28 | 55 |
| სტ. ჯონსტონი | 35 | 14 | 12 | 9 | 38:38 | 54 |
| დანდი | 35 | 13 | 7 | 15 | 36:55 | 46 |
| ჰართსი | 35 | 10 | 9 | 16 | 39:48 | 39 |
| მოზერველი | 35 | 9 | 11 | 15 | 33:53 | 38 |
| აბერდინი | 35 | 10 | 7 | 18 | 41:66 | 37 |
| დანდი იუნ. | 35 | 8 | 10 | 17 | 36:46 | 34 |
| დანფერმლაინი | 35 | 4 | 16 | 15 | 27:57 | 28 |

## სლოვენია

29-ე ტური: მურა — ველენიე 4:0; ნოვა გორიცა — კოროტანი 3:0; მარიბორი — ოლიმპია 5:0; კოპერი — დომზალე 0:4; აიდოვშჩინა — ტრიგლავი 1:1; ბელტინჩი — ცელიე 0:1.

# ერთი დაჭრეს, ორს თავი გაუტეხეს

ერთი პოლიციელი დაიჭრა, კიდევ ორს თავი გაუტეხეს და ყველაფერი ეს სლოვენიის ჩემპიონატში მოხდა.

ჩხუბი „მარიბორის" დაახლოებით ოცდაათმა გულშემატკივარმა დაიწყო. მათი ობიექტი გახლდათ პოლიციის რაზმი, რომელმაც ის დააშავა, რომ მათ მოედნისკენ გზა გადაუღობა. არადა რას აშავებდნენ? მხოლოდ და მხოლოდ თბილისთან დაძმობილებული ლუბლიანის „ოლიმპიასთან" 5:0 გამარჯვების ზეიმი სურდათ.

რაც მოხდა ერთობ უცნაური იყო, რადგან ამ პატარა ქვეყანაში საფეხბურთო ხულიგნობა ძალიან იშვიათი რამ გახლავთ. სწორედ ამტომ არ ჰქონდათ პოლიციელებს ცრემლსადენი გაზი და სხვა ასეთ დროს აუცილებელი აღჭურვილობა.

„ასეთი საძაგელი ხულიგნობა სლოვენიურ ფეხბურთში არ მინახავს" — განაცხადა მარიბორის პოლიციის მრავლისმნახველმა პრეს მდივანმა ივო უსარმა — „ერთი პოლიციელი ზურგში დაჭრეს, ორს კი თავები გაუტეხეს."

დაჭრილ პოლიციელს ოპერაცია დაჭირდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 29 | 16 | 9 | 4 | 65:28 | 57 |
| ნოვა გორიცა | 29 | 16 | 7 | 6 | 47:27 | 55 |
| მურა | 29 | 15 | 5 | 9 | 50:27 | 50 |
| ველენიე | 29 | 14 | 7 | 8 | 36:26 | 49 |
| კოროტანი | 29 | 12 | 6 | 11 | 38:41 | 42 |
| აიდოვშჩინა | 29 | 11 | 7 | 11 | 35:35 | 40 |
| ოლიმპია | 29 | 11 | 6 | 12 | 46:42 | 39 |
| ცელიე | 29 | 8 | 11 | 10 | 23:29 | 35 |
| დომზალე | 29 | 8 | 9 | 12 | 32:43 | 33 |
| ბელტინჩი | 29 | 8 | 5 | 16 | 31:54 | 29 |
| კოპერი | 29 | 6 | 7 | 16 | 26:55 | 25 |
| ტრიგლავი | 29 | 5 | 9 | 15 | 25:47 | 24 |

# სკუდეტო «მილანს»!

სკუდეტოს მილანში ელიან. შავ-წითლები წლეულს ყველაზე ახლოს არიან ჩემპიონობასთან.

პროგნოზებს და წინასწარმეტყველებებს რა ვუთხარი, თორემ აქამდე იტალიის ჩემპიონი „ლაციო", „პარმა" ან „ფიორენტინა" უნდა ყოფილიყო. კი მაგრამ, „იუვენტუსი", „ინტერი", ანაც „მილანი"? იკითხავთ თქვენ და სავსებით სამართლიანადაც.

მიმდინარე სეზონის წინ სკუდეტოს კანდიდატებად თავში ნახსენები სამი გუნდი, ასევე „იუვენტუსი" და „ინტერი" მიიჩნეოდნენ. „მილანს" ფავორიტთა სიაში კი ასახელებდნენ, მაგრამ უფრო შესანიშნავი უახლოესი წარსულის გამო და არა დღევანდელობის გათვალისწინებით. ასე იყო ჩემპიონატის დასაწყისში. არ იკითხავთ, ახლა როგორი სიტუაციაა?

„მილანი" იტალიის ჩემპიონატის დასასრულამდე ტურით ადრე პირველ ადგილზეა და მდევრებს ქულით უსწრებს. მდევრები „ლაციო", „პარმა" და „ფიორენტინა" არიან, არის კიდევ რამდენიმე კლუბი, მაგრამ მათ შორის არ არიან „იუვენტუსი" და „ინტერი". იტალიური ფეხბურთის ამ ორმა გრანდმა მიმდინარე სეზონში გზა სხვას, ახალბედებს დაუთმეს. „მილანმა" კი, ნურას უკაცრავად, თავად ინება წინ გაჭრა.

იტალიური ფეხბურთის ასწლიანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის ჩემპიონატი ათზე მეტჯერ მხოლოდ სამ კლუბს — „იუვენტუსს", „ინტერს" და „მილანს" მოუგიათ. ამიტომაც ითვლება ეს სამი კლუბი „კალჩოს" საუკეთესო მცოდნედ. ესეც არ იყოს, იტალიის ჩემპიონატებს 1992 წლიდან მოყოლებული მხოლოდ „მილანი" და „იუვენტუსი" იგებდნენ. წლეულს „ლაციოს" დიდი შანსი ჰქონდა ლიდერთა ჰეგემონია შეეწყვიტა, მაგრამ ფეხი დაუცურდა. რომის კლუბს გაჩემპიონების შანსი არ დაუკარგავს, მაგრამ „მილანი" რომ წინაა?

გახსოვთ, ალბათ, რა ბრწყინვალედ თამაშობდა „ლაციო" წლის დასაწყისში. სვენ გორან ერიკსონმა დაუმარცხებელი კლუბი შექმნა, რომელიც მეტოქეებს შინ თუ გარეთ, ანადგურებდა. სად იყო იმ დროს „მილანი", როცა „ლაციოს" ლიდერობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა? სად იყო და ცხრილის შუაგულიდან მეთოდურად მიიწევდა ზემოთ, მწვერვალისკენ.

„ლაციომ" და „მილანმა" მიმდინარე ჩემპიონატში 19-19 თამაში მოიგეს, მაგრამ თუ „მილანს" ერთბურთიანი სხვაობით თორმეტჯერ უმარჯვია, „ლაციოს" მხოლოდ ხუთჯერ. დანარჩენი გამარჯვებები რომის კლუბს შთამბეჭდავი აქვს. და მაინც — დღეს „მილანი" პირველზეა, „ლაციო" მეორეზე.

...იანვარში ბრუნო ნგოტის ბოლო წუთზე გატანილმა გოლმა „მილანს" ბოლონიაში მასპინძლებთან მოაგებინა.

...მარტში, „ბარისთან" მატჩში მაურიციო განცის 90-ე წუთზე შეგდებულმა გოლმა „მილანს" ქულა არგუნა.

...აგერ სულ ახლახანს „მილანმა", როცა „სამპდორიას" მასპინძლობდა, იმავე განცის აქტიურობის წყალობით მოგება ბოლო წამებზე ირგუნა.

ამას დაუმატეთ მნიშვნელოვანი მოგება „პარმასთან", „იუვენტუსთან", ფრე გასვლით მატჩში „ლაციოსთან", 5:1 მოგება უდინეში და ნათელი გახდება, რომ „მილანი" ქულას ქულაზე აგროვებდა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ, „ლაციო" კი ამ დროს მნიშვნელოვან შეხვედრებს აგებდა.

მილანში სჯერათ, რომ სკუდეტო სან სიროზე დაბრუნდება, ოღონდ არა „ინტერში", არამედ „მილანში".

— ასეთ შანსს ხელიდან არ გავუშვებთ — ამბობს „მილანის" კაპიტანი პაოლო მალდინი. არაა გამორიცხული ასეც მოხდეს. კლუბი, რომელმაც მთელი სეზონი ჭკვიანურად წარმართა, ბოლო, ძალიან მნიშვნელოვან მატჩს არ წააგებს.

**როიტერი**



## თასების მფლობელთა თასი

XXXVII გათამაშება 1996-97 წლები

**ბარსელონა**

ბარსელონა, ესპანეთი

სოლომონ ქულისაშვილი

UEFA Cup Winners' Cup

## სრული ისტორია

# ბარსას რეკორდი

1997 წლის 14 მაისს როტერდამში „ბარსელონამ" მეოთხედ მოიგო თასების თასი და ტურნირის ისტორიას ყველაზე ტიტულიან გუნდად შემორჩა. მანამდე კატალონიელებს პრიზი 1979, 82 და 89 წლებში მოეგოთ, კიდევ ორჯერ, 1969 და 91 წლებში ისინი გათამაშების ფინალისტები იყვნენ. გადამწყვეტ მატჩში „ბარსას" მეტოქე წინა წლის გამარჯვებული, ფრანგული „პარი სენ ჟერმენი" გახლდათ. ასეთი რამ, როცა გამარჯვებული მეორე სეზონშიც ფინალამდე აღწევდა, თასთა თასზე ექვსჯერ მოხდა. ზედიზედ ორჯერ თასის მოპოვება კი ვერავინ შეძლო.

1996-97 წლების გათამაშებაში საქართველოს კვლავ „ბათუმი" წარმოადგენდა. საკვალიფიკაციო წრეში ფარერების „ჰაფნარის" დამარცხების შემდეგ ზღვისპირელთა მეტოქე ჰოლანდიის „ეინდჰოვენი" გახდა.

ხამი ბურთი ფარერელებს თემურ ტუღუშმა გაუტანა და დღემდე ერთადერთ ქართველ ფეხბურთელად რჩება, ქართული გუნდიდან ევროთასის მატჩში ჰეთ—ტრიქი რომ მოახერხა.

დიკ ადვოკაატის კერკეტ „ეინდჰოვენს" ტურნირის დასაწყისში ფავორიტთა ნუსხაშიც მოიხსენიებდნენ. ადვოკაატი იმასაც ამბობდა, კარგი შემადგენლობა შევკრიბეთ და არც თასზე ვიტყვით უარსო, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, ჰოლანდიელთა ამბიცია უსაფუძვლო ყოფილა. მერვედფინალში მათ ნორვეგიულმა „ბრანმა" მოუგო. ბათუმში კი, ქართველებს მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, ვინ იცის, რა მოხდებოდა. 23-ე წუთზე ამირან მუჯირმა გახსნა ანგარიში, მალევე უჯმაჯურიძეს მიეცა მეორე გოლის გატანის ჩინებული შანსი, მაგრამ ვერ შეაგდო და ამ მომენტმა განსაზღვრა კიდეც შეხვედრის შინაარსი. დაბნეული სტუმრები ნელ-ნელა დალაგდნენ და ტაიმის მიწურულს „ეინდჰოვენის" ბელგიელმა შემტევმა ლუკ ნილისმა პენალტით გაათანაბრა. ნილისისვე თერთმეტმეტრიანით დაწინაურდნენ ჰოლანდიელები საპასუხო მატჩის მე-14 წუთზე. დაწინაურდნენ და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. აიკელკამპმა და მარსელომ კიდევ ორჯერ აიძულეს ბათუმელები, ცენტრიდან დაეწყოთ.

ნორვეგიული „ბრანი", რომელმაც „ეინდჰოვენი" ტურნირს გამოთიშა, მეოთხედფინალში ინგლისურ ლივერპულს შეხვდა და მეტად უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მწვრთნელი ჩეტ ტენფიორდტი ამბობდა, ჩემი გუნდის რვა ფეხბურთელი ბავშვობიდან „ლივერპულის" ქომაგია და თამაშისთვის როგორ უნდა განვაწყო, ვერაფრით მომიფიქრებიაო. ეტყობა ვერც მოიფიქრა. ყოველ შემთხვევაში, ბერგენული მატჩის დასაწყისში მასპინძლები აშკარად დათრგუნულები ჩანდნენ. მე-9 წუთზე რობი ფაულერმა მათ ულამაზესი ბურთი გაუტანა. ნორვეგიელები მხოლოდ ამის შემდეგ მოეგნენ გონს და გაათანაბრეს კიდეც, მაგრამ ეს უფრო იმის შედეგი იყო, რომ „ლივერპულმა" საქმე მოთავებულად ჩათვალა და კინაღამ დაისაჯა. ფაულერმა საპასუხოშიც ორჯერ გაიტანა, სულ კი 7 გოლი მოუგროვდა და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

ბობი რობსონის „ბარსელონამ" კი ნახევარფინალში ურთულესი ბრძოლა გადაიტანა იტალიურ „ფიორენტინასთან". ევროპული ტელეარხები კარგა ხანს იმეორებდნენ გაბრიელ ბატისტუტას გოლსა და ჟესტს. 62-ე წუთზე არგენტინელმა ანგარიში გაათანაბრა და საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო, რითაც გადაჭედილ „კამპ ნოუს" აუდიტორიას აგრძნობინა, გაჩუმდით, თქვენი სამხიარულო აქ არაფერიაო. 1:1 „ფიორენტინას" ფინალში გასვლის კარგ შანსს აძლევდა, მაგრამ შინ იტალიელებმა ვერაფერი მოუხერხეს ჩინებულად მოთამაშე „ბარსელონას". ფერნანდო კოუტუსა და გვარდიოლას გოლებს მასპინძლებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და ტურნირს გამოეთიშნენ.

„ბარსა" — პსჟს ფინალში ოთხი ბრაზილიელი მონაწილეობდა. ლეონარდო, რაი და მწვრთნელი რიკარდო პარიზელთაგან და რონალდო კატალონიელთაგან. სწორედ რონალდოს თერთმეტმეტრიანმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

როგორც ინგლისური „უორლდ სოკერი" წერდა, „ბარსას" ფსიქოლოგიური უპირატესობა თავიდანვე ნათელი იყო. ამას პარიზელთა ერთ-ერთი მწვრთნელის, ჟოელ ბატსის ნათქვამიც ადასტურებს, „ბარსელონა" ლეგენდარული და სახელოვანი გუნდია, ჩვენ კი მხოლოდ ახლა შევდივართ ევროპის საფეხბურთო ელიტაშიო.

თუმცა, უშუალოდ ფინალის წინ ფრანგებს ერთი უპირატესობა ჰქონდათ. „ბარსელონა" მადრიდის „რეალთან" ურთულესი მატჩის შემდეგ დაღლილი იყო, თანაც როტერდამში ჩაფრენისას რაღაც გაურკვევლობის გამო აეროპორტში კარგა ხანს ალოდინეს. პარიზელებს კი ფინალის წინა დღეები თავისუფალი ჰქონდათ და მატჩისათვის უფრო საფუძვლიანად მოემზადნენ. ამიტომაც იყო, დაიწყო თუ არა თამაში პარიზელებმა შეუტიეს. მათ მანამ უნდოდათ მოწინააღმდეგის გატეხვა, სანამ იგი გონს მოვიდოდა და დალაგდებოდა. „ბარსას" მეკარე ვიტორ ბაიამ ძლივს მოიგერია ლეონარდოს დარტყმა. მაგრამ თავიდან გოლი არ გავიდა. მერე კი კატალონიელებმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინეს და შეხვედრა ლოგიკურ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

ნამატჩევს სხვებზე მეტად პსჟ-ს ლეონარდოს აკრიტიკებდნენ. ბრაზილიელს ჩინებული სეზონი ჰქონდა საფრანგეთში, მაგრამ გადამწყვეტ მატჩში შესაძლებლობის ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა.

ფრანგებისთვის კი კარგად დაწყებული სეზონი ცუდად დამთავრდა. პსჟ-მ თასთა თასი ვერ შეინარჩუნა. „იუვეს" დეშამპმა და ზიდანმა ჩემპიონთა თასის ფინალი წააგეს „დორტმუნდთან", ხოლო პსჟ-დან „ინტერში" გადასულმა ჯორკაეფმა უეფას თასი დათმო „შალკესთან".



ბათუმი — ჰაფნარი. შეტევაზე ჰეთ-ტრიკის ავტორი თემურ ტუღუში



ბათუმი — ეინდჰოვენი. მინდაძის ამ იერიშს შედეგი არ მოჰყოლია

სარბიელის არქივიდან



ბარსელონა ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან დგანან: გვარდიოლა, ლუის ენრიკე, აბელარდო, ფერნანდო კოუტუ, ბაია, პოპესკუ. სხედან: ფიგუ, ფერერი, სერხი, დე ლა პენია, რონალდო



რონალდოს გოლი, რომელმაც ბარსას მეოთხე თასების თასი მოუტანა

**წინასწარი წრე:** ბათუმი (საქართველო) — ჰაფნარი (ფარერები) 6:0 (ტუღუში 3, უჯმაჯურიძე 2, [illegible]), 3:0 (ლეონიძე 2, უჯმაჯურიძე); ოლიმპია (სლოვენია) — ლევსკი (ბულგარეთი) 1:0, 0:1 პენ. 4:3; ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ჰერთსი (შოტლანდია) 0:0, 1:1; ყარაბაღი (აგდამი, აზერბაიჯანი) — მიუპა (ფინეთი) 0:1, 1:1 დდ; კოტაიკი (სომხეთი) — აეკ (ლარნაკა, კვიპროსი) 1:0, 5:0; კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 1:0, 2:3; ვალეტა (მალტა) — გლორია (რუმინეთი) 1:2, 1:2; მპკც (ბელარუსი) — რეიკიავიკი (ისლანდია) 2:2, 0:1; შელბურნი (ირლანდია) — ბრანი (ნორვეგია) 1:3, 1:2; ლანსანტფრეიდი (უელსი) — რუხი (პოლონეთი) 1:1, 0:5; კიშპეშტ ჰონვედი (უნგრეთი) — სლოგა იუგომაგნატი (მაკედონია) 1:0, 1:0; ვარტექსი (ხორვატია) — უნიონი (ლუქსემბურგი) 2:1, 3:0; უნივერსიტატე (ლატვია) — ვადუცი (ლიხტენშტაინი) 1:1, 1:1 პენ. 2:4; გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — სპარტა (ჩეხეთი) 1:2, 0:8; სადამი (ესტონია) — ნივა (უკრაინა) 2:1, 0:1; ხუმენე (სლოვაკეთი) — ფლამურტარი (ალბანეთი) 1:0, 2:0; სიონი (შვეიცარია) — კარედა (ლიტვა) 4:2, 0:0

### პირველი წრე

ბათუმი — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1:1 (მუჯირი; ნილისი), 0:3 (ნილისი, აიკელკამპი, მარსელო); ვადუცი — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 0:4, 0:3; ნიმი (საფრანგეთი) — კიშპეშტ ჰონვედი 3:1, 2:1; შტურმი (ავსტრია) — სპარტა (ჩეხეთი) 2:2, 1:1; კონსტრუქტორული — გალათასარაი (თურქეთი) 0:1, 0:4; კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — ცრვენა ზვეზდა 1:0, 0:4; მიუპა — ლივერპული (ინგლისი) 0:1, 1:3; სიონი — ნივა 2:0, 4:0; ორჰუსი (დანია) — ოლიმპია 1:1, 0:0; სერკლ ბრიუგე (ბელგია) — ბრანი 3:2, 0:4; ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) — ვარტექსი 1:0, 1:2; რუდკობინგი — აიკ (შვედეთი) 0:1, 1:1; ბარსელონა (ესპანეთი) — აეკ 2:0, 0:0; ბენფიკა (პორტუგალია) — რუხი 5:1, 0:0; აეკ (საბერძნეთი) — ხუმენე 1:0 (ბატისტა), 2:1 ([illegible]); გლორია — ფიორენტინა (იტალია) 1:1, 0:1

### მერვედფინალი

ოლიმპია — აეკ 0:2 ([illegible]), 0:4 ([illegible]); ბარსელონა — ცრვენა ზვეზდა 3:1, 1:1; გალათასარაი — პსჟ 4:2, 0:4; ბრანი — ეინდჰოვენი 2:1, 2:2; ფიორენტინა — სპარტა 2:1, 1:1; სიონი — ლივერპული 1:2, 3:6; ნიმი — აიკ 1:3, 1:0; ბენფიკა — ლოკომოტივი 1:0, 3:2

### მეოთხედფინალი

პსჟ — აეკ 0:0, 0:3 (ლოკო 3)
ბენფიკა — ფიორენტინა 0:2 (ბაიანო, ბატისტუტა), 1:0 (ედგარი)
ბრანი — ლივერპული 1:1 (ჰასუნდი; ფაულერი), 0:3 (ფაულერი 2, კოლიმორი)
ბარსელონა — აიკ 3:1 (პოპესკუ, რონალდო, პიცი; სიმპსონი), 1:1 (სიმპსონი; რონალდო)

### ნახევარფინალი

ბარსელონა — ფიორენტინა 1:1 (ნადალი; ბატისტუტა), 2:0 (ფერნანდო კოუტუ, გვარდიოლა)
პსჟ — ლივერპული 3:0 (ლეონარდო, კოუ, ლეროა), 0:2 (ფაულერი, რაიტი)

ფინალი. როტერდამი. 14 მაისი. 50 000 მაყურებელი

**ბარსელონა 1:0 პსჟ**

1:0 რონალდო (36 პ)

ბარსელონა: ბაია, ფერერი, ფერნანდო კოუტუ, აბელარდო, სერხი, პოპესკუ (ამორი 46), გვარდიოლა, ფიგუ, დე ლა პენია (სტოიჩკოვი 84), ლუის ენრიკე (პიცი 88), რონალდო

პსჟ: ლამა, ფურნიე (ალგერინო 57), ნგოტი, ლე გუენი, დომი, ლეროა, გერენი (დელი ვალდესი 68), რაი, კოუ, ლოკო (პუჟე 77), ლეონარდო

მსაჯი: მერკი (გერმანია)

# რა ეწერა მოსეშვილის ბარათში?

**15 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 34 ტური**

**შევარდენი 67:93 სდასუ**

I ტაიმი 23:49
შევარდენი: კაზანჯიანი (7), მოისწრაფიშვილი (6), მაჭავარიანი (3), გაგნიძე (19), ლვინეფაძე (8); მესხი (13), ხობელია (5), ტაბატაძე (2), ოქრიაშვილი (4).
სდასუ: ორჯონიკიძე (4), თორთლაძე (32), აბულაძე (13), გიგაშვილი (12), ხარაძე (11); არჩვაძე (17), ქურდიანი (4)
მსაჯები: ნუგზარ ჭეიშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**15 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 34 ტური**

**ვითა 103:83 კოლხა**

I ტაიმი 50:37
ვითა: ტურაშვილი (23), უსტიაშვილი (3), ჩუბინიძე (19), კორძაძე (18), ახალკაცი (24); ნ. ვაშაკიძე (5), ბაქრაძე (2), აბრამიძე (9)
კოლხა: ბერიშვილი (19), ქარუმიძე (10), კვაჭაძე (19), კეიდია (6), უგრეხელიძე (20); არველაძე (4), თოდუა (5), ლ. ვაშაკიძე
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**15 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 34 ტური**

**ასკ 72:92 თსუ**

I ტაიმი 32:45
ასკ: ნოზაძე (15), ქართველიშვილი (15), აკოლაშვილი (8), გელაშვილი (4), ნუცუბიძე (14); მუსერიძე (7), ალავიძე (2), ჭყონია (7)
თსუ: ვეფხვაძე (11), მგალობლიშვილი (41), არსიაშვილი (12), ნონელია (5), ხელაშვილი (5); ქარჩავა, მარკოიშვილი (2), თაბუკაშვილი (1)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**15 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 34 ტური**

**მაკაბი 69:76 დინამო**

I ტაიმი 39:34
მაკაბი: დ. ბერიშვილი (17), ი. ბერიშვილი (17), ნაცვლიშვილი (5), ლასარეიშვილი (10), ფერიაშვილი (10); რიჟინაშვილი (7), ანდღულაძე (3)
დინამო: ნიკოლაძე (4), ხოშტარია (24), მაისურაძე (10), აბულაძე (10), ნინიაშვილი (9); ხეცურიანი (8), სანიკიძე (2), შანიძე (9)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ნუგზარ ჭეიშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**15 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 34 ტური**

**სტუ 81:88 აზოტი**

I ტაიმი 40:42
სტუ: მიქაძე, ჩხეიძე (17), გ. ნაცვლიშვილი (10), ცქიტიშვილი (11), ვ. ნაცვლიშვილი (23); გაგნიძე (2), ჩერქეზიშვილი (1), ოთიურიძე (7), ლოსაბერიძე (8), მინაშვილი (2)
აზოტი: ჟღენტი (23), გაბისონია (8), გოგობერიშვილი (13), ბაბიაშვილი (15), ჯაფარიძე (20); ბერუაშვილი (5), გოგოლაძე (1), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (5)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: მურმან ქურიძე

არა, სულ სხვა დრო დადგა, სულ სხვა სიო უბერავს. მგონი, ვითელთა ერთპიროვნულ ბატონობას ბოლო ელება. ბოლო ხანს ერთობ მომრავლდნენ ოქროს მაძიებელი კლუბები, თანაც ისეთნი, ქადილის ძალა რომ შესწევთ. შესწევთ და „ვითას“ ნაჩვევ ალაგსაც შეეპოტინებიან. ეგებ ვინმე შესწვდეს კიდეც... არც გამიკვირდება. ჩემპიონის მანტიით კოპწიაობის მსურველი კლუბების მესვეურთაც უნახავთ გამოსავალი — ყველაფერს კადრები წყვეტსო. ჰოდა, შუაგულ სეზონში გაჩაღებულ საქმიანობას ბოლო არ უჩანს. თუ რომელი გუნდის თავკაცობა უფრო იყოჩაღებს უცხოეთიდან განთავისუფლების ქალალდით სამშობლოს მოშურებული კალათბურთელების გადაბირების საქმეში, პლეი ოფში გამოჩნდება. აი, მაშინ გავიგებთ, რა ძალუძთ უცხოეთმოვლილ მოთამაშეებს. წერტილიც აქვე შეგვეძლო დაგვესვა, მაგრამ ქართველ სპეციალისტთაგან „ერთ გუნდად“ შეფასებული ვატო ნაცვლიშვილის სტუ-ს რიგებში გამოჩენას გვერდს ვერ ავუვლით. კაცმა რომ თქვას, თანაბარძალოვანი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ სტუდენტებს რიხი არც აქამდე აკლდათ.

„აზოტზე“ არაფერი გვითქვამს. მით უმეტეს, შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი მადას წლეულსაც არ უჩივის და ამბიციურობა კვლავაც მოჭარბებული აქვს. ერთი ეგაა, რუსთაველებმა დროულად გადმოიბირეს თსუ-დან ბაბიაშვილი, ჟღენტი, თორემ ლეგიონერებით დახუნძლული მეტოქეებთან ჭიდილში იქნებ იოლადაც დაჩაგრულიყვნენ.

ნაბიჯ-ნაბიჯ ტურის ცენტრალურ მატჩსაც მივუახლოვდით და ამით დავიწყოთ. ორივე ბანაკში მრავლად არიან სახელდაგდებული მოთამაშეები — აქეთ უმეტესად ბავშვობიდან შეზრდილ-შეთამაშებული რუსთაველები, იქითაც განგების ნებით კვლავ ერთად შეყრილი „სტუდენტობა“... მოწინააღმდეგენი დაცვაშიც და წინაც დიდ აგრესიულობას იჩენდნენ და თანაბრადაც ხეირობდნენ. თავიდან სასტარტო ხუთეულში დამკვიდრებული ნაცვლიშვილი ცოტა განსხვავებულ, ცენტრის ამპლუაში მოგვევლინა, ამიტომაც უფრო ძმისთვის, გიგისთვის და ცქიტიშვილისთვის პასების მიწოდებით იფარგლებოდა. უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ტაიმის შუაწელამდე სხვაობა ისევ თანაბარი იყო — 15:15. მწვრთნელებსაც რაღა რჩებოდათ — ტაქტიკური მონახაზის შეცვლა და სათადარიგოთა ამოქმედება. რუსთაველები კვლავაც ზონური დაცვის ერთგულნი დარჩნენ, ოღონდ შეტევის სტილი შეცვალეს, დალაგებული დინჯი თამაშის ნაცვლად სწრაფ კონტრიერიშებზე გადაერთვნენ და გაუმართლათ კიდეც. სტუ-ს თავკაცმა ოქრუაშვილმა შეცვლების განხორციელებით განიზრახა საქმის გამოკეთება. ჩანაფიქრი გამართლებული იყო, რადგანაც სტუ-ს სათადარიგო სკამზე ისეთი მობურთალნი ეგულება, ერთი სრულფასოვანი გუნდი კიდევ შეიქმნება. მაგრამ „აზოტს“ თავისი თამაში უკვე ეპოვა და მისი შეჩერება შეუძლებელი იყო. აქ ის ოთხწუთიანი მონაკვეთი დაიწყო, როცა სტუდენტებმა ქულის მოპოვებაც კი ვერ შეძლეს, რის შედეგადაც რუსთაველებმა 15-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. სტუდენტობა ძალიან ცდილობდა, მაგრამ რატომღაც არაფერი გამოსდიოდა. როგორც დაძაბულ შეხვედრებს სჩვევია, გახშირდა დაჯარიმება და სტუელებს ჯარიმების ზუსტად შესრულებით სხვაობის შემცირების შანსი მიეცათ. მათაც ივარგეს და საქმე აეწყო. ამას დაცვაში მონდომებაც დაემატა და „აზოტის“ უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა. ნაცვლიშვილმაც ჩატენვით დაასრულა შეტევა და სტუდენტებს ფრთები შეესხათ, ანგარიშის 2 ქულამდე შემცირება მოახერხეს.

მეორე ნახევარში აზოტელებმა ისევ მოიწადინეს, თუმც არ დასცალდათ. ჟღენტის სამიანმა მეტოქე გაახელა და სხვაობა კვლავ ქულამდე შემცირდა. თამაშის ეშხში შესული მოთამაშეები აღარ ფრთხილობდნენ და პერსონალურები მოუმრავლდათ. სტუ-მ ისევ შეცვლებს მიმართა და პირველი ტაიმის სცენარი განმეორდა. სტუდენტები ვეღარაფერს ახერხებდნენ, „აზოტი“ კი კვლავ შესამჩნევად დაწინაურდა 81:67. ამასობაში ოთხი წუთიღა რჩებოდა, ერთი პირობა აზოტელები მოდუნდნენ და მეტოქეს მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდა.

პერსონალურ დაცვაზე გადართულ სტუ-მ მეტოქის შეტევები ზედიზედ ჩაშალა. დასრულებამდე ორი წუთით ადრე ანგარიში გათანაბრდა — 81:81. დარჩენილ დროში რუსთაველებმა სამი უპასუხო შეტევა განახორციელებს, რამაც გამარჯვებისთვის სრულად იკმარა.

მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაზე ხელჩაქნეულმა სდასუ-მ ქვემო ლიგისთვის გამზადებული „შევარდენი“ იოლად დაიბრიყვა.

თსუ-მაც ასკ-სთან მალევე მოუმთავრა საქმე. აი, დინამოელებს „მაკაბისთან“ ცოტა გაუჭირდათ, მაგრამ საწადელს მაინც მიაღწიეს.

„ვითამ“ დიდი ჭაპანწყვეტის გარეშე სძლია სოხუმელთა გუნდს.

**აჩიკო გელაშვილი**

**16 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 35 ტური**

**მაკაბი 78:76 კოლხა**

I ტაიმი 48:36
მაკაბი: დ. ბერიშვილი (24), ი. ბერიშვილი (5), ანდღულაძე (16), ლასარეიშვილი (2), ფერიაშვილი (16); რიჟინაშვილი, ნაცვლიშვილი, მჭედლიშვილი (15)
კოლხა: ჟღენტი (1), ბ. ბერიშვილი (16), ქარუმიძე (9), კეიდია (25), უგრეხელიძე (22); თოდუა (3), კვაჭაძე
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**16 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 35 ტური**

**სდასუ 93:78 ასკ**

I ტაიმი 47:37
სდასუ: ორჯონიკიძე (6), თორთლაძე (31), აბულაძე (25), გიგაშვილი (2), ხარაძე (8); არჩვაძე (7), გიგაური (14), ქურდიანი
ასკ: ნოზაძე (18), გელაშვილი (21), ალავიძე (10), მუსერიძე (4), ნუცუბიძე (15); ჭყონია (10), ქართველიშვილი
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: ნოდარ დარახველიძე

**16 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 35 ტური**

**შევარდენი 81:96 სტუ**

I ტაიმი 26:58
შევარდენი: კაზანჯიანი (13), ა. მოისწრაფიშვილი (17), შ. გაგნიძე (21), კერძაია (6), ლვინეფაძე (7); მესხი (15), ხობელია (2)
სტუ: მიქაძე (3), დ. მოისწრაფიშვილი (14), ლოსაბერიძე (18), მინაშვილი (6), ოთიურიძე (11); ცხვედიანი (11), სუხიშვილი (8), გ. გაგნიძე (7), გ. ნაცვლიშვილი, ცქიტიშვილი (18)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: აკაკი მეგრელაძე

**16 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 35 ტური**

**თსუ 86:92 ვითა**

I ტაიმი ·
თსუ: ვეფხვაძე (5), მგალობლიშვილი (24), ნონელია (19), არსიაშვილი (21), ხელაშვილი (10); მშვილდაძე (2), მარკოიშვილი (5)
ვითა: უსტიაშვილი (17), ტურაშვილი (14), აბრამიძე (21), ჩუბინიძე (4), კორძაძე; ბაქრაძე (7), ახალკაცი (24), კოკოლიშვილი (5)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**16 მაისი, თბილისი, ვერის ბაღი — 35 ტური**

**დინამო 74:81 აზოტი**

I ტაიმი 47:34
დინამო: ხოშტარია (24), მაისურაძე (21), ვაშაკიძე (11), აბულაძე (8), ნინიაშვილი (4); ხეცურიანი, ნიკოლაძე (4), შანიძე (2)
აზოტი: ჟღენტი (25), გაბისონია (2), გოგობერიშვილი (12), ბაბიაშვილი (2), ჯაფარიძე (26); ბერუაშვილი (11), ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი (3)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

**არაფერი** განსაკუთრებული. კვირა დღის რიგით მეოთხე შეხვედრა თსუ — „ვითა“. საცაა, მატჩიც დაიწყება, იქამდე კი, როგორც წესი, მოთამაშეები ხურდებიან და საბრძოლველად ემზადებიან.

მოგვიანებით თამაში მართლაც დაიწყო, თუმცა ძალიან უცნაურად. უფრო სწორად წინასამატჩო მოვლენები განვითარდა იმდენად მოულოდნელად და უცნაურად, რომ როგორც ამ მატჩის, ასევე მომდევნო, „დინამო“-„აზოტის“ დაპირისპირების ინტრიგა გაანელა. ვერის ბაღში შეკრებილი ქომაგობაც ერთთავად ამაზე ლაპარაკობდა...

მაინც რა მოხდა ასეთი? შევეცდები, ყველაფერი დაწვრილებით მოგითხროთ. ჯერ რაც ვნახე იმას გიამბობთ, შემდეგ კი ვარაუდებზე და ყურმოკრულ ამბებზეც მოგახსენებთ.

მაშ ასე: მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დარბაზში ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი, ლევან მოსეშვილი შემოვიდა. მსაჯთა მაგიდასთან ერთხანს ფედერაციის გენერალურ მდივან აკაკი მეგრელაძეს ემუსაიფა, რის შემდეგაც მას პატარა ბარათი გადასცა. როგორც შემდეგ გაირკვა, სწორედ ეს ბარათი შეიქნა უსიამოვნების მიზეზი.

სულ მალე მეგრელაძე სათადარიგო სკამზე მჯდომ „ვითას“ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძესთან მივიდა და ყველასთვის უცნობი შინაარსის (ცხადია, ზემოთ ნახსენები პირების გარდა) ეს ბარათი, რამდენიმე წამში ახლა მის ხელთ ალმოჩნდა. ტომარაძემ უკლებლივ ყველა თავის კალათბურთელს უხმო, ერთად შეკრიბა და წერილი მათი თანდასწრებით წაიკითხა. ჰოდა, დაიწყო...

ტომარაძე აღელდა, უფრო მეტიც, აბობოქრდა და რომ არა თავისი შეგირდები, ვინ იცის, რა მოხდებოდა. კალათბურთელები აკავებდნენ განრისხებულ მწვრთნელს, რომელიც ჯიქურ მიიწევდა გამბრაზებელზე და გვარიანად ლანძღავდა. შემდეგ რომ ველარაფერი გააწყო, რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად იქაურობას გაეცალა. ...მოსეშვილი კი მშვიდად, აუღელვებლად იჯდა. ისე, ხმისამოუღებლად.

გულშემატკივარიც აღელდა, თუმცა ეს განუზომელი ინტერესის, ცნობისმოყვარეობის მღელვარება იყო. ხალხი ალაპარაკდა, ვარაუდებს მიეძალა, ტყუილი თუ მართალი სულ ერთმანეთში აიზილა, მაგრამ მომხდარზე საერთო აზრის შექმნა საძნელო საქმე სულაც არ ყოფილა. ყველფერი იქითკენ წავიდა და კომპეტენტურ პირთაგანაც ისეთმა ხმებმა გამოაღწია, რომ იმ წყეულ ბარათში თსუ-„ვითა“ წინდაწინვე გარიგებულ შეხვედრად იყო მოხსენიებული და რომ პლეი ოფის საგზურგანაღდებული „ვითა“ იქ მოსახვედრად მებრძოლ თსუ-ს „დინამოს“ საწინააღმდეგოდ „დაუწვებოდა“.

ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით ამ საქმის მცოდნეს და ერთ-ერთ მონაწილეს, გენერალურ მდივან აკაკი მეგრელაძეს დავეკითხე. მან კი განაცხადა: „ფედერაციას „დინამომ“ წერილით მოგვმართა. გავეცანი მის შინაარსს და საკუთარი ინიციატივით, ისე, რომ ჩემთვის არავის დაუვალებია, იგი ტომარაძეს გადავეცი, რადგან საჭიროდ ჩავთვალე. იქ რაც ეწერა, ეს მე ვიცი“.

შემეძლო აქვე დამემთავრებინა, მაგრამ ფაქტი იმდენად შემაშფოთებელია, რომ „სარბიელი“ გვერდს ვერ აუვლის. მით უფრო, რომ სეზონის ბოლოს გულშემატკივრებშიც ძალიან გახშირდა ქულათა აღება-მიცემაზე მსჯელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ყველაფრის უკან ზოგი ნაკრების მწვრთნელ ლევან მოსეშვილს და მის დიდ ავტორიტეტს მოიაზრებს. ღმერთმა უწყის, ყოველივე რამდენად შეეფერება სიმართლეს, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, ეროვნული გუნდის მწვრთნელი პარალელურად „დინამოშიც“ რომ არ საქმიანობდეს, მსგავს ინტრიგებს თავიდან აიცილებდა.

ძნელი სათქმელია, წინასწარ ატეხილმა ხმაურმა რა გავლენა მოახდინა ამ შეხვედრაში მონაწილე გუნდებზე და მოთამაშეებზე, თუმცა ფაქტია, რომ მატჩი ისეთივე სცენარით წარიმართა, როგორსაც ვვარაუდობდი. მართალია, ემოციებისგან დაცლილმა მაყურებელმა საკმაოდ დუნე და არცთუ თვალსასეირო თამაში იხილა,მაგრამ ექვსგზის ჩემპიონ „ვითას“ უპირატესობა მაინც აშკარა იყო ბოლომდე. თსუ გამარჯვების სურვილით კი იწვოდა, მაგრამ ტრავმირებული ქარაბაკისა და დიმიტრიადის გარეშე მობურთალნი საკუთარ თავს და „ვითას“ ეგრემც ვერ გადაახტნენ.

თითქმის თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ „ვითამ“ მეორე ნახევარში ტემპს უმატა და უკანახაზელთა სიზუსტის წყალობით კარგი ფორა შეიქმნა 69:56. უსტიაშვილს, აბრამიძესა და ტურაშვილს მეტოქეები ძნელად თუ ეწინააღმდეგებოდნენ, ფარზეც გულივერ ახალკაცი გაბატონდა. მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე სხვაობა 10 ქულა იყო ვითელთა სასარგებლოდ, თუმცა თსუ-მ კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, შეეძლო კიდეც შეხვედრის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ საამისოდ მგალობლიშვილს სამიანი არ უნდა გაეცუდებინა 5 წამით ადრე.

„აზოტმა“ საბრძოლო შემადგენლობა დაუპირისპირა „დინამოს“, თუმცა თავიდან მოთამაშეთა განწყობას საბრძოლო ნამდვილად არ ეთქმოდა. ამაში მთავარი დამნაშავე, თავად დინამოელები იყვნენ, რადგან გონივრული თამაშით და სწრაფი ქმედებით ვიცე-ჩემპიონებს არაფრის გაკეთების საშუალებას არ აძლევდნენ.

„დინამოს“ თითქმის ყველა შეტევა მათთვის სასურველად მთავრდებოდა. რუსთაველთა საპასუხო იერიშები კი იშვიათად აღწევდა მიზანს. ამიტომაც იყო,რომ თბილისელები მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ლიდერობდნენ, ერთხანს სხვაობამ 18 ქულასაც უწია 42:24, მაგრამ ამის შემდეგ „აზოტი“ გამოცოცხლდა, ტაიმის ბოლოს დაწყებული საქმე მეორე ნახევარში მეტი გულისყურით განაგრძეს რუსთაველებმა და ჟღენტის, გოგობერიშვილისა და ჯაფარიძის კარგმა თამაშმა ნაყოფიც გამოიღო. შეხვედრის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე აჩიკო ჟღენტმა ზედიზედ 7 ქულა მიითვალა და თავისიანები პირველად გაიყვანა წინ 64:62. ამან „დინამო“ დააფრთხო, გუნდი არია და ხოშტარიას და მაისურაძეს მცდელობის მიუხედავად, წაგება ველარ აიცილა.

„მაკაბი“ — „კოლხას“ შეხვედრაში გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებზელა გადაწყდა. დავით ბერიშვილმა და მალხაზ ანდღულაძემ იყოჩაღეს და 2 ქულაც შედარებით გამოცდილ გუნდს დარჩა.

ოთხეულს მიღმა დარჩენილმა სდასუ-მ იოლად სძლია ბოლოადგილოსან ასკ-ს. თორთლაძე და კომპანია ერთი თავით აღემატებოდა მეტოქეს.

არც სტუ-„შევარდენის“ მატჩი გამოდგა საინტერესო. სტუ-ს მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა არც ვატო ნაცვლიშვილი დაასაქმა და არც რეზო ჩხეიძე, თუმცა არც დასჭირვებია.

**გიორგი ბიჭაშვილი**

**35 ტური**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 34 | 33 | 1 | 3071:2501 | 67 |
| ვითა(-1) | 35 | 28 | 7 | 2646:2300 | 62 |
| დინამო | 35 | 22 | 13 | 2780:2626 | 57 |
| სტუ | 33 | 23 | 10 | 2735:2586 | 56 |
| თსუ | 32 | 19 | 13 | 2691:2519 | 51 |
| სდასუ | 32 | 17 | 15 | 2425:2423 | 49 |
| მაკაბი | 34 | 11 | 23 | 2502:2693 | 45 |
| კოლხა | 33 | 7 | 26 | 2490:2893 | 40 |
| შევარდენი | 35 | 5 | 30 | 2510:3007 | 40 |
| ასკ | 35 | 4 | 31 | 1959:2261 | 39 |

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ბარკლის ოცნება დაიმარხა

## აღმოსავლეთი

### მაიამი — ნიუ იორკი 2:3

14 მაისი

**ნიუ იორკი 72:87 მაიამი**

ნიუ იორკი: ვორდი (12), ჰიუსტონი (12), ტომასი (6), ჯონსონი (11 ქულა, 12 მოხსნა), იუინგი (11); სპრიუელი (10), კემბი (4), ჩაილდსი (4), ბრანსონი (2), ვილიამსი

მაიამი: ჰარდევეი (14), მარლი (9), მაშბურნი (2), ბრაუნი (6), მურნინგი (16 ქულა, 19 მოხსნა); პორტერი (16), ვეზერსპუნი (14), ლენარდი (10), კოზველი, ესკინსი, ვოლტერსი

16 მაისი

**მაიამი 77:78 იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (9), მარლი (3), მაშბურნი (16), ბრაუნი (16 ქულა, 12 მოხსნა), მურნინგი (21); პორტერი (7), ლენარდი (3), ვეზერსპუნი (2), კოზველი, ესკინსი

ნიუ იორკი: ვორდი (4), ჰიუსტონი (12), ტომასი (2), ჯონსონი (13), იუინგი (22 ქულა, 11 მოხსნა); სპრიუელი (14), ჩაილდსი (7), კემბი (4), ბრანსონი

სერიის ბოლო, მეხუთე და გადამწყვეტი მატჩის დამთავრებამდე სულ რაღაც 4,5 წამი რჩებოდა, როცა ნიუიორკელმა ალან ჰიუსტონმა ბურთი კალათის მიმართულებით ისროლა. იგი კალათის რგოლზე დაეშვა და რამდენიმე წამი მის კიდეებზე იხტუნა და სერიის დამთავრებამდე სულ რაღაც 0,8 წამით ადრე რგოლში ჩაძვრა. ანგარიში 78:77 გახდა ნიუ იორკის სასარგებლოდ. მან ამ მოგებით მაიამი უკვე ზედიზედ მეორედ გამოაპანღურა პლეი ოფის პირველი წრიდან და ორჯერვე მაშინ, როცა მოედნის უპირატესობას მაიამი ფლობდა. ამ სერიის გარდა ასოციაციის 53-წლიან ისტორიას მხოლოდ ერთხელ ახსოვს, რომ პირველ ნომრად განთესილ გუნდს ბოლო, მერვე ნომრად განთესილი მორეოდეს. ეს „დენვერ ნაგითსმა" შეძლო 1994 წელს, როცა სიეტლთან 0:2 აგებდა და მერე სამი თამაში ზედიზედ მოუგო. სერიის ბოლო თამაშამდე მაიამიმ მეორედ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მეხუთე შეხვედრაში ბედმა გამარჯვება ნიუ იორკს არგუნა.

### ორლანდო — ფილადელფია 1:3

15 მაისი

**ფილადელფია 101:91 ორლანდო**

ფილადელფია: სნოუ (20), აივერსონი (37), ლინჩი (8 ქულა, 10 მოხსნა), რეთლიფი (5), გეიგერი (6); ჰუგსი (14), ჰილი (9), გრანტი (2), ჰონიკატი

ორლანდო: არმსტრონგი (14), ჰარდევეი (17), ანდერსონი (29), გრანტი (12), ოსტინი (8); ჰარპრინგი (9), ოუთლო (2), დოლიკი (2)

წარმატებული გამოდგა ფილადელფიას მობრუნება და მისი ლიდერის, ალენ აივერსონის დებიუტი პლეი ოფში. ლიგის უპირველესმა მექულე აივერსონმა პირადად გადაწყვიტა ყველაფერი. ორლანდომ ერთხელ შეძლო მისი გაჩერება: მეორე თამაშში, 13 ქულას დააჯერა და მხოლოდ მაშინ მოახერხა გამარჯვება. სხვა შემთხვევებში აივერსონს 30-ზე ნაკლები არ გაუკეთებია. ბოლო, მეოთხე მატჩში კი 37 ქულით ჰიუსტონელი პიპენის წლევანდელი მიღწევა გაიმეორა. ფილადელფია იოლად გავიდა შემდეგ წრეში, სადაც ინდიანას დაეჯახა. შეგახსენებთ, რომ ლარი ბერდის გუნდმა, ინდიანამ პლეი ოფის პირველი წრის საქმე უმცირეს დროში მოამთავრა — სამ მატჩში სძლია „მილუოკი ბაქსს".

### ატლანტა — დეტროიტი 3:2

14 მაისი

**დეტროიტი 103:82 ატლანტა**

დეტროიტი: დუმარსი (20), ჰანტერი (7), ჰილი (23 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ვილიამსი (6), დელი (7); სტეკჰაუზი (13), ლეიტნერი (8), მონტროსი (4), ბიუჰლერი (3), ობენონი (2), ვოიტი, რიდი

ატლანტა: ბლეილოკი (7), სმიტი (21), კორბინი (7), ლონგი (13), მუტომბო (8); გრეი (13), მაკლეოდი (8), ჯონსონი (5), ვესტი, შეპარდი

16 მაისი

**ატლანტა 87:75 დეტროიტი**

ატლანტა: ბლეილოკი (17), სმიტი (15), კორბინი (15), ლონგი (26 ქულა, 11 მოხსნა), მუტომბო (12 ქულა, 18 მოხსნა); ჯონსონი (2), ვესტი

დეტროიტი: დუმარსი (3), ჰანტერი (7), ჰილი (21 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), ვილიამსი (4), დელი (17); სტეკჰაუზი (11), ლეიტნერი (8), რიდი (4), ბიუჰლერი, მონტროსი, ობენონი

ეს იყო დაახლოებით ორი ერთნაირი დონის გუნდებს შორის სერია, რომლის ხუთივე მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა. ვინაიდან მოედნის უპირატესობა ატლანტას ჰქონდა და შინ მეტი შეხვედრა უწევდა, საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა. პლეი ოფის დაწყებამდე დაშავდა ატლანტის ძირითადი თავდამსხმელი ალან ჰენდერსონი, მაგრამ გრანტ ლონგმა მშვენივრად შეცვალა იგი და გრანტ ჰილის გუნდს მოულოდნელი, მეტად არასასიამოვნო სიურპრიზად მოევლინა. ამ სერიის დამთავრებამდე ლიგაში გატარებული 14 სეზონის შემდეგ აქტიურ კალათბურთს გამოეთხოვა ღვაწლმოსილი დეტროიტელი ჯო დუმარსი.

## დასავლეთი

### სან ანტონიო — მინესოტა 3:1

15 მაისი

**მინესოტა 85:92 სან ანტონიო**

მინესოტა: ბრენდონი (27 ქულა, 9 მოხსნა, 6 პასი), პილერი (4), სმიტი (12), გარნეტი (20 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), გარეტი (2); მიჩელი (8), სილი (6), ნესტეროვიჩი (4), ჯეკსონი (2), ჰამონდსი, რობინსონი

სან ანტონიო: ჯონსონი (17), ელი (6), ელიოტი (14), დანკანი (16), რობინსონი (19 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება); ჯეკსონი (10), დანიელსი (4), როუზი (4), კერსი (2), პერდიუ, კინგი

გაუჭირდა სან ანტონიოს მინესოტასთან, უფრო კი ტიმ დანკანს, რომელმაც შეიძლება სეზონის უძვირფასესის მოთამაშის ტიტული მიიღოს. მინესოტას ლიდერმა კევინ გარნეტმა აშკარად აჯობა დანკანს, თუმცა ეს უკანასკნელი მთლად თავისმოჭრას მაინც გადარჩა, ქულებს ასე თუ ისე აგროვებდა. სამაგიეროდ, დევიდ რობინსონი ფაქტობრივად უცენტროდ დარჩენილ მინესოტასთან ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. საბოლოოდ სან ანტონიოს სამის მაგივრად ოთხი თამაში დასჭირდა პირველი, მისთვის ლამის ფორმალური ეტაპის დასაძლევად.

### იუტა — საკრამენტო 3:2

14 მაისი

**საკრამენტო 89:90 იუტა**

საკრამენტო: ვილიამსი (7), აბდულ-ვაჰადი (16), ვილიამსონი (12), ვებერი (18 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (14 ქულა, 14 მოხსნა); მაქსველი (13), ბერი (7), სტოიაკოვიჩი (2), პოლარდი, ფანდერბურკი

იუტა: სტოქტონი (12), ჰორნაჩეკი (9), რასელი (8), მელოუნი (23 ქულა, 16 მოხსნა), ოსტერტაგი (4); ანდერსონი (16), ეისლი (8), ბეილი (4), ფოსტერი (2), ფალერი (2), კიფი (2)

16 მაისი

**იუტა 99:92 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 88:88)

იუტა: სტოქტონი (12 ქულა, 14 მოხსნა), ჰორნაჩეკი (18), რასელი (16), მელოუნი (20 ქულა, 12 მოხსნა), ოსტერტაგი (4); ანდერსონი (16), ფოსტერი (6), ბეილი (4), ეისლი (4), ფალერი (3), კიფი

საკრამენტო: ვილიამსონი (2), აბდულ-ვაჰადი (11), ვილიამსი (8), ვებერი (12 ქულა, 14 მოხსნა), დივაცი (15 ქულა, 10 მოხსნა); მაქსველი (22), ბერი (10, ბერი (14), სტოიაკოვიჩი (8), ჰოკინსი, პოლარდი

ეს სერია ყველაზე დაძაბული გამოდგა პირველი წრის რვა სერიათაგან და წინასწარვე უპირობოდ ფავორიტად მიჩნეულმა იუტამ მოიგო. თუმცა ბოლო ორი წლის ლიგის ფინალისტს



REUTERS ატლანტიდან

ატლანტა — დეტროიტი. ფარქვეშ ორი გრანტია: დეტროიტელი ჰილი (№33) თავზე დაახტა ატლანტელ ლონგს

პლეი ოფში თავის ისტორიაში სულ მეორედ მოთამაშე საკრამენტომ სიქა გააძრო და არამარტო ამ სერიაში. სულ სეზონში ეს გუნდები რვაჯერ წარუდგნენ ერთმანეთს და ამ რვა შეხვედრიდან ხუთში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დრო გახდა საჭირო. ოვერტაიმებში საკრამენტომ უფრო იმარჯვა, მაგრამ ბოლო დამატებითში, რომელიც სერიის მეხუთე და გადამწყვეტ მატჩს ასრულებდა, ბედმა უმტყუნა და პლეი ოფსაც დაემშვიდობა. თუმცა, საკრამენტომ თავაწეულმა დატოვა იუტას ქალაქი სოლტ ლეიკ სიტი, სადაც მასზე ძლიერ გუნდებს დიდი სირცხვილი უჭამიათ.

### ლეიკერსი — ჰიუსტონი 3:1

15 მაისი

**ჰიუსტონი 88:98 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: მობლი (4), დიკერსონი (6), პიპენი (19 ქულა, 17 მოხსნა), ბარკლი (20), ოლაჯუონი (18 ქულა, 10 მოხსნა); მეკი (11), პრაისი (5), ჰარინგტონი (3), კარი (2)

ლეიკერსი: ფიშერი (2), ბრაიანტი (24 ქულა, 8 პასი, 6 მოხსნა), ფოქსი (9), რიდი, ონილი (37 ქულა, 11 მოხსნა); ჰარპერი (13), ჰორი (12), ნაითი (1), ლუ, რუქსი

ეს იყო ორი დასავლური გრანდის ჭიდილი, რომელშიც მოიგო იმან, რომელიც უფრო იმსახურებდა. გაუჭირდა ჰიუსტონს, გაუჭირდა ბებერ ოლაჯუონს დევკაც ონილთან ჯაჯგური, ვერაფერი შეძლეს ახალბედებმა — დიკერსონმა და მობლიმ კობი ბრაიანტის ლეიკერსულ უკანა ხაზთან, ვერ ითამაშა სკოტი პიპენმა თავისი თამაში ყველა მატჩში, მხოლოდ ჩარლზ ბარკლი იდგა ლეიკერსთან ოთხივე თამაშში მყარად, ლამის ინვალიდი ჩარლზ ბარკლი. მისი ოცნება, თავის მეთხუთმეტე სეზონში მაინც გაჩემპიონებულიყო, ვერ ახდა. და, ალბათ, ვერც მერე ახდება.

**ირაკლი ფირაშვილი**

**მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)**

აღმოსავლეთი

ატლანტა — ნიუ იორკი

ინდიანა — ფილადელფია

დასავლეთი

სან ანტონიო — ლეიკერსი

პორტლენდი — იუტა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თასების თასი. ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | ლაციო — მალიორკა (1,35 — 2,5) | 1,7 | 3,1 | 4,4 |

**ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. პლეი ოფი. საპასუხო მატჩები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | იფსვიჩი — ბოლტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 20.05 | ბირმინგემი — უოტფორდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ავსტრიის თასის ფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.05 | შტურმი — ლინცერი | 1,6 | 3,3 | 4,7 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი. თასის ნახევარფინალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.05 | სერვეტი — ლოზანა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | რედ სტარი — გრასჰოპერი | 9,0 | 5,0 | 1,2 |

**შვედეთის ჩემპიონატი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.05 | ჰამარბი — მალმიო | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**შვედეთის თასის ფინალი. საპასუხო მატჩი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.05 | გიოტებორგი — აიკ | 2,1 | 2,9 | 3,2 |

**ამხანაგური მატჩები**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.05 | რუსეთი — ბელარუსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ნორვეგია — იამაიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | სლოვაკეთი — ბულგარეთი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ჰოკეი. NHL**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.05 | დეტროიტი — კოლორადო | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ბუფალო — ბოსტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |

**კალათბურთი. NBA**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.05 | ატლანტა — ნიუ იორკი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | იუტა — პორტლენდი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 19.05 | ინდიანა — ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | სან ანტონიო — ლეიკერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

„აიეტი TV"-ის საკონტაქტო ნომრებია

910 ან 910 111

თუ ადრე გიჭირდათ აიეტთან დაკავშირება,
ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია
აკრიფეთ 910 ან 910 111
დღე-ღამის ნებისმიერ
დროს და მოგემსახურებით

ხელბურთი

# ნუ გვანერვიულებთ!

**საქართველო — პორტუგალია**

**21:20 (10:8)**

**საქართველო:** ერაძე, ბუთიკაშვილი, ქობელაშვილი (1), ყიფიანი, კეკელიძე (3), მეიფარიანი, დათუკაშვილი (6), კალანდაძე (3), გელაშვილი (1), ბოყოჩაძე (4), ორჯონიკიძე, თურქია (3)
**პორტუგალია:** პ. მორგადო, ს. მორგადო, გალამბასი (1), რესენდე (6), კრუზი (2), მატოსი, კაელო (5), ენდორინო (4), ბოლოშკინი, ალმეიდა (1), ჩიკოლაევი (1)
**მსაჯები:** ნეჩაი, ასკეროვი (აზერბაიჯანი)

მატჩი ქართველი ხელბურთელების უპირატესობით დაიწყო. მათ სწრაფი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს, თუმცა პორტუგალიელები მალე მოეგნენ გონს, სტუმრები ცდილობდნენ, რაც შეიძლება დიდხანს გაეთამაშებინათ ბურთი. მათმა ტაქტიკამ გაამართლა და ტაიმის შუაგულში სამბურთიანი სხვაობით დაწინაურდნენ — 7:4, თუმცა ამ დროს დაიწყო ხუთწუთიანი მონაკვეთი, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ქართველები, დაცვაში უფრო მჭიდროდ ათამაშდნენ, შეტევაში დათუკაშვილმა და კეკელიძემ ითამაშეს კარგად და საქართველოს ნაკრები 9:7 დაწინაურდა. ამის შემდეგ პორტუგალიელებმა ანგარიშის გათანაბრებაც ველარ მოახერხეს. ამ დროს განსაკუთრებით ივაჟკაცა ჩვენების მეკარე როლანდ ერაძემ, რომელმაც რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. ტაიმის ბოლო არც ისე შედეგიანი გამოდგა, ბოლო შვიდ წუთში გუნდებმა მხოლოდ თითო გოლი გაიტანეს და პირველი ნახევარიც 10:8 დასრულდა ჩვენების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრებმა ძალიან კარგად დაიწყო და ეს ანგარიშზეც აისახა. კალანდაძის, ბოყოჩაძისა და თურქიას ზუსტ ტყორცნებს პორტუგალიელებმა შავკანიანი კრუზის ერთადერთი გოლით უპასუხეს და მატჩის დასრულებამდე 25 წუთით ადრე ანგარიში 13:9 გახდა. აქვე ერთი აღსანიშნავი ფაქტიც მოხდა. პორტუგალიელთა მთავარმა მწვრთნელმა ენრიკო კარდოზომ საჯაროდ გამოხატა მსაჯობით უკმაყოფილება, რისთვისაც მატჩის არბიტრმა ასკეროვმა წითელი ბარათი უჩვენა და ტრიბუნაზე მიაბრძანა. ამან პორტუგალიელები კიდევ უფრო გააცხარა. ისინი აზერბაიჯანელი მსაჯების თითქმის ყველა გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ. აღელვებული სტუმრები დაცვაშიც სცოდავდნენ და თავდასხმაშიც, რითაც კარგად ისარგებლეს ქართველებმა და მატჩის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე 19:12 დაწინაურდნენ. პორტუგალიელებმა რომ შეატყვეს, საქმე ცუდად მისდიოდათ, ტაიმ-აუტი მოითხოვეს, თან მეკარე პაულო მორგადო მოგვარე სერჟიოთი შეცვალეს. ამან შედეგი გამოიღო — მასპინძლებმაც საქმე მოთავებულად ჩათვალეს და მოეშვნენ. პორტუგალიელებმა კი პირიქით, ძალ-ღონე მოიკრიბეს და უპირატესობაც მოიპოვეს.

პორტუგალიელები განსაკუთრებით დაცვაში გაისარჯნენ კარგად. ქართველები ძირითადად ცენტრიდან უტევდნენ, რასაც მეტოქის მწვრთნელები გვიან მიხვდნენ. სტუმრებმა დაცვისას ცენტრზე გაამახვილეს ყურადღება. ჩვენებსაც გაუჭირდათ მეტოქის ბარიერის გადალახვა. ქართველები იძულებულნი გახდნენ, ფლანგებიდან შეეტიათ, მაგრამ უშედეგოდ. დაცვაში დამაჯერებელმა თამაშმა პორტუგალიელები გაათამამა, ისინი შეტევაშიც უკეთ გამოიყურებოდნენ. ჩვენები მეტოქეს წესის დარღვევით აჩერებდნენ, რასაც ხშირად უხეშობა და ხელბურთელებს შორის შელაპარაკება მოჰყვებოდა, მათი დაშოშმინება კი მწვრთნელებსა და კომისარს უხდებოდათ. ამასობაში პორტუგალიელები ანგარიშში სხვაობას ამცირებდნენ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ ერაძე ბუთიკაშვილით შეცვალა, მაგრამ შედეგი არც ამან გამოიღო. თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე საქართველო 20:17-ს იგებდა, მაგრამ მოედანზე ორი კაცით ნაკლები ჰყავდა. მსაჯმა ორი წუთით ჯერ კალანდაძე გააძევა, შემდეგ — ბოყოჩაძე. სტუმრებმა რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს და ანგარიშში სხვაობა 20:18 შეამცირეს. ბედად, იქვე კრუზმა იუხეშა და ასკეროვმა დროებით ისიც სკამზე დასვა. ქართველთა შეტევები კვლავ უშედეგო იყო, თუმცა ვერც სტუმრებს გაჰქონდათ ბურთი. თამაშის დასრულებამდე 2 წუთითა და 45 წამით ადრე გიორგი ქობელაშვილმა უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. მახვილი კუთხიდან მეკარეს ნახტომში ლამაზად შემოატარა ბურთი და ანგარიში 21:18 გახდა, თუმცა იქვე გაპორტუგალიელებულმა რუსმა ვიქტორ ჩიკულაევმაც გაიტანა — 21:19. 35 წამით ადრე კი რესენდემ ერთიც შეაგდო და ანგარიში 21:20 გახდა. დარჩენილ დროში ქართველებმა ბურთი ბოლომდე შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს კიდეც, თუმცა სპორტის სასახლეში მისული 1500-მდე ქომაგი გვარიანად კი ანერვიულეს.

**ბაჩა ხურციძე**

რაგბი

**საქართველოს ჩემპიონატი. მეოთხე ტური**

თბილისი.
ვარკეთილი. 15 მაისი

**ლოკომოტივი 2 — ასკ**

**0:22 (0:12)**

ლოკომოტივი 2: გიუნაშვილი, აფაქიძე, ჭელიძე, ჟღენტი, მამიაშვილი, უდესიანი (გობიაშვილი), ცხომელიძე, სუჯაშვილი, კოტრიკაძე (ბერიძე), ხუნწარია, ცხადაია (ჩაჩუა), პაკელიანი, გუგავა (ყაჯრიშვილი), სუთიაშვილი, მხეიძე
ასკ: ლიქოკელი, მაისურაძე, ქავთარაძე (შენგელია), მათიაშვილი, უჩავა, ექიზაშვილი, გაფრინდაშვილი, მინაშვილი, აბუსერიძე, კიკნაძე, მაღრაძე, საკანდელიძე, კოდუა, ანთაძე, სულთანიშვილი (იაშვილი)
3ლ — უჩავა, აბუსერიძე, საკანდელიძე; 2გ — აბუსერიძე, კიკნაძე; 1ს — კიკნაძე
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

თბილისი. ვარკეთილი. 15 მაისი

**ლოკომოტივი 1 — ყოჩები**

**21:18 (8:6)**

ლოკომოტივი 1: აბრამიშვილი, კვანტალიანი (თოფურიძე), მაჭუტაძე, ღიბრაძე, ცხომელიძე (გიუნაშვილი), ა. კობახიძე, ჩადუნელი, კახიანი, სარიშვილი, კვინიხიძე, ბუგიანიშვილი, აბდღულაძე, ალანია, ასათიანი, იოვაძე
2ლ — ცხომელიძე, თოფურიძე; 1გ და 3ს — კვინიხიძე

ყოჩები: ფირიაშვილი (კიკუაშვილი), ჭავჭავაძე, ახვლედიანი (ესაკია), ხურცილავა (ურუშაძე), სულთანიშვილი, ჭელიძე, სოფრომაძე, ტყეშელაშვილი (კ. კობახიძე), ხელაძე, ლიპარტელიანი, მხეიძე, საკანდელიძე, ხამაშურიძე, პეტრიაშვილი, ხეხელაშვილი
2ლ — ხამაშურიძე; 1გ — კ. კობახიძე; 2ს — ტყეშელაშვილი
მსაჯი: რ. სანებლიძე
მეთვალყურე: გ. კუბლაშვილი

თბილისი. ვარკეთილი. 16 მაისი

**ზორდა — თსუ**

**19:12 (7:6)**

ზორდა: შველიძე, ჭელიძე, მაგრაქველიძე (ბერიაშვილი), ბურდული, ხოჭოლავა (ჩაკვეტაძე), დიდებულიძე, ზედგენიძე, სორდია (ხაბეიშვილი), ხუციშვილი, ჯანელიძე, მაისურაძე, მათიაშვილი, ხვიჩია (პარასკევაშვილი), აბაშიძე, გომარელი.
3ლ — მაისურაძე, ხოჭოლავა, სორდია; 2გ — აბაშიძე
უნივერსიტეტი: კობიაშვილი, რაცანიძე, წიკლაური, ბიძინაშვილი (ელოშვილი), ქირიკაშვილი, ჯალაღონია (ალიბეგაშვილი), ჩქარეული (ავსაჯანიშვილი), მჭედლიძე, ჭუმბურიძე, კიზირია, ბარამიძე, ბოლქვაშვილი (სვანიძე), ჯაში, ჯავრიშვილი, ახობაძე (თავაძე)
4ს — ჯავრიშვილი (4)
მსაჯი: ლ. მგელაძე
მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

ბათუმი. 16 მაისი

**[illegible] — აია**

**50:3 (19:0)**

დათვები: აშვეთია, გურეშიძე, ფირცხალავა, თედორაძე (გიორგაძე), რეხვიაშვილი, გოგისვანიძე, სვანიძე, აბდალაძე, გაბელაია, ნ. ძაგნიძე (დოლიძე), დავლაძე, ძოწენიძე, ჯანაშია, მაჩიტიძე, ჩუბინიძე
8ლ — ძოწენიძე (2), მაჩიტიძე, რეხვიაშვილი, აბდალაძე, ფირცხალავა, გოგისვანიძე, დოლიძე; 5გ — ნ. ძაგნიძე (2), მაჩიტიძე (3).
აია: ბუხაიძე, ბალანჩივაძე, ბაბუნაშვილი (კებულაძე), კოსტავა, კერულაძე, კიკვიძე, ცნობილაძე (კუხიანიძე), წიწილაშვილი, ჩუბინაძე, გაბრიჩიძე, ჩხაბერიძე, ჩორგოლაშვილი, აშვეთია, შვანგირაძე, ტუკვაძე
1ს — აშვეთია
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

RUGBY 12

**ზე-12**
**მეთორმეტე ტური**

| | |
|---|---|
| ველინგტონი — დანიდინი | 21:19 |
| სიდნეი — კრაისტჩერჩი | 22:38 |
| კეიპტაუნი — იოჰანესბურგი | 16:18 |
| ჰამილტონი — პრეტორია | 39:31 |
| ბრისბენი — დურბანი | 34:13 |
| კანბერა — ოკლენდი | 22:16 |

ველორბოლა

# ჯიროს იტალიური დებიუტი

82-ე „ჯიროს" დებიუტი იტალიური გამოდგა — შაბათის რბოლა ივან კვარანტამ მოიგო, კვირისა კი მისმა მრავანაცადმა და გამობრძმედილმა თვისტომმა მარიო ჩიპოლინიმ.

ორივე მრბოლმა ეტაპების ბედი უსწრაფესი ფინიშისწინა სპურტებით გადაწყვიტა, ამასთან, უკანასკნელ მეტრებზე ორივეს ჰოლანდიელი იერონ ბლიილევენსის ხისტი წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ.

25 წლის კვარანტას ასეთ გაკადნიერებას არავინ ელოდა, მაგრამ თავისი საველორბოლო კარიერა ივანს 1992 წელს სპრინტში იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვებით დაუწყია და, რა-რა, საჭირო დროს პედლების აჩქარებით დატრიალება კი ნაღდად ეხერხება. მაშინაც, როცა წვივებზე აგრიჯენტოდან მოდიკამდე გასავლელი 175 კმ ჰკიდია.

მაგრამ „ჯიროს" ვარდისფერმაისურიანი ლიდერის რანგში ყოფნა მას ზუსტად ერთი დღე დასცალდა — მარდმა ჩიპოლინიმ ნოტო-კატანიის 133 კმ ყველაზე სწრაფად განვლო და „ჯიროს" ეტაპთა მისეული მონაგარი 26-მდე გაზარდა. საერთოდ კი, თავის თერთმეტწლიან პროფესიულ კარიერაში ეს მისი 135-ე გამარჯვება იყო, ხოლო ამ სეზონში — უკვე მეექვსე.

აქვე პირველი ორი ეტაპის საუკეთესო ხუთეულებსაც გაგაცნობთ:

**პირველი ეტაპი**

აგრიჯენტო — მოდიკა (175 კმ)

1 ივან კვარანტა (იტალია, მობილვეტა) — 4სთ 38წთ 51წმ
2 იერონ ბლიილემენსი (ჰოლანდია, TVM)
3 მარიო ჩიპოლინი (იტალია, საეკო)
4 გვიდო ტრენტი (აშშ, კანტინა ტოლო)
5 რომანს ვაინშტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) — იგივე დრო

**მეორე ეტაპი**

ნოტო — კატანია (133 კმ)

1 მარიო ჩიპოლინი — 3სთ 8წთ 12წმ
2 იერონ ბლიილევენსი
3 დარიო პიერი (იტალია, ნავიგარე)
4 გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე)
5 ივან კვარანტა — იგივე დრო

**მესამე ეტაპი**

კატანია — მესინა (176 კმ)

1 იერონ ბლიილევენსი — 4სთ 53წთ 49წმ
2 იან სვორადა (ლამპრე)
3 მასიმო სტრაზერი (მობილვეტა)
4 ნიკოლა მინალი (კანტინა ტოლო)
5 ენდრიო ლეონე (ლიკიგასი)

**საერთო ჩათვლა**

1 იერონ ბლიილევენსი 12სთ 40წთ 32წმ
2 მარიო ჩიპოლინი ჩამორჩა 8წმ-ით
3 ივან კვარანტა 16წმ-ით
4 მატეო ტოსატო (ბალანი) 22წმ-ით
5 მასიმო აპოლონი (ვინი კალდიროლა) 22წმ-ით

**არტემ ჩაჩანიძე**

ავტორბოლა

# წითელი ტერორი მონტე კარლოში

**ინტროდუქცია**

ასე იყო მონაკოს დიდ პრიზამდე, ასე იყო მთელი ხუთი წლის განმავლობაში:

იმას, რასაც მიხაელ შუმახერს წესის დარღვევად უთვლიდნენ და შესაბამის სასჯელსაც შეუფარდებდნენ ხოლმე, სხვა შემთხვევაში, „უილიამსის" რომელიმე მრბოლი იქნებოდა, დეიმონ ჰილი, მიკა ჰაკინენი, დევიდ კულჰარდი თუ ჟაკ ვილნევი, მაკონტროლებელი კომისიისთვის ხშირად შეუმჩნეველი და, ბუნებრივია, დაუსჯელიც რჩებოდა.

აი, დაიწყო წუწუნი და ყველაფრის მსაჯებზე გადაბრალებაო, იტყვის მკითხველი. შუმახერი რომ თბილისის „დინამო" იყოს მაშინ ჰო, მაგრამ არც გერმანელი მრბოლია თბილისის „დინამო" ან საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები და არც ეს სტრიქონები იწერება სარეკლამოდ ან უბრალოდ შთაბეჭდილების მოსახდენად. შუმისთვის გამოტანილი არც ერთი, ხანდახან თითიდან გამოწოვილი განაჩენი სიმბოლური, მით უფრო პირობითი არასდროს ყოფილა — უილბლობით დაკარგულ პოდიუმებს, ქულებსა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც კი, ასევე მრავლად ენაცვლებოდა ჩამორთმეული, უფრო სწორად, წართმეული წამები, ადგილები და შესაბამისი ქულები.

**მიკამ ხელი ასწია, მე — ფეხი**

შაბათ დილით არაოფიციალური, ეგრეთ წოდებული თავისუფალი რბოლებისას ყველაზე სწრაფი შუმახერი იყო. „ფერარის" ტექნიკური პერსონალისა და გულშემატკივრების სადღესასწაულო განწყობილება ერთ-ერთ ბოლო ცდაზე მათი კერპის ავარიამაც ვერ გაანელა. ინჟინრებს საქმე დაემატათ, ახალი თავსატეხი გაუჩნდათ შუმახერსა და გუნდის ხელმძღვანელობასაც — ოფიციალურ საკვალიფიკაციო რბოლებში შუმის ყველა შემთხვევაში გაუმართავი მანქანით მოუწევდა ჩაბმა, გადასაწყვეტი იყო, რომლით — სათადარიგოთი თუ შეკეთებულით. საბოლოოდ სათადარიგო არჩიეს.

დაიწყო კვალიფიკაცია და აღმოჩნდა, რომ ტრასის პირველ ორ პირობით სექტორს პოულის მოგების ძირითადი პრეტენდენტები დაახლოებით თანაბრად გადიან, აი, მესამე სექტორში კი მიხაელ შუმახერი ყველას, მათ შორის მაკლარენებსაც, სულ ცოტა ნახევარ წამს უგებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ბოლიდის სიავკარგეზე კამათი სავსებით უადგილოა, კომიკურია იმის გაფიქრებაც კი, თითქოს მანქანას ადამიანისგან დამოუკიდებლად შესწევდეს უნარი, კედლიდან რამდენიმე სანტიმეტრის მოშორებით გაიაროს ნებისმიერი ვირაჟი. ერთი სიტყვით, მესამე, ოსტატობის თვალსაზრისით ყველაზე რთულ სექტორზე კონტროლი მიხაელ შუმახერმა პირველივე ცდიდან დააწესა და ასე გაგრძელდა მანამდე, სანამ კვალიფიკაციისთვის გამოყოფილი საათის ბოლო, მესამოცე წუთი არ დაიწყო.

... მიკას უკანასკნელი ცდა. პირველ სექტორზე ფინელი 0,1 წამით აუმჯობესებს საუკეთესო შედეგს. მეორე სექტორი — ჰაკინენის დრო კვლავ უკეთესია შუმახერისაზე... ამ დროს ტრასაზე გამოდის მიხაელი და კიდევ რამდენიმე პრეტენდენტი, მაგრამ როგორც ჩანს, სულ ტყუილი იქნება ყველას მცდელობა — მონტე კარლოს ვირაჟებში ყვითელი დროშები აფრიალდა. ტრასაზე მყოფი ყველა მანქანა დაემორჩილა ამ ნიშანს — სადღაც წინ ავარიაა და ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად სიჩქარის დაგდებაა საჭირო. ყველა დაემორჩილა ჰაკინენის გარდა. ეს არის, ხელი ასწია, ვხედავ გამაფრთხილებელ ნიშანსო, და მაქსიმალური სიჩქარით განაგრძო რბოლა. შედეგად მესამე სექტორი მაინც წააგო შუმახერთან, მაგრამ საბოლოოდ რამდენიმე მეათასედი წამით უკეთესი დრო გამოუვიდა სამივე სექტორის ჯამში.



REUTERS მონტე კარლოდან

მიხაელ შუმახერი

წესითა და რიგით ამ უკანასკნელ ცდაზე ნაჩვენები ყველა შედეგი უნდა გაუქმებულიყო, მაგრამ ისტორია კვლავ გამეორდა — ჰაკინენს ჩაუთვალეს ეს ცდა და პოულიც მას ერგო.

„მიკამ ხელი ასწია, მე ფეხიო", გაიხუმრა კვალიფიკაციის შემდეგ შუმახერმა. მართალია, არ იცინოდა, მაგრამ კაცი ვერ იტყოდა, პოულის დაკარგვით შოკირებულიაო.

**რონდო კაპრიჩიოზო**

ყველაფერი ამ ტიპის მუსიკალური ნაწარმოებივით აეწყო — ყოველ წრეზე, ერთობ იოლად, რომ იტყვიან, თამაშ-თამაშით.

მას შემდეგ რაც რბოლის სტარტზე ორივე „ფერარიმ" თითო ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია, კონკურენტები მონტე კარლოს ვიწრო ტრასაზე ასე დალაგდნენ: მიხაელ შუმახერი, მიკა ჰაკინენი, ედი ირვინი, დევიდ კულჰარდი.

მეათე წრისთვის შუმი 7 წამს უგებდა ჰაკინენს, მეოცე წრისთვის — 14-ს. საუკეთესო წრეები, ცხადია, შუმახერის იყო.

36-ე წრეზე კულჰარდს მანქანამ უმტყუნა და რბოლას დაემშვიდობა. ირვინი კუდზე აზის ჰაკინენს. 50-ე წრეზე ფინელს, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა და შეცდა. ამით ისარგებლა ირვინმა და რბოლის სათავეში ორი წითელი ბოლიდი მოექცა. ამის შემდეგ კიდევ იყო რამდენიმე ყურადსაღები შემთხვევა, მაგრამ რომ იტყვიან, ეს უკვე დეტალებია.

დეტალი არ არის ის, რომ ახლა მიხაელ შუმახერი მონაკოს დიდი პრიზის მეოთხე მოგებისკენ მიჰქროდა, არც ის, რომ ამ გამარჯვებით ყველა დროს საუკეთესო სამეულში ხვდებოდა; დეტალი არ არის ის, რომ „ფერარიზე" მოგებული დიდი პრიზების რაოდენობით (16) მიხაელ შუმახერი დღეიდან ნიკი ლაუდას ადგილს იკავებდა...

დასასრულს უახლოვდება მონაკოს, ანუ მონტე კარლოს 57-ე დიდი პრიზი. უკანასკნელი 78-ე წრე. შუმის „ფერარი" საშინელი სისწრაფით მიჰქრის, სპიდომეტრზე 280 კილომეტრია.

წინ, ტრასის ორთავ მხარეს გულშემატკივართა აღმართული ხელების ტყეა, ცოტა იქით კი კუბოკრული დროშა — შუმის გამარჯვების მაცნე.

**ირაკლი ბერიაშვილი**

**რბოლის შედეგები**

მ. შუმახერი (ფერარი) 1.49,31,812 — 10 ქულა
ირვინი (ფერარი) ჩამორჩა 30, 476 — 6 ქულა
ჰაკინენი (მაკლარენი) 37.483 — 4 ქულა
ფრენცენი (ჯორდანი) 54.009 — 3 ქულა
ფიზიკელა (ბენეტონი) 1 წრით — 2 ქულა
ვურცი (ბენეტონი) 1 წრით — 1 ქულა

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| მ. შუმახერი (ფერარი) | 26 ქულა |
| ირვინი (ფერარი) | 18 ქულა |
| ჰაკინენი (მაკლარენი) | 14 ქულა |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 13 ქულა |
| რ. შუმახერი (უილიამსი) | 7 ქულა |
| ფერარი | 44 ქულა |
| მაკლარენი | 20 ქულა |
| ჯორდანი | 16 ქულა |
| ბენეტონი | 8 ქულა |
| უილიამსი | 7 ქულა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრაზილიური სამბა მარადიულ ქალაქში



REUTERS

გუსტავო კუერტენი

**რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 2,45 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **ალექს კორეტხა** (3, ესპანეთი) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 5:7, 7:6 (7:4), 7:5; **პატრიკ რაფტერი** (4, ავსტრალია) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 4:6, 7:5, 6:1; **გუსტავო კუერტენი** (16, ბრაზილია) — კაროლ კუჩერა (10, სლოვაკეთი) 3:6, 6:4, 7:5; **ფელიქს მანტია** (15, ესპანეთი) — დევიდ პრინოზილი (გერმანია) 6:2, 6:4.

ნახევარფინალი: **რაფტერი** — მანტია 6:3, 7:5; **კუერტენი** — კორეტხა 6:4, 6:2

ფინალი: **კუერტენი** — რაფტერი 6:4, 7:5, 7:6 (8:6)

ყველა გზა შეიძლება ერთ დროს მართლაც რომში მიდიოდა, მაგრამ მსოფლიოს პირველი ჩოგნობისკენ მიმავალი ყველა ტრასა თუ ორღობე ამ სეზონში ბრაზილიელ გუსტავო კუერტენზე გადის.

მარტში „გუგა" უფრო პასიური დამკვირვებელი გახლდათ — ინდიან უელსის ტურნირის ნახევარფინალში სწორედ მისი დამარცხების ხარჯზე ჩაიგდო ხელში ესპანელმა კარლოს მოიამ პიტ სამპრასის საჩოგბურთო ტახტი. იტალიის დედაქალაქში ბრაზილიელმა უკვე თავად იტვირთა განმსჯელის როლი: მესამე წრეში ევგენი კაფელნიკოვის დაბრიყვებით მან კონკურენტებს რუსის გადასწრების შანსი გაუჩინა, ფინალში კი უკვე სოჭელის წისქვილს დაასხა წყალი და საპირველჩოგნოდ გამზადებული პატრიკ რაფტერი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

„ვფიქრობ, ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვარ. იმასთან შედარებით, როდესაც როლან გაროსზე ვიმარჯვე 1997-ში, თამაშიც გავაუმჯობესე, ენერგიის უკეთ დაზოგვაც ვისწავლე და მნიშვნელოვან ქულებზეც უფრო თავდაჯერებულად ვირჯები. კორტზე არანაირ ზეწოლას არ ვგრძნობ" — განუცხადა ფინალის შემდგომ ჟურნალისტებს „გუგამ", რომელიც დაძაბულად არც კორტსგარეთ გამოიყურებოდა: პრესკონფერენციაზე უშფოთველად ქანაობდა წინ ად უკან სკამზე, თან ბანანს მიირთმევდა და ამ ორ სეზონში თამაშზე არანაკლებ გაუმჯობესებული ინგლისურითაც გულღიად პასუხობდა კითხვებს.

თუმცა კუერტენს პირველი ჩოგნობისთვის მიმდინარე ბრძოლაში კიდევ უფრო აქტიურად ჩარევაც ძალუძს. მისი საყვარელი დიდი სლემის ტურნირიც კარს არის მომდგარი და პარიზში წარმატებული ასპარეზობის შემთხვევაში, რაც მის ძალებს სულაც არ აღემატება, „გუგა" თავადაც პირველობის მთავარი კანდიდატი შეიქნება: „უკვე ორი თვეა, ასე კარგად ვთამაშობ და იმედია, საფრანგეთის ღია პირველობაზეც არაფერი შეიცვლება. ვისი უნდა მეშინოდეს? მათი ვინაობა ყველას კარგად მოეხსენება — ალბერტ კოსტა, ფელიქს მანტია, მარსელო რიოსი, კარლოს მოია".

ყოველ შემთხვევაში, „გუგამ" წლეულს ყველაზე მეტი — 28 მატჩი და ორი მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირი მოიგო და ქების სიტყვები მეტოქეებისგანაც ხშირად ესმის. „გადაჭრით, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ იგი როლან გაროსს მოიგებს, მაგრამ აშკარად მთავარი ფავორიტი კი იქნება. მან მე ყველაფერში დამჯაბნა, უკანა ხაზზეც ბოლო მომიღო და მატჩში შანსი არ დამიტოვა" — ეს სიტყვები პატრიკ რაფტერს ეკუთვნის.

თუ კუერტენის კარგი თამაში რომში მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, თავად აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონის ფინალისტობა პატარა სენსაცია ნამდვილად იყო. კოკინიან ოზს აქამდე სეზონში ზედიზედ ორი მატჩი ერთადერთხელ მოეგო, მაგრამ იტალიის ღია პირველობაზე საკუთარი თავიც კი გააკვირვა.

თავისთვის ყველაზე ნაკლებად ხელსაყრელ საფარზე სულ ნარჩევ-ნარჩევი მოთიხნარეები რაფტერმა „თვითმკვლელურად" შერაცხული ტაქტიკით — ყოველი მოწოდების თუ ხელსაყრელი შემთხვევის დროს ბადესთან გასვლით მიაწვინა და მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც ერთადერთი მოგება დააკლდა.

„როდესაც პატარა ვიყავი, ჩემი პირველი მწვრთნელი გევინ იეროუ ხშირად მეხუმრებოდა, ერთ დღეს საუკეთესო ჩოგბურთელი იქნებიო. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იგი ძალიან ოპტიმისტურად, მაგრამ არარეალისტურად იყო განწყობილი, არადა, ამას ამჟამად თითქმის არაფერი მიკლია" — განაცხადა ფინალის წინ რაფტერმა, რომელიმაც ხუთშაბათამდე არც კი იცოდა, რომ ტურნირზე გამარჯვების შემთხვევაში კლასიფიკაციას მოექცეოდა სათავეში.

მაგრამ ავსტრალიელის ოცნებას, ჯერჯერობით მაინც, ასრულება არ ეწერა — კუერტენი კვირას აშკარად უკეთესი გახლდათ. მკვლელი ბექჰენდის გარდა, რომელიმაც რაფტერი მთელი მატჩის მანძილზე გატანჯა, „გუგამ" მეტოქე მოწოდებაზეც დაჩაგრა (9:2 ეისებში) და უამრავი გამოუყენებელი ბრეიკ-პოინტი რომ არა, ანგარიშიც გაცილებით ცალკარა იქნებოდა.

ერთადერთი რეალური შანსი რაფტერს მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე ჰქონდა, როდესაც 5:4-ს იგებდა. მაგრამ ერთხელაც წინ გავარდნილმა ოზმა ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი ბადეში გაახვია და ჩოგანი თავში იკრა — ორიოდ წუთში კი მატჩიც დასრულდა.

„ახლა არ გაგიმართლა, მაგრამ იქნებ საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ გახდე პირველი" — დაამშვიდ-მოუბოდიშა დაჯილდოების ცერემონიალზე მეტოქეს კუერტენმა, რომელსაც გამარჯვებისთვის 350 ათასი დოლარი ერგო და გასული წლის ივნისის შემდეგ პირველად დაუბრუნდა საუკეთესოთა ათეულს (მე-8).

**ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 1,05 მილიონი $**

მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ბარბარა შეტი (16, ავსტრია) 7:5, 7:5; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (4, ესპანეთი) — სერენა უილიამსი (7, აშშ), 6:3, 3:2 — ტრავმა; **ჟული ალარი** (საფრანგეთი) — შტეფი გრაფი (3, გერმანია) 5:7, 6:4, 6:4; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — პატი შნიდერი (8, შვეიცარია) 3:6, 6:1, 6:1.

ნახევარფინალი: **ჰინგისი** — სანჩეს-ვიკარიო 6:4, 6:0; **ალარი** — დრაგომირი 6:2, 6:2

ფინალი: **ჰინგისი** — ალარი 6:0, 6:1.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ქალთა ჩოგბურთში ამ შაბათ-კვირამ უილიამსების ოჯახის წარმომადგენლის გარეშე ჩაიარა.

თებერვლიდან მოყოლებული, ერთის გამოკლებით, თითოეული ტურნირი, რომელშიც სერენა ან ვინუსი მონაწილეობდნენ, მათი გამარჯვებით სრულდებოდა. თუმცა ამჯერად უმცროს უილიამსს ბარძაყის ტრავმამ მეოთხედფინალშივე აკვრევინა გუდა-ნაბადი.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას — სერენამ რომ თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა, ამაში მისი მეტოქის წვლილიცაა: როლან გაროსის ჩემპიონმა არანჩა სანჩეს ვიკარიომ კორტზე ჩვეულად და დაუღალავად ირბინა, ბევრ ერთი შეხედვით აუღებელ ბურთს მიუსწრო და უმცროს კოლეგას თიხნარზე თამაშის პატარა გაკვეთილიც ჩაუტარა.

რაკილა ბადის მეორე მხარეს თავზარდამცემი შავი ფერი ველარ დალანდა, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმაც გემოზე გაილაღა და მეტოქეებს ბოლო ორი მატჩში სულ ხუთი გეიმი დაუთმო. ფინალში 18 წლის შვეიცარიელის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ 18 წუთში დასრულებული პირველი სეტის შემდეგ ერთ-ერთმა ქომაგმა ყველას გასაგონად გადმოსძახა, ცოტა ნელა, მარტინაო.

ჰინგიმა მაყურებელთა თხოვნა ყურად არ იღო და კარიერის 23-ე ტიტულის მოპოვებაზე სულ 42 წუთი დახარჯა, თუმცა მერე ბოდიში მოიხადა: „ვიცი, რომ მატჩის სწრაფად დასრულება არ გინდოდათ და იმედია, მაპატიებთ, მაგრამ თუ პარიზშიც სულ ასე მოვიგებ, საწინააღმდეგო არაფერი მექნება".

**ანტვერპენი. ბელგია. ფლანდრიის ღია პირველობა. თიხნარი. საპრიზო 115 ათასი $**

ნახევარფინალი: **სარა პიტკოვსკი** (1, საფრანგეთი) — ელს კალენსი (ბელგია) 6:4, 6:4; **ჟუსტინ ენენი** (ბელგია) — კრისტი ბუგერტი (ჰოლანდია) 7:5, 6:4.

ფინალი: **ენენი** — პიტკოვსკი 6:1, 6:2.

16 წლის ბელგიელი ჟუსტინ ენენი ისტორიაში მეხუთე ქალი ჩოგბურთელი გახდა, რომელმაც თავის სადებიუტო ტურნირზე იმარჯვა.

**ავთანდილ სვანიძე**



REUTERS

პატრიკ რაფტერი გვერდითი მსაჯის სკამზე მოკალათდა



**მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია.**

# ისევ ჩეხეთი!

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

მეოცე საუკუნის ბოლოს მსოფლიო ჰოკეიში ჩეხეთი გაბატონდა. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მათ სამი დიდი ტურნირი მოიგეს, 1996 წელს — მსოფლიოს ჩემპიონატი, ორი წლის შემდეგ — ტრიუმფი ნაგანოში და აი, ახალი წარმატებაც.

**ფინალი**

პირველი მატჩი. 15 მაისი

**ჩეხეთი — ფინეთი 3:1**

1:0 1:0 1:1

1:0 კაბერლე 10'53; 2:0 რუჩინსკი 37'20; 2:1 ლინდი 54'42; 3:1 დვორჟაკი 59'29

ეს მატჩი ჩეხებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს. მათ ნაცად კონტრშეტევას მიმართეს და თავისას მიაღწიეს. ფინელებს მხოლოდ პირველ მესამედში ჰქონდათ მცირე უპირატესობა, მაგრამ მეკარე მილან ჰნილიჩკამ ჩინებულად ითამაშა, მისმა კოლეგა არი სულანდერმა კი ვერ მოიგერია ფრანტიშეკ კაბერლეს დარტყმა. ჩეხები მეორე პერიოდში უფრო გააქტიურდნენ და ერთ-ერთი კლასიკური კონტრიერიშის შემდეგ ანგარიში გააორმაგეს. ბოლო მესამედში, როცა ფინელებს ლიდერი — საკუ კოივუ გამოაკლდათ, ჩეხები დამშვიდდნენ. ეტყობა, ამან იქონია გავლენა და ტეემუ სელიანეს შესანიშნავი პასის შემდეგ მცველებმა იუპა ლინდი უმეთვალყუროდ დატოვეს. „სუომს" გაუჩნდა იმედი, თუმც ამაოდ. სკანდინაველებს ისღა დარჩენოდათ, მეორე შეხვედრაში რევანშის აღებაზე ეზრუნათ.

მეორე მატჩი. 16 მაისი

**ფინეთი — ჩეხეთი 4:1**

2:0 1:1 1:0 0:1

1:0 ნიემი 1'41; 2:0 ლინდი 5'35; 3:0 ტუომაინენი 21'51; 3:1 უიჩიკი 30'47; 4:1 პელტონენი 46'52

ოვერტაიმი: ჰლავაჩი 16'32

მატჩის წინ გაირკვა, რომ კოივუ სერიოზულად დაშავებულა (ხელი მოიტეხა) და 4-5 თვეს ველარ ითამაშებს.

თუმცა ფინელთა მწვრთნელი ჰანუ არავირტა ფარ-ხმალის დაყრას სულაც არ აპირებდა. „ერთადერთი, რაშიც მეტოქემ გვაჯობა, მეკარე ჰნილიჩკას შეუდარებელი თამაში იყო" — თქვა მან და ბევრისთვის მოულოდნელად სულანდერი გამოუცდელი მიკა კიპრუსოვით შეცვალა. როგორც გაირკვა, ამან თამაშზე უდიდესი ზეგავლენა იქონია.

დებიუტში კი ფინელებმა იძალეს და მე-6 წუთისთვის მეტოქე ნოკდაუნში ჩააგდეს. გამოირჩა მათი მცველი ანტი იუსი ნიემი (1+1), რომელიც აქამდე უქულოდ იყო. ხოლო როდესაც ფინელებმა მესამეც გაიტანეს (წინა თამაშისგან განსხვავებით ამჯერად ჰნილიჩკა ნაკლებად საიმედო იყო), ყველამ იფიქრა, რომ ღმერთი აშკარად ფინელთა მხარეს იყო. ოვერტაიმში კი აღმოჩნდა, რომ ჩეხებს მეტი ძალა შერჩათ. საბოლოოდ კიპრუსოვმაც ვერ ივარგა და იან ჰლავაჩმა ჩემპიონატის „ოქროს" გოლი გაიტანა. ფინელები ზედიზედ მეორედ ვერცხლს დასჯერდნენ.

მესამე ადგილისთვის

**შვედეთი — კანადა 3:2**

2:0 1:0 0:2

1:0 ნესლუნდი 12'14; 2:0 ოლსონი 4'53; 3:0 ი. იუნსონი 37'57; 3:1 სავაჟი 41'18; 3:2 გრეივსი 48'49

კანადელებისთვის ხომ პირველი ადგილის გარდა სხვა მიზანი არ არსებობს. ამიტომაც ორი პერიოდის განმავლობაში ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს სძინავთო. მესამეში კი გონს მოეგნენ და ბოლო წუთებში ფრესთან ახლოს იყვნენ, მაგრამ შვედები მეკარე პეტერ რენკვისტმა გადაარჩინა.

STANLEY CUP PLAYOFFS

სერიის ანგარიში

**ბოსტონი — ბუფალო 2:3**

14 მაისი

**ბუფალო — ბოსტონი 3:0**

0:0 2:0 1:0

1:0 ვოტნიკი 22'20 (3); 2:0 ვარადა 19'43 (3); 3:0 პეკა 51'39 (3)

16 მაისი

**ბოსტონი — ბუფალო 5:3**

1:1 3:0 1:2

0:1 ბრაუნი 0'37 (3); 1:1 სუინი 9'01 (3); 2:1 სამსონოვი 21'15 (3); 3:1 ტიმანდერი 30'19 (1); 4:1 ხრისტიჩი 33'34 (3); 4:2 პრიმო 44'58 (1); 4:3 ვიუნო 53'25 (2); 5:3 ელისონი 59'17 (2)

სერიის მეოთხე მატჩში დომინიკ ჰაშეკზე მეტი ქება ბუფალოს კაპიტანმა მაიკ პეკამ დაიმსახურა. მან არა მარტო 1 გოლით და 1 პასით ისახელა თავი: იგი ყველგან იყო — შეტევაში, დაცვაში, რიცხვმრავლობისას, უმცირესობაში.

ბოსტონმა, რომელსაც უკანადასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, ყველა ღონე იხმარა, რათა ერთი მატჩით მაინც გაეგრძელებინა სერია. ტრავმამოშუშებული სერგეი სამსონოვი ჯერ დონ სუინს დაეხმარა ჰაშეკის 116-წუთიანი „მშრალი" სერიის დასრულებაში, მერე კი თავისიანები დააწინაურა. ამას მოჰყვა სამი შაიბა და ჰაშეკმაც სათადარიგოთა სკამს მიაშურა.

**ტორონტო — პიტსბურგი 3:2**

15 მაისი

**ტორონტო — პიტსბურგი 4:1**

2:0 1:1 1:0

1:0 კოტი 7'04 (1); 2:0 ჯონსონი 16'48 (3); 3:0 ტომასი 33'44 (4); 3:1 პრდინა 34'13 (4); 4:1 ბერეზინი 55'00 (4)

როგორც ჩანს, პიტსბურგს ძალა ეცლება. აგერ უკვე მესამე მატჩია, „პინგვინები" მეტოქეზე სუსტად გამოიყურებიან და რომ არა ერთობ დაუმსახურებელი მოგება სერიის მესამე თამაშში, ალბათ, თასისთვის ბრძოლასაც გამოემშვიდობებოდნენ.

**დალასი — სენტ ლუისი 3:2**

15 მაისი

**დალასი — სენტ ლუისი 3:1**

2:0 1:1 0:0

1:0 ლეჰტინენი 3'47 (5); 2:0 ლანგებრუნერი 9'43 (4); 3:0 ნუინდაიკი 30'52 (6); 3:1 იანგი 31'14 (4)

როგორც იქნა, ამოქმედდა დალასის რიცხვმრავლობის ბრიგადები. თუ წინა ოთხ მატჩში „ვარსკვლავებმა" 21 ცდიდან ერთი გამოიყენეს, ამჯერად ხუთიდან ორში ივარგეს, პირველი, გადამწყვეტი გოლი კი იერე ლეჰტინენმა უმცირესობაში გაიტანა მაიკ მოდანოს გადაცემის შემდეგ. გავიდა ექვსი წუთი და მოდანო კვლავ გამოირჩა — ამჯერად მისი ზუსტი პასი ჯემი ლანგებრუნერმა გამოიყენა და ყველაფერი ნათელი გახდა.

**კოლორადო — დეტროიტი 3:2**

**კოლორადო — დეტროიტი 3:0**

1:0 2:0 0:0

1:0 ოჯერსი 11'06 (1); 2:0 დედმარში 24'23 (7); 3:0 ფორსბერგი 27'19 (4)

ბოლო ორი წლის თასის მფლობელი უფსკრულის პირასაა — მესამე მარცხის შემდეგ დეტროიტელები მდევრის როლში აღმოჩნდნენ და თუ მათი თამაშის ხარისხსაც გავითვალისწინებთ, ძნელი სათქმელია, რა უნდა იღონონ „წითელფრთიანებმა". სკოტი ბოუმენმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა. მართალია, მეკარე ბილ რენფორდი წინა ორ მატჩში ერთი ორჯერ შეცდა, მაგრამ კრის ოსგუდის გამოყვანა, რომელიც ჯერ არ გამოჯანმრთელებულა, ძალიან სარისკო იყო. ჯეფ ოჯერსის დარტყმა მას უეჭველად უნდა მოეგერიებინა და ვერც მესამე გაშვებული შაიბის დროს ივარგა.

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამარანჩის 22 საათი თბილისში



ხუან ანტონიო სამარანჩი სოკ-ის ორდენოსნებს, ჩვეულებრივ, ლოზანის შტაბ-ბინაში აჯილდოებს, ედუარდ შევარდნაძეს კი თბილისში ეწვია ამ ცერემონიალის ჩასატარებლად

მისი ასაკის ადამიანების უმრავლესობა სიბერეს წყნარად ატარებს. ეს ჩია ტანის მოხუცი კი დღენიადაგ მსოფლიოს სხვადასხვა კუნჭულში მოგზაურობს და პლანეტის ერთ-ერთ უდიდეს ორგანიზაციას მართავს. მართალია, ბოროტი ენები ამბობენ, უწინდებურად ველარ ფასობს მისი სიტყვა ხელქვეითებშიო და ამის მაგალითად სოკში კორუფციასთან დაკავშირებული სკანდალი მოჰყავთ, მაგრამ ეს სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მექრთამეები რომ აღმოჩნდნენ, ეს ფაქტია. „სიახლე“ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. 1980 წლიდან სოკის პრეზიდენტის ხუან ანტონიო სამარანჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სკანდალი არ გაღვივდა, ჩაცხრა, ამისათვის ბატონ სამარნჩს სოკის 10 წევრის შელევა დასჭირდა.

ამ ამბებმა ცოტა გადაიარა თუ არა, სოკის პრეზიდენტმა სხვა საქმეებისთვისაც მოიცალა. ამ „სხვა საქმეებში“ კი საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონისთვის ოლიმპიური ორდენების გადაცემაც იყო.

ჰოდა, მოუღლელი მოხუცი კვირა საღამოს ჩვენს დედაქალაქს ეწვია. ბატონმა სამარნჩმა თბილისში დღე-ღამე დაჰყო და მისიის შესრულებას შემდეგ, გუშინ საღამოს, შვეიცარიაში გაბრუნდა.

გუშინ დილიდან გამგზავრებამდე სოკის პრეზიდენტს ლამის წუთიც არ დაუსვენა.

9 საათზე იგი საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ესტუმრა. ჯერ ოლიმპიური მუზეუმი დაათვალიერა, შემდეგ კი ქართული სპორტის მაღალჩინოსნებს ესაუბრა განსაკუთრებით „საიდუმლო“ საკითხებზე. რა იყო ამ შეხვედრის მთავარი თემა, მხოლოდ ვარაუდით და არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია მოგახსენოთ. ქართველებს ბატონი პრეზიდენტისთვის სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებაში დახმარება უთხოვიათ, რაზეც თანხმობა მიუღიათ. ისე, უარის თქმა მართლაც რომ გასაკვირი იქნებოდა.



სოკ-ის უმაღლესი ჯილდო ჯანო ბაგრატიონსაც ფრიად მოუხდა

დაახლოებით საათნახევარში სოკის დელეგაცია (პრეზიდენტთან ერთად პირველი ვიცე-პრეზიდენტი პალ შმიდტი, სოკის ეოკებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი პერე მირო და სხვა ოფიციალური პირებიც ეწვივნენ თბილისს) მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლისკენ გაეშურა, სადაც ქართველ ოლიმპიელებს შეხვდა. სიტყვით გამოვიდნენ ბატონი სამარანჩი, ბატონი ბაგრატიონი, რომელმაც სტუმარს მადლობა მოახსენა ყოველგვარი დახმარებისთვის, მოჭიდავე ელდარ კურტანიძე, სპორტის აკადემიის რექტორი ომარ გოგიაშვილი (ვინც სოკისგან სპეციალური ჯილდოც მიიღო ოლიმპიზმის პრინციპების მხარდაჭერისთვის), სეოკის აღმასკომის წევრი რობერტ შავლაყაძე, ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მე...

ყველაფერ ამას ქართველი ბავშვების მშვენიერი კონცერტი მოჰყვა. სამარანჩი ედუარდ შევარდნაძისთვის ორდენის გადასაცემად გაემგზავრა.

სალამოს ხუან ანტონიო სამარანჩი ბავშვთა ნახატების გალერეას ესტუმრა და დაათვალიერა გამოფენა — „ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ“. პატივსაცემ სტუმარს ერთ-ერთი სურათი მოეწონა და თქვა, ოლიმპიური მუზეუმისთვის ხომ არ მაჩუქებდითო? მისი ეს სურვილი იმწამს ასრულდა.

17 საათზე კი სოკის პირველმა პირმა სასტუმრო „შერატონში“ პრესკონფერენცია გამართა. აი, მოკლედ მისი ნალაპარაკევი:

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ხუთი წლის შემდეგ კვლავ მომეცა საქართველოში ჩამოსვლის შესაძლებლობა. ვიზიტის მთავარი მიზანი სეოკისთვის ათი წლის იუბილეს მილოცვა და ბატონების — ედუარდ შევარდნაძისა და ჯანო ბაგრატიონისთვის ოლიმპიური ორდენების გადაცემა იყო.

— სოლტ ლეიკ სიტისთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალში 50 პროცენტით ჩვენი აღმასკომის ყოფილი წევრები იყვნენ დამნაშავენი, 50-ით კი თვით ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი. სპონსორებთან დაკავშირებით პრობლემები არ შეგვქმნია, რადგან მსოფლიოს სჭირდება ზეიმი, ოლიმპიადები კი ზეიმია, ანუ მსოფლიოს სჭირდება ოლიმპიადები. ოლიმპიური თამაშები კაცობრიობის საგანძურია!

— სპორტის ახალი სახეობების ოლიმპიადების პროგრამაში შეტანა, ჩემი აზრით, მიზანშეუწონელია. გვინდა, რომ თამაშები მაქსიმუმ 16 დღე გაგრძელდეს და 10 000-მდე სპორტსმენი მონაწილეობდეს. ახალი სახეობების ჩართვით კი ეს პრინციპი დაგვერღვევა...

ბოლოს ბატონმა სამარანჩმა მადლობა გადაგვიხადა ჟურნალისტებს ჯანსაღი კრიტიკისთვის და აეროპორტისკენ გაეშურა.

ასე დამთავრდა მსოფლიოს სპორტის უპირველესი ხელმძღვანელის ვიზიტი ქვეყანაში, სადაც სპორტს სათანადო ყურადღებას ველარ აქცევენ და ამიტომაც აქა-იქ მოპოვებული თითო-ოროლა მედალი სანატრელი გაგვხდომია.

**გაიოზ თალაკვაძე**

**ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები**



დილის 10 საათია, მაგრამ სამარანჩმა უკვე მოასწრო სეოკ-ში სტუმრობა და ახლა სხვაგან მიიჩქარის, რათა თავის 22-საათიანი ვიზიტის პროგრამაში ჩაეტიოს



დამოუკიდებელი საქართველოდან სოკ-ის პირველი ორდენოსანია ჩვენი ქვეყნის ეოკ-ის პირველი პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც შარშანწინ დააჯილდოვეს. იმ ცერემონიალზე გადაღებული სურათი მას ახლა ჩამოუტანა სოკ-ის თანამშრომელმა მარი ელენ რუხაძემ



ხუან ანტონიო სამარანჩმა დიდი ინტერესით დაათვალიერა საქართველოს ოლიმპიური მუზეუმი, რომელიც მისი უშუალო დახმარებით შეიქმნა. აქ მას უმეგზურა სეოკ-ის თანამშრომელმა რუსუდან აფციაურმა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29